

ნ.კოპალიანი, ქ.სალუქვაძე, ი.ყიფიანი

ამერიკის სოფლის მოსახლეობა, თემები, ურბანიზაცია და ეკონომიკური გამოწვევები 21-ე საუკუნეში

თბილისი

2023

ნ.კოპალიანი, ქ.სალუქვაძე, ი.ყიფიანი

ამერიკის სოფლის მოსახლეობა, თემები, ურბანიზაცია და ეკონომიკური გამოწვევები 21-ე საუკუნეში

თბილისი
2023

UDC (უაკ)
338. 43 (73)
კ-741

წიგნი განკუთვნილია, ამერიკის სოფლის მოსახლეობით, თემებით, ურბანიზაციით და ეკონომიკური გამოწვევებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

ნაშრომი დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის
აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟირენიგის
ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპერტამენტის მიერ
06.07.2023წ. ოქმი №9

დევიდ ლ.ბრაუნი, კაი ა.ჩაფტი „სოფლის მაცხოვრებლები და სოფლის თემი 21-საუკუნეში“ წიგნის მიხედვით

ISBN 978-9941-8-5707-2

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი 1. აზრი ამერიკის სოფელის შესახებ……...10

სოფელი ქალაქის საზოგადოებისთვის 10

სოფლის შესახებ მეცნიერული აზრის ჩამოყალიბება 10

სოფლის დასახლება-მდებარეობა ან „ადგილის“ მიდგომა 12

სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიდგომა 13

მრავალგანზომილებიანი მიდგომა სოფლის დასახელებების განმარტებისთვის მოსახლეობისა და დასახლების სტრუქტურა და ლანდშაფტი 14

ეკონომიკა.....15

ინსტიტუტები 16

სოციალურ-კულტურული მახასიათებლები.....16

ადგილმდებარეობის მიდგომის კრიტიკა.....17

რა წარმოდგენები და დამოკიდებულება აქვს დედაქალაქში მაცხოვრებელ საზოგადოებას სოფლის მაცხოვრებლებისა და დასახლებების მიმართ?.....19

რატომ არის მნიშვნელოვანი სოფლის მაცხოვრებლები და დასახლებები ქალაქის საზოგადოებისთვის? 22

თავი 2. ურბანიზაცია……..26

ურბანიზაცია და მოსახლეობის ხელახალი განაწილება ..26

ურბანიზაციის კონცეპტუალიზაცია და შეფასება. ურბანიზაციის კონცეპტუალიზაციის ორი მიდგომა.....26

ურბანული და სოფლის დასახლების განსაზღვრა ამერიკის შეერთებულ შტატებში.....29

ურბანული დასახლების შედარება სოფელთან.....30
ქალაქის შედარება არაქალაქის დასახლებასთან.....30
ტრადიციული სტატისტიკური პრაქტიკის კრიტიკა 32
რატომ ხდება მოსახლეობის თავმოყრა ურბანულ ადგილებში?.....35
დემოგრაფიული თანაფარდობა 35
ბუნებრივი ზრდა.....37
სოფლიდან ქალქში მიგრაცია.....39
ახდენს თუ არა იგივე ფაქტორები გავლენას განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციის პროცესზე დღეს?.....42
ურბანიზაცია შეიძლება იყოს შექცევადი 44
მოსახლეობის მიბრუნება ამერიკულ სოფელში 45
ამერიკის კონტრურბანიზაციის გამოცდილება არ არის უნიკალური 48
მოსახლეობის ხელახალი განაწილება პოსტ-საბჭოთა უნგრეთში 49
თავი 3. სათემო ინსტიტუტები……..……51
სათემო ინსტიტუტები სოფლის საზოგადოებაში.....51
ფედერალიზმი და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა.....52
ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობა და მმართველობის დეცენტრალიზაცია 53
სერვისების გადაცემა და პრივატიზაცია 54

მუნიციპალური თანამშრომლობა 55

განათლება, სასწავლო ადგილი, როგორც სოციალური სივრცე..... 56

აკადემიური მოსწრება 57

სოფლის სკოლების გამოწვევები 58

ჯანდაცვის სისტემა და ჯანდაცვის ინსტიტუტები სოფლად 61

ტელემედიცინის როლი 64

თავი 4. ბუნებრივი რესურსების გავლენა სოფელზე..... 66

ბუნებრივი რესურსები და სოციალური ცვლილება 66

ბუნებრივი კომფორტი-ზრდის მამოძრავებელი ძალა..... 68

გარემოს გავლენა სოფლის თემების განვითარებასა და კონფლიქტებზე..... 70

სოფლის მეურნეობა და ურბანული განვითარება 72

რესურსების მოპოვება, როგორც სოციალური პროცესი.. 72

ეკონომიკური ბუმის ქალაქები 74

რესურსების მოპოვების ახალი ფორმები: ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია 75

ბიოლოგიური საწვავი და ეთანოლის წარმოება..... 77

ქარის ენერგია..... 77

მზის და გეოთერმულ ენერგია..... 78

თავი 5. სოფლის თემის გამოწვევები……...79

ახალგაზრდობა, სიბერე და ცხოვრების სტილი..... 79

ინდივიდუალური დაბერების შედარება მოსახლეობის დაბერებასთან 80

ინდივიდუალური სიბერე სოფლის თემში. ცხოვრების მიმდინარეობის პერსპექტივა, როგორც ერთიანი სტრუქტურა.....81

სოფლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები. განათლების დონე.....83

უმაღლესი განათლება სოფლად.....86

კრიმინალური საქმიანობა და ნარკოტიკების მოხმარება.88

ასაკოვანი სოფლის მაცხოვრებლების წინაშე მდგარი პრობლემები. სოციალური ქსელის შენარჩუნება.....89

ჯანმრთელობის მდგომარეობა და ჯანდაცვის სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა 92

მოსახლეობის სიბერე სოფლად, რატომ ბერდება ადრე მოსახლეობა განვითარებულ ქვეყნებში?.....94

სიბერე სოფლად 96

მოსახლეობის სიბერის გამოწვევა თემის დონეზე. ახალგაზრდების გარე მიგრაცია და კვალიფიციური ადამიანების მიერ სოფლის დატოვება.....97

შიდა მიგრაცია საპენსიო ასაკში 99

ბუნებრივი შემცირება.....101

თავი 6. ამერიკის სოფლის ცვალებადი სახე……104

რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები.....104

რასობრივი დაყოფა და სოფელი 107

რასა, ეთნიკურიობა და ცხოვრების შანსები სოფლად 109

აფროამერიკელები სოფლად 110

ლათინოამერიკელები სოფლად და მიგრაცია 113

ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობის
რესტრუქტურიზაცია და გავლენა მიგრაციაზე.....116

თავი 7. სოფლის სარჩო-საბადებელი…….118

სარჩო-საბადებლის მოპოვება სოფლად.....118

სოფლის შესაძლებლობების სტრუქტურა და
რესტრუქტურიზაცია.....118

სამრეწველო და სამუშაოს სტრუქტურა.....119

სამრეწველო რესტრუქტურიზაცია.....122

სერვისები.....124

სოფლის მუშა-ხელი, მუშა-ხელის მოთხოვნისა და
მიწოდების შესაბამისობა 127

სოფლის მუშა-ხელის გამოყენება 127

არასაკმარისი დასაქმება 129

არაოფიციალური ეკონომიკური საქმიანობა 130

ადგილობრივი და გლობალური ეკონომიკის კავშირები,
გლობალიზაცია 131

თავი 8. ფერმერი, ფერმერები და ფერმერობა……...135

ფერმერი, ფერმერები და ფერმერობა თანამედროვე
სოფლის საზოგადოებაში.....135

სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, შეერთებულ შტატებში
სოფლის მეურნეობის განვითარების მიმოხილვა.....135

გლობალიზაცია და ამერიკის სოფლის მეურნეობა.....138
უფრო მცირე და უფრო დიდი ფერმები.....139
ფერმის კრიზისი 1980-იან წლებში.....141
თანამედროვე სტრუქტურა: კონცენტრაცია და დივერსიფიკაცია 143
ოჯახური ფერმები და ფერმის ოჯახები, სოფლის მეურნეობაში დაკავებული მოსახლეობის შემცირება.....146
ვინ არიან დღევანდელი ფერმერები? 147
როგორ გამოიმუშავებენ ფერმის ოჯახის წევრები? 149
თავი 9. სოფლად არსებული სიღარიბე…….150
სიღარიბე სოფლად და ღარიბი ადგილი.....150
ვინ არის ღარიბი შეერთებულ შტატებში? სიღარიბის შეფასება.....151
სიღარიბის რისკები იცვლება საცხოვრებელი ადგილის მდებარეობის შესაბამისად 153
სიღარიბე დამახასიათებელია კონკრეტული ჯგუფებისთვის 155
სიღარიბის მაჩვენებლების შედარება სიღარიბის შემადგენლობასთან 157
სიღარიბის ზღვართან დაკავშირებული პრობლემები, სიღარიბე-მრავალგანზომილებიანი კონცეფცია 158
რატომ არიან გარკვეული ადამიანები უფრო ღარიბი, ვიდრე სხვები? შარონ რაითი.....159
სიღარიბის კულტურული ახსნა.....161

სურსათის ნაკლებობა 163

თავი 10. სოფლის საზოგადოების ცვლილება……..166

სოფლის ტრანსფორმაცია და მომავალი პოლიტიკა..... 166

სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილება, სოფლის მოსახლეობის ზომის ცვლილება 167

ცვლილება მოსახლეობის სტრუქტურაში 168

დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები 168

ტრანსფორმირებული სოფლის ეკონომიკა, ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია..... 169

ინდუსტრიული რესტრუქტურიზაცია 170

წარმოების სოციალური ურთიერთობა..... 171

სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები..... 172

სიღარიბე და არათანაბარი განაწილება 173

ინფორმაციული ტექნოლოგიები სოფლად და ქალაქში. 177

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის პოლიტიკის შედარება..... 181

თავი 1. აზრი ამერიკის სოფელის შესახებ

სოფელი ქალაქის საზოგადოებისთვის

2008 წელს, გაეროს მონაცემებით პირველად მსოფლიო ისტორიაში დაფიქსირდა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობდა ქალაქში (გაეროს ეკონომიკისა და სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი). ურბანულ ადგილებში მოსახლეობის რაოდენობა უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებში. შესაბამისად, გაერო მიიჩნევს, რომ განვითარებად ქვეყნებშიც ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა გადააჭარბებს სოფლის მაცხოვრებლებს 2019 წლისთვის. თუ მსოფლიოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ქალაქში, რატომ არის აუცილებელი სოფელსა და სოფლის მაცხოვრებლებზე ზრუნვა, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები? რატომ არის სოფელი მნიშვნელოვანი 21-ე საუკუნეში ასეთი ურბანიზაციის პირობებშიც კი. ეს საკითხი თავის მხრივ მოიცავს სოფლის თემის ცვლილებისა და მდგრადობის ანალიზს. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლისა და მისი თემის შესახებ კვლევა ჯერ კიდევ დაიწყო ასი წლის წინ, მნიშვნელოვან სოციალურ ტრანსფორმაციებთან ერთად, რამაც საფუძველი ჩაუყარა სოციოლოგიასა და სხვა სოციალურ მეცნიერებებს.

სოფლის შესახებ მეცნიერული აზრის ჩამოყალიბება

სოფლის თემიდან ქალაქის საზოგადოებად ტრანსფორმაციის სოციალური მოვლენისადმი ინტერესი არსე-

ბობდა სისტემური სოციალური მეცნიერების შექმნისთანავე. მე-19 საუკუნის დასასრულს პრობლემატურმა საკითხმა, რაც გულისხმობდა, რომ მოდერნიზაციას მოაქვს უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით კი ინდუსტრიალიზაციასა და ურბანიზაციას, საფუძველი დაუდო ახალ დისციპლინას სოციოლოგიაში. კლასიკური ევროპული სოციოლოგიის ორმა გავლენიანმა ფიგურამ, ფერდინანდ ტიონისმა და ემილ დურკჰეიმმა ყურადღება გაამახვილეს სოფლის თემიდან ქალაქის ინდუსტრიულ საზოგადოებად ჩამოყალიბების სოციალურ შედეგებზე. მათი შეხედულებით, სოციალური ურთიერთობის ხასიათი ფუნდამენტურად იცვლება უფრო ფართო, მჭიდროდ დასახლებულ, განსხვავებულ ურბანულ ადგილებში ცხოვრებისას, ვიდრე სოფლად. ტრანს-ფორმაციის აღწერისას ტიონისმა გამოიყენა ტერმინები თემი და საზოგადოება, მაშინ როცა დურკჰეიმმა იხმარა მექანიკური და ორგანული სოლიდარობა სოციალური ურთიერთობების აღწერის დროს, რომელიც, მისი აზრით, ახასიათებდა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლებს. ის წერდა: „რა განაპირობებს ადამიანების ცხოვრებას ერთად? ეს არის მექანიკური მიზეზები და იმპულსური ძალები, როგორიცაა სისხლით ერთიანობა, მიჯაჭვულობა ერთიდაიმავე მიწასთან, წინაპრების პატივისცემა და ჩვევები“. ორივე მათგანი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის სტრუქ-ტურაში შეტანილმა ცვლილებებმა შედეგად მოიტანა ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელშიც უფრო დისტანციური ურთიერთობის ჩანაცვლება მოხდა მარტივი სოციალური კავშირებით. დურკჰეიმი განსაკუთრებით წუხდა იმის გამო, რომ სოციალური ურთიერთობის

ფუნდამენტური ხასიათის ეს ცვლილება განაცალკევებდა ადამიანებს ინსტიტუტებისგან და პირადი გავლენისგან, რაც არეგულირებს სოციალურ ქცევას და წარმოშობს სოციალურ სოლიდარობას. სოციოლოგი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების განსაზღვრის საქმეში, იყო პიტირიმ სოროკინი-ამერიკელი რუსი მეცნიერი, მან დაარსა სოციოლოგიის კათედრა ჰარვარდის უნივერსიტეტში. მისი ნაშრომი ორიენტი-რებული იყო დემოგრაფიულ და საქმიანობით საკითხებზე, რაც განასხვავებს ურბანულ და სოფლის თემს ერთმანეთისგან.

სოფლის დასახლება-მდებარეობა ან „ადგილის“ მიდგომა

მრავალი ზოგადი ტერმინის მსგავსად, ტერმინი სოფლის დასახლება გარკვეულწილად ბუნდოვანია. სოციალურ მეცნიერებებში არსებობს უთანხმოება სოფლის დასახლების მნიშვნელობასა და ზუსტ განმარტებას შორის. უთანხმოება არსებობს იმ მეცნიერებს, რომლებიც მიიჩნევენ სოფლის დასახლებას სოციალურ-გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობად და იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც განიხილავენ მას როგორც სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ კონცეფციას.

ნაწილი სოციოლოგები და პოლიტიკოსები განმარტა-ვენ სოფლის დასახლებას როგორც სოციალურ-გეოგრაფიულ ადგილს, რომელიც გამოირჩევა გარკვეული მახასიათებ-ლებით. მეცნიერები, პოლიტიკოსები და სტატისტიკური სააგენტოები ხშირად აკეთებენ აქცენტს ამა თუ იმ

მახასიათებელ თვისებებზე, როგორიცაა მოსახლეობის ზომა ან სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულება, უმეტესი მათგანი აღიარებს, რომ სოფლის დასახლება არის კომპლექსური კონცეფცია, რომელიც მოიცავს სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და/ან კულტურულ ასპექტებს.

სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიდგომა

დანარჩენი სოციოლოგები მიიჩნევენ სოფლის დასახლებას როგორც სოციალურ ფენომენს. კეით ჰალფაკრის აზრით, უნდა იქნას განცალკავებული სოფლის დასახლება, როგორც სივრცე და სოფლის დასახლება, რომელიც წარმოადგენს სივრცეს. არსებობს სოფლის დასახლების „მატერიალური“ გაგება, რაც დაფუძნებულია ფიზიკურ სივრცეზე, გეოგრაფიულ მახასიათებლებსა და მოსახლეობის სიმჭიდროვეზე და დემატერიალიზებული გაგება, რომლითაც იგი აღიქმება ადამიანთა წარმოსახვაში. ამ კონცეფციის დროს, სოციალური, დემოგრაფიული, გარემოსა და ეკონომიკური მახასიათებლების ნაცვლად, რომლებიც განსაზღვრავს სოფლის დასახლებებს და გამოარჩევს მათ ურბანული დასახლებებისგან, აქცენტი კეთდება იმ სიმბოლოებსა და ნიშნებზე, რომლებსაც ადამიანები წარმოიდგენენ სოფლის დასახლებებზე ფიქრის დროს.

მრავალგანზომილებიანი მიდგომა სოფლის დასახელებების განმარტებისთვის მოსახლეობისა და დასახლების სტრუქტურა და ლანდშაფტი

დემოგრაფიული და ეკოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა, მოსახლეობის სიდიდე და მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველაზე ხშირად გამოიყენება სოფლისა და ურბანული დასახლებებს შორის განსხვავებების დადგენისას. არსებობს ზოგადი კონსესუსი იმის შესახებ, რომ სოფლის დასახლება არის უფრო პატარა და ნაკლებად დასახლებული, ურბანულთან შედარებით ნახ.1-1.

ასევე მიიჩნევა, რომ სოფლის დასახლება არის გეოგრაფიულად და სოციალურად იზოლირებული ცენტ-რისგან და წარმოშობილია ურბანული კომპლექსისგან. სოფლის დასახელებები მიიჩნევა "ბუნებრივ" გარემოდ, ხოლო ურბანული ადგილი აშენებულად.



ნახ.1-1. ურბანიზაცია 2020წ.

ეკონომიკა

სოფლის ტერიტორია გამოირჩევა თავისი ეკონომიკური საქმიანობებით და განსაკუთრებით იმ ტიპის პროდუქციითა და სერვისებით, რომელიც იწარმოება. ტრადიციულად, სოფლის ეკონომიკა ხასიათდება იმით, რომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველად წარ-მოებასთან, როგორიცაა; ფერმერობა, მეტყეევეობა, წიაღისე-ულის მოპოვება, ეს არის იმ ტიპის საქმიანობები, რომელსაც ზოგადად ადამიანები მიიჩნევენ სოფლის დასახლების წარმოდგენისას. სოფლის ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე და სოფლად მომუშავე პირები მოიპოვებენ სარჩო-საბადებელს და საქმდებიან სხვადასხვა სამუშაოებზე, აქედან ზოგიერთი გარკვეულ დისტანციაზე მდებარეობს, ნაწილი ლოკალურად.

სოფლის ეკონომიკა არ გამოირჩევა მხოლოდ ეკონო-მიკური საქმიანობების ხასიათით, არამედ, მეურნეობების რაოდენობითა და ზომით, ეკონომიკური საქმიანობების მრავალფეროვნებით ან სიმწირით და ასევე იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება მოცემული ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი-ადგილობრივად თუ დისტანციურად. რაც შეეხება ეკონომიკურ შეფასებებს, მიიჩნევა, რომ სოფლის დასახლება წარმოდგენილია სამუშაოებისა და კომპანიების მცირე რაოდენობით, რომელიც შედგება მცირე მოცულობის მეურნეობებისგან, სოფლად არ არის ეკონომიკური მრავალფეროვნება და ეკონომიკური საქმიანობების მართვა ხდება გარედან.

ინსტიტუტები

სოფლის და ქალაქის დასახლებები განსხვავდება ინსტიტუტების კომპლექსურობითა და სიმძლავრით. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ადგილობრივ თვითმართველობასთან და საჯარო სექტორთან მიმართებაში. მაშინ როცა ურბანული ადგილებში მმართველობა ხასიათდება ძლიერი მენეჯერული და ტექნიკური შესაძლებლობებით, სოფლის თვითმართველობა შეზღუდულია სახელმწიფო მმართველობისა და ტექნიკური სპეციალისტების თვალსაზრისით. ურბანული მმართველობა უფრო ძლიერია სოფლის თვითმმართველობასთან შედარებით ფინანსური რესურსების მოპოვების თვალსაზრისით, რომელიც საჭიროა საჯარო სერვისებისა და სხვა ვალდებულებების განხორციელებისთვის, მაგრამ ბიუჯეტის შესაძლებლობა საკმაოდ ცვალებადია ურბანულ მმართველობაშიც. სოფლის დასახლება ხასიათდება უფრო შეზღუდული არჩევანით ისეთი ინსტიტუტების მხრივ, როგორიცაა რელიგიური კონფესიები, კლუბები, ასოციაციები და სერვისის მიმწოდებელი კომპანიები.

სოციალურ-კულტურული მახასიათებლები

მიიჩნევა, რომ სოფლის დასახლება განსხვავდება ურბანულისგან სოციალურ-კულტურული თვისებების თვალსაზრისით, მაგრამ ფაქტები ამას არ ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების ზოგიერთი ასპექტი სახეზეა და დადასტურებულია,

ბევრი სოციალურ-კულტურული მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებს სოფლის დასახლების შესახებ წარმოდგენებს თანდათან ქრება სოციალური, დემოგ-რაფიული და ტექნოლოგიური ცვლილების მიმდინარე პროცესების შედეგად. სოფლისა და ურბანულ დასახლებას შორის განსხვავება სოციალური მახასიათებლების მხრივ არის ყველაზე მყარი, რასაც ემპირიული ანალიზი ადასტურებს. მაგალითად, არსებობს ფაქტები იმის შესახებ, რომ სოფლის მაცხოვრებელები არიან სოციალურად უფრო კონსერვატიული. კვლევები აჩვენებს, რომ სოფლის მაცხოვრებლები ხმას აძლევენ კოსერვატიულ კანდიდატს შეერთებული შტატებში.

ასევე მიიჩნევა, რომ სოფლის დასახლება უფრო ერთგვაროვანია რასობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით, შეერთებულ შტატებში ეს სამართლიანია ბევრი რეგიო-ნისთვის. ასევე ითვლება, რომ სოფლის თემისთვის დამახასიათებელია უფრო ახლო და მჭიდრო პირადი ურთიერთობები, მაშინ როცა ურბანულ ადგილებში სოცია-ლური ურთიერთობა წარმოდგენილია უფრო ორგანიზა-ციულ და სამსახურებრივ დონეზე. მსგავსად ამისა, მიიჩნევა, რომ სოციალური წყობა სოფლის დასახლებებში შენარჩუნე-ბულია არაოფიციალური მართვის გზით, მაშინ როცა ურბანულ ადგილებს ესაჭიროება ოფიციალური მართვა და მესამე მხარის ჩარევა.

ადგილმდებარეობის მიდგომის კრიტიკა

ადგილმდებარეობის მიდგომა გულისხმობს სოფლის დასახლებების განსაზღვრას და ამ გეოგრაფიული ადგი-

ლების შედარებას იმ ადგილებთან, რომელიც არ არის სოფლის ტერიტორია. მსგავს მიდგომას გააჩნია შეუსაბამობები, რომელიც არ არის ფატალური, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

პირველ რიგში, ამ მიდგომის მიხედვით, ურბანული და სოფლის დასახლებები დაჯგუფებულია და დაყოფილია ორ კატეგორიად, რომლის მიხედვით ისინი მკაცრად გამიჯნულია ერთმანეთისგან. ეს არ არის სწორი. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მახასიათებელი იქნება გამოყენებული-დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური ან სხვა, ეს დაყოფა ყოველთვის იქნება შერჩევითი.

სოციოლოგებმა შექმნეს ანალიტიკური კატეგორიები, რომლის მიხედვით შესაძლებელია სოციალური განსხვავებისა და სოციალური ცვლილების შესწავლა გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე დასახლებულ მოსახლეობაში გარკვეული პერიოდის მანძილზე. მათი მიზანია ცვალებადობის (მოსახლეობის ზომის, სიმჭიდროვის, შემადგენლობის, ეკონიმიკის, პოლოტიკური პროცესის მხრივ) შემცირება კატეგორიის შიგნით, მაშინ როცა ცვალებადობის გაზრდა ხდება კატეგორიებს შორის. სოციალური კატეგორიები არ არის ერთგვაროვანი და ეს ეხება, როგორც სოფელს, ასევე ქალაქს. ამერიკის შეერთბეული შტატების მთავრობის მიერ ოლქების დაყოფა ქალაქისა და არაქალაქის ტერიტორიად არის ამის კონკრეტული მაგალითი. ქალაქის კატეგორია არის მრავალმხრივი დემოგრაფიული, ეკონომიკური, ინსტიტუციური და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების მიხედვით, მაგრამ არაქალაქის კატეგორია უბრალოდ მრავალმხრივია. მაგალითად ავიღოთ ნიუიორკის ჩრდილოეთ ნაწილი, რომელიც წარმოადგენს

ქვეყნის საზღვარს კანადასთან. შვიდივე ოლქი ამ საკმაოდ იზოლირებულ რეგიონში მიეკუთვნება არაქალაქის ტერიტორიას, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ჰამილტონის ოლქში, მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 5,162-ს, ჯეფერსონის ოლქში-114,000-ზე მეტს. ასევე ეს ოლქები განსხვავდება დასაქმების მხრივ. ლევისის ოლქში ათიდან ერთი სამუშაო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, რითაც ის გამოირჩევა სხვა ოლქებისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოფლის შედარება ქალაქთან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს შედარება ხშირად ფარავს იმ არსებით მრავალფეროვნებას, რომელიც არსებობს თავად სოფლის ან ქალაქის დასახლებას შორის.

რა წარმოდგენები და დამოკიდებულება აქვს დედაქალაქში მაცხოვრებელ საზოგადოებას სოფლის მაცხოვრებლებისა და დასახლებების მიმართ?

ჩრდილოეთ ამერიკელებსა და ევროპელებს გააჩნიათ დადებითი წარმოდგენა სოფლის დასახლებების შესახებ. ეს წარმოდგენები ყოველთვის არ შეესაბამება სოფლად არსებულ რეალობას. დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, ბრიტანელების დამოკიდებულების შესახებ კვლევამ აჩვენა, რომ კვლევაში ჩართულ პირთა მხოლოდ 5% აირჩევდა დიდ ქალაქში ცხოვრებას, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის შემთხვევაში და 65% იცხოვრებდა პატარა ქალაქებსა ან სოფელში. ასეთმა პოზიტიურმა ხედვებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ადამიანთა მიგრაციისა და დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებებზე და ასევე ეროვნული პროგრამების პოლიტიკურ მხარდაჭერაზე, რომელიც თავის

მხრივ მიმართულია სოფლის მაცხოვრებლებისა და თემის დახმარებისკენ.

1970-იანი წლების დასაწყისში, ამერიკაში სოციოლოგებმა სისტემატურად დაიწყეს დასახლებების ზომის შესწავლა ადგილის უპირატესობიდან გამომდინარე. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო იმ პერიოდში, ვინაიდან ურბანული და სოფლის მოსახლეობის გადანაწილების გრძელ-ვადიანი ტრენდი შეიცვალა ურბანული კონცენტრაციიდან დეკონცენტრაციისკენ. 1970-იან წლებში ჩატარდა კვლევები იმის გასაგებად, თუ რატომ მოხდა მოსახლეობის ურბანიზაციის გრძელ-ვადიანი ტრენდის ცვლილება? იყო თუ არა ეს ცვლილება განპირობებული ეკონომიკური ან სოციალური ფაქტორებით და თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები თამაშობდა თუ არა გარკვეულ როლს? გლენ ფურგუიტისა და ჯეიმს ზუიჩის კვლევამ (1975წ.) აჩვენა, რომ საზოგადოება უპირატესობას ანიჭებდა სოფელსა და პატარა ქალაქებს, განსაკუთრებით თუ სოფლის დასახლება მდებარეობს დიდი ქალაქიდან უფრო მოშორებულ დისტანციაზე. ამერიკის ეროვნული კვლევის მიხედვით, ამერიკელთა 75% ამჯობინებდა ცხოვრებას ისეთ ადგილას, რომლის მოსახლეობა 50,000 ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 56% ცხოვრობდა ასეთ ადგილებში. გარდა ამისა, კვლევებმა აჩვენა, რომ პირების მიერ სოფლად ცხოვრების სურვილი განპირობებული იყო ურბანული გარემოს უარყოფითი ასპექტებით, მაშინ როცა ეკონომიკური შესაძლებლობები უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული უფრო დიდ ქალაქებთან.

კვლევებმა აჩვენა, რომ პატარა ქალაქებისა და სოფლის მიმართ უპირატესობის განწყობა შენარჩუნდა 1970-იან წლებში.

მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის მხრიდან პატარა ქალაქებისა და სოფლის მიმართ უპირატესობა წარმოადგენს სოფლად ცხოვრების დადებითი და ურბანულ ადგილებში ცხოვრების უარყოფითი მხარეების ნარევს.

ვილიტმა და მისმა კოლეგებმა უფრო ღრმად შეისწავლეს ეს საკითხი, მათ შეადგინეს კითხვარი, რომელიც შედგებოდა 35 განაცხადისგან ურბანული და სოფლის ცხოვრების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების შესახებ და კითხვები დაუსვეს პენსილვანიის მაცხოვრებლებს. ამ გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთიდაიგივე რესპონდენტები, რომლებიც ეთანხმებოდნენ სოფლის ცხოვრების შესახებ პოზიტიურ შეხედულებებს, ჰქონდათ უარყოფითი შეფასებები ურბანული ცხოვრების შესახებ და უარყოფდნენ სოფლად ცხოვრების უარყოფით ასპექტებს. სოფლის ცხოვრების დადებითი ასპექტები მოიცავდა ოჯახური და თემთან ურთიერთობების, კეთილმეზობლური ურთიერთობების ხარისხს, ბუნებასთან სიახლოვეს, მაშინ როცა ურბანული ცოხვრების უარყოფითი ასპექტები გულისხმობდა სწრაფ ტემპს და სტრესის მაღალ რისკს.

რატომ არის მნიშვნელოვანი სოფლის მაცხოვრებლები და დასახლებები ქალაქის საზოგადოებისთვის?



ნახ.1-2. აშშ-ის სოფლის მოსახლეობის რაოდენობის (%) შედარება სხვა მაჩვენებლებთან. 2006წ.

რატომ უნდა იყოს სოფელი და სოფლის დასახლება ჩვენი ზრუნვის საგანი?

პირველ რიგში, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მხოლოდ 15-30% ცხოვრობს სოფლად და ეს რაოდენობა წარმოადგენს დიდ უმცირესობას. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, 2006 წელს სოფლის მოსახლეობის წილი შეადგენდა 17%-ს, ეს არის 60 მილიონი ადამიანი. უფრო მეტიც, სოფლის მოსახლეობა ზომით აჭარბებს სხვა მნიშვნელოვან ქვეჯგუფებს, როგორიცაა ესპანურად მოსაუბრე მოსახლეობა (43.2 მილიონი-14.7%), აფროამერიკელები (40.2 მილიონი-13.7%), 65 წლის და ზევით ასაკის პირები (37 მილიონი-12%). ნახ.1-2 შესაბამისად, ის პრობლემები და შესაძლებლობები, რაც გააჩნია სოფლად

ცხოვრებასა და მუშაობას იმსახურებს ყურადღებას. სოფლის მოსახლეობა არის სოციალურად, დემოგრაფიულად და პოლიტიკურად მრავალფეროვანი და მას შეუძლია მობილიზება როგორც ერთ კოლექტივს. მსგავსი მობილიზაცია ასახავს სოფლის „იდენტობას“ უფრო სოციალური შეფასების თვალსაზრისით, ვიდრე ეკონომიკური ინტერესის მხრივ.

შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოფლის მაცხოვრებლებს გააჩნიათ უფრო კონსერვატიული დამოკიდებულება აბორტის, სექსუალური განათლების, ჰომოსექსუალიზმის და სხვა სოციალური საკითხების მიმართ და ასევე სოფლის მოსახლეობა, როგორც წესი, ხმას აძლევს უფრო კონსერვატიულ კანდიდატს ადგილობრივ და ფედერალური ორგანოს არჩევნებში. მრავალი პოლიტიკური ანალიტიკოსი შეერთებულ შტატებში ამტკიცებს, რომ სოფლის მაცხოვრებლების ხმები წარმოადგენს მთავარ კომპონენტს კონსერვატიული კანდიდატის არჩევისთვის. მაგალითად, 2006 წელს ჰამილტონმა აჩვენა, რომ სოფლის მოსახლეობის ხმებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტის პოსტზე ხელახალი არჩევნების დროს.

სოფელი და მისი დასახლება იმსახურებს ყურადღებას ასევე ტერიტორიულ თანაბრობასთან დაკავშირებული პრეტენზიების თვალსაზირისით. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ქალაქსა და სოფელს გააჩნია განსხვავებული შესაძლებლობები, პროფესიებისა და წარმოების განსხვავებული წყობა და სტრუქტურა. ამის შედეგად, სოფლის მაცხოვრებელს აქვს ნაკლები წვდომა კარგი სამსახურისა და მყარი შემოსავლისადმი, რის გამოც სოფლად ცხოვრება უარყოფით გავლენას ახდენს ცხოვრების შანსებსა და

შესაძლებლობებზე. სოფელში დასაქმებული ადამიანები კარგი განათლებით დგანან დილემის წინაშე. ისინი უნდა გადავიდნენ ქალაქში და იქ ეძიონ კარგი სამსახური ან გადაადგილდნენ დიდ მანძილზე სამუშაოს პოვნის მიზნით. განათლების ხარისხი სოფლად დაბალია, შესაბამისად სოფლის ახალგაზრდობა წარმოადგენს უფრო დაბალ შრომით კაპიტალს ქალაქის ახალგაზრდობასთან შედარებით. კარგი ანაზღაურების სამუშაოს არსებობის პირობებშიც კი, სოფლის მაცხოვრებელს დაბალი განათლებით ნაკლები შანსი გააჩნია მიიღოს აღნიშნული სამუშაო.

ადამიანის საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის შეადგენს მისი პიროვნული იდენტობის ნაწილს. კითხვაზე-ვინ ხართ თქვენ?, ადამიანის პასუხი მოიცავს პიროვნულ თვისებებს და ასევე საიდან არის ის წარმოშობით.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 15-30% ცხოვრობს სოფლად, ისინი ფლობენ მიწის, წყლის, მინერალურ და სხვა რესურსებს უფრო მეტად, ვიდრე ქალაქის მოსახლეობა. იმ ეპოქაში, სადაც საკვები პროდუქტებისა და ენერგიის მიწოდება ხდება საკმაოდ არასტაბილური და სადაც გარემოს მდგრადობა გავლენას ახდენს სოციალურ მდგრადობაზე, სოფელს ენიჭება დამატებითი ღირებულება და მნიშვნელობა.

მაღალი ურბანიზაციის ადგილებში, სოფელი დამოკიდებულია ქალაქზე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროდუქციისა და სერვისების მხრივ, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ ურთიერთდამოკიდებულ გარემოში, სოფელსაც ასევე დიდი გავლენა გააჩნია ქალაქზე.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის უმეტესი ინფრასტრუქტურა (რკინიგზა, ხიდები, კაშხალი, ჯებირი, რკინიგზა, ენერგოგადამცემი ხაზები) მდებარეობს სოფლად. ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობა, მისი ეკონომიკის ეფექტიანობა და გაზრდილი კონკურენცია და უნარი მოახდინოს რესურსების მობილიზაცია ეროვნულ პრიორიტეტებთან მიმართებაში დამოკიდებულია სატრანს-პორტო და კომუნიკაციის სისტემებზე, რომელთა მართვა და კონტროლი ხორციელდება ადგილობრივი მთავრობის მიერ და ამ სისტემების უმრავლესობა განლაგებულია სოფლის ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარე, სოფელს უზარმა-ზარი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის და საკვები პროდუქტებისა და ენერგიის უსაფრთხოების საქმეში.

თავი 2. ურბანიზაცია

ურბანიზაცია და მოსახლეობის ხელახალი განაწილება

ურბანიზაცია მიეკუთვნება სოციალურ და ეკონომიკურ ფენომენს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის თავმოყრას (კონცენტრაცია), რის შედეგადაც ყალიბდება და ფართოვდება ქალაქი. ურბანიზაციის პროცესი დაიწყო 3000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც სოფლის მეურნეობის განვითარებამ ხელი შეუწყო საკმარისად დიდი ოდენობის საკვები პროდუქტების წარმოებას და ადამიანებს შესაძლებლობა მიეცათ გაეგრძელებინათ საქმიანობა ფერმისგან მოშორებით. ინდუსტრიულ რევოლუციამდე ურბანიზაცია ნელი ტემპით მიმდინარეობდა ევროპაში. რევოლუციის შემდეგ ურბანიზაციის ტემპი იყო სწრაფი მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. მაგალითად, 1800 წელს, დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის ერთი მეოთხედი ცხოვრობდა ქალაქში, ასი წლის შემდეგ ამ ციფრმა მიაღწია 77%-ს. გაეროს მონაცემებით განვითარებული რეგიონების მოსახლეობის 75% ცხოვრობს ქალაქში, ხოლო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში-მოსახლეობის 45%. მაგრამ ურბანიზაცია გაცილებით მეტია ვიდრე ადამიანთა კონცენტრაცია. ის გულისხმობს ადამიანის სოციალური ცხოვრების ღრმა ტრანსფორმაციას.

ურბანიზაციის კონცეპტუალიზაცია და შეფასება. ურბანიზაციის კონცეპტუალიზაციის ორი მიდგომა

მრავალი მეცნიერისთვის ურბანიზაცია არის მხოლოდ დემოგრაფიული პროცესი. მაგალითად, ჰოუპ თისდეილი (Hope Tisdale) განიხილავდა ურბანიზაციას როგორც მოსახლეობის კონცენტრაციის (თავმოყრის) პროცესს, რასაც მოსდევს ქალაქების წარმოშობა. მისი აზრით, ქალაქები ხასი-

ათდება ორი დემოგრაფიული მახასიათებლით-მოსახ-ლეობის ზომა და სიმჭიდროვე. შესაბამისად, ურბანიზაციას განაპირობებს ქალაქებისა და ამ ქალაქების მაცხოვრებლების რაოდენობის ზრდა.

ქვეყანაში მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი მაშინ, როცა ურბანულ ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და სოფლად კი მცირდება ნახ.2-1. სხვა სიტყვებით რომ განვმარტოთ, ურბანიზაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალია სოფელთან შედარებით. თუმცა, სხვა მეცნიერების მოსაზრებით ურბანიზაცია არ ნიშნავს სოფლის მაცხოვ-რებლების რაოდენობის აუცილებელ შემცირებას ან შენე-ლებულ ზრდას. ის უბრალოდ გულისხმობს, რომ ურბანუ-ლი მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი მეტია სოფელთან შედარებით. ზემოთ აღნიშნულმა დემოგრაფიულმა მიდგო-მამ გავლენა მოახდინა სტატისტიკურ სააგენტოებზე ურბანიზაციის დონისა და მაჩვენებლების შეფასების დროს. სხვა მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ურბანიზაცია უფრო მეტია, ვიდრე ადამიანების დიდი რაოდენობით თავმოყრა მაღალი სიმჭიდროვის ადგილებში. ტილისა და სხვა მეცნიერების შეფასებით, ურბანიზაცია მოიცავს ღრმა სოციალურ ცვლილებას და ამ დროს საზოგადოების ტრანსფორმაცია მიმდინარეობს ლოკალური, მცირე-მასშტაბიანი ერთგვარო-ვანი საქმიანობებიდან და ორგანიზაციური ფორმებიდან ფართო-მასშტაბიან, დიფერენცირებულ და კოორდინირე-ბულ ინსტიტუტებად და საქმიანობებად გარდაქმნის ფონზე. ურბანული დასახლებისა და ეკონომიკის განვითარების შედეგად ყალიბდება საზოგადოება, ვინაიდან დიფერენ-ცირებული და კოორდინირებული საქმიანობების გეოგრა-ფიული კონცენტრაცია ეფექტურია.

ეკონომიკა და მწარმოებლურობა ძლიერდება, როდე-საც ურთიერთდაკავშირებული ფუნქციები ერთიანდება და ადგილი აქვს შრომის კომპლექსური დანაწილების პროცესს.

გარდა ამისა, ურბანიზაციის დროს ქალაქები არა მარტო იზრდება ზომაში, მათი პერიფერიების ცვლილებაც ხდება. ურბანიზაციის პროგრესის შემთხვევაში ადგილი აქვს ერთმანეთთან დაკავშირებული ქალაქების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაძლიერებასა და გაფართოებას მათ ირგვლივ მდებარე პერიფერიულ რეგიონებთან ერთად. ქალაქი და პერიფერია ნაცვლად იმისა, რომ იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სოციალური და ეკონომიკური სივრცე, განიცდის ტრანსფორმაციას და ყალიბდება სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებად.



ნახ.2-1. ამერიკაში ურბანიზაციი ცვლილება წლების მიხედვით 1790-2010წ.წ.

ქალაქისა და პერიფერიის ერთმანეთზე დამოკიდებულება არის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის ადგილების განმსაზღვრელი მახასიათებელი თვისება. უფრო მეტიც, თანამედროვე სამყაროში დიდი ქალაქების

მნიშვნელობა გასცდა სახელმწიფოებრივ საზღვრებს და მიიღო მსოფლიო ქალაქის სტატუსი. ამჟამად, ეს ქალაქები წარმოადგენენ მთავარ კვანძს, რომლის საშუალებითაც გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების მართვა და კონტროლი ხდება.

როგორც ზემოთ იქნა განსაზღვრული, ქალაქისა და სოფლის დასახლება არის მრავალგანზომილებიანი კონცეფ-ცია, რომელიც მოიცავს დემოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სტრუქტურულ ასპექტებს. ურბანიზაციის შეფასებისას სტატისტიკური სააგენტოები მხედველობაში იღებენ თისდეილის რჩევას და აქცენტს აკეთებენ უშუალოდ მოსახლეობის ზომასა და/ან სიმჭიდროვეზე ან ისინი მიმართავენ ურბანიზაციის ეკონო-მიკურ კონცეფციას, რაც გულისხმობს ეკონომიკური საქმია-ნობის მქონე ქალაქის ზონის გამოყოფას მის პერიფერიასთან ერთად. სოფლის დასახლება თითქმის ყველა სტატისტიკურ სისტემაში განიხილება, როგორც ურბანული დასახლების შემდეგ დარჩენილი ადგილი. სტატისტიკური სააგენტოები იშვიათად იყენებენ კულტურულ, ბუნებრივ რესურსებს ან სოციალურ სტრუქტურულ ინდიკატორებს ურბანული და სოფლის მოსახლეობის გარჩევის მიზნით.

ურბანული და სოფლის დასახლების განსაზღვრა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთბეული შტატები იყენებს ორ სხვა-დასხვა მეთოდს ურბანიზაციის შეფასების (დადგენის) მიზნით; (1). ურბანული დასახლების შედარება სოფელთან და ქალაქის შედარება არაქალაქის დასახლებასთან. ამერიკის

მოქალაქეთა აღწერის ბიურო მიმართავს თისდეილის კონცეფციას ურბანული დასახლებების სოფლისგან გარჩევის დროს და იყენებს მოსახლეობის ზომასა და სიმჭიდროვეს. (2). რომელსაც იყენებს ამერიკის მართვისა და ბიუჯეტის ოფისი, მოიცავს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც ხდება დიდი ქალაქების შეფასება. როგორც პირველი, ასევე მეორე მეთოდის დროს სოფლის დასახლებად და არაქალაქის დასახლებად მიჩნეულია ის დარჩენილი ტერიტორია, რომელიც ქალაქს ან ურბანულ ადგილს არ ეკუთვნის.

ურბანული დასახლების შედარება სოფელთან

ურბანული დასახლება მოიცავს ურბანულ გაერთიანებას და ურბანულ ადგილებს. ურბანული გაერთიანების ქვეშ იგულისხმება ცენტრალური ადგილი და მეზობლად მდებარე ტერიტორია სულ მცირე 2500 ადამიანით და როცა ერთ კვადრატულ მეტრზე მთლიანი სიმჭიდროვის მაჩვენებელი 1000 ადამიანს შეადგენს. ურბანული ადგილებში იგულისხმება სპეციალური ურბანული გაერთიანების ქვეჯგუფი, რომლის მოსახლეობა 50, 000 ადამიანზე მეტია. ეს განსხვავება ურბანულ გაერთიანებასა და ურბანულ ადგილს შორის მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქალაქის დასახლება უნდა იყოს მოწყობილი ურბანული ადგილის ირგვლივ.

ქალაქის შედარება არაქალაქის დასახლებასთან

ქალაქში იგულისხმება ურბანული რეგიონები, იგი შედგება ცენტრალური ოლქისგან და მეზობლად მდებარე

ოლქებისგან, რომლებიც თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული ცენტრთან. ცენტრალური ოლქი მოიცავს ურბანულ ადგილებს. მოშორებული ოლქები შევა ქალაქის ტერიტორიაში, იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ოლქის ურბანულ ადგილთან მათი ყოველდღიური მიმოსვლის (იქეთ-აქეთ) მაჩვენებელი შესაფერისი ნორმის ფარგლებშია. ქალაქი-პერიფერიის კონცეფციას დიდი გავლენა ჰქონდა სტატისტიკური პრაქტიკის ფორმირების დროს.

არაქალაქის დასახლებები მოიცავს ოლქებს, რომ-ლებსაც არ გააჩნიათ ურბანული ადგილი დასახლებული 50 000 ადამიანით და ამ დასახლებების სამუშაო ძალა არ არის ინტეგრირებული ქალაქის ცენტრალურ ოლქთან. ამერიკის ოლქების ორი მესამედი არის მიჩნეული არაქალაქის დასახლებად, ამ ტერიტორიებზე დასახლებუ-ლია მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 17%. მეცნიერები აკრიტიკებენ აღნიშნულ სისტემას არა მხოლოდ იმის გამო, რომ არაქალაქის მოსახლეობა მიიჩნევა როგორც დარჩენილი ნაწილი, არამედ იმისთვის, რომ დარჩენილი ნაწილის დი-ფერენციაციას არ მოიცავს. 1975 წლის დასაწყისში ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვირვებით არა-ქალაქის ტერიტორიები ძალიან განსხვავდებოდა ერთ-მანეთისგან და მისი რეკომენდაციით საჭირო იყო ზემოთ მითითებული ორი მეთოდის (ურბანული დასახლების შედარება სოფელთან და ქალაქის შედარება არაქალაქის დასახლებასთან) გაერთიანება.

ამერიკის მართვისა ოფისმა გაითვალისწინა ეს კრიტიკა და შექმნა სტატისტიკური სისტემა, რომელშიც არაქალაქის ოლქები დაჯგუფებულია და წარმოდგენილია ძირითადი დანიშნულების მქონე სტატისტიკური ადგილის

ორ ტიპად. ქალაქის ადგილები განთავსებულია ურბანული ადგილის ირგვლივ, რომლის მოსახლეობა შეადგენს 10,000-დან 49,999 ადამიანს, მაშინ როცა „არაძირითადი“ ადგილები არის ოლქები, რომლის მოსახლეობა 10 000 ადამიანია.

ტრადიციული სტატისტიკური პრაქტიკის კრიტიკა

ზემოთ აღწერილ ურბანულ და სოფლის დასახლების დაყოფას გააჩნია შესაძლებლობა აღწეროს და შეადაროს მოსახლეობა, შეისწავლოს გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელიც დგას სხვადასხვა საზოგადოებისა და თემის წინაშე. თუმცა, შეერთებულ შტატებში და სხვა უმეტეს ქვეყნებში ურბანულ-სოფლის დასახლების შეფასებას აქვს სუსტი მხარეები, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული, როცა დემოგრაფიული მონაცემების გამოყენება ხდება კვლევის, განათლების და/ან პოლიტიკის მიზნებისთვის. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ზომის, სიმჭიდროვის, ოლქის შიდა გადაადგილების ან სხვა სოციალური, ეკონომიკური, ან დემოგრაფიული მაჩვენებლების ზღვარი არის პირობითი.

არსებობს უთანხმოება მოსახლეობის ზომისა და სიმჭიდროვის სათანადო და მეცნიერულად დაზუსტებული ზღვრული მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც განაპირობებს ურბანული და სოფლის დასახლების დიფერენციაციას და ეს უთანხოება ასახულია სხვადასხვა სტატისტიკურ პრაქტიკაში. მაგალითად, ევროპაში ურბანული დასახლების ზომის მინიმალური ზღვარი მერყეობს 1,500-დან (ირლანდია) 20,000-მდე (შვეიცარია). როგორც ირკვევა

მსოფლიოს 228 ქვეყნიდან მხოლოდ 98 იყენებს მოსახ-ლეობის ზომისა და სიმჭიდროვის მაჩვენებლებს ურბანული ადგილის დადგენის მიზნით. საპირისპიროს აქვს ადგილი მოდალური მიდგომის დროს, რომლის მიხედვით ურბა-ნული დასახლება დგინდება ადმინისტრაციული კრიტე-რიუმების მიხედვით მოსახლეობის ზომის, სიმჭიდროვის და სხვა მახასიათებლების მიუხედავად.

ურბანიზაციის პროცესის კონცეფციის ჩამოყალიბება და ამ პროცესის შეფასება საჭიროა, როგორც ადგილების ცვლადი მახასიათებელი და არა როგორც დისკრეტულ კატეგორიათა ჯგუფი. შესაბამისად, ადგილები უნდა დაჯგუფდეს დაწყებული სოფლის დასახლებიდან და იმ ადგილებიდან, რომლებიც მიიჩნევა როგორც არაძირითადი ადგილები შეერთებული შტატების სტატისტიკურ სისტემაში, დამთავრებული გლობალური მეგა ქალაქებით, როგორიცაა ნიუ იორკი, ლონდონი, პარიზი. არსებობს ადგილები, რომლებიც ამ ორ მახასიათებელს შორისაა; არც სოფელია და არც ურბანული დასახლება. ეს ადგილები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ხშირად ისინი მდებარეობენ დიდი ქალაქების პერიფერიებზე და ექვემდებარებიან სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მხრივ ღრმა ტრანსფორმაციას.

შეფასების ყველა სისტემა სოციოლოგიაში შეტანილი სისტემების ჩათვლით ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს კატეგორიებს შორის განსხვავება, მაშინ როცა მინიმუმამდე ამცირებს კატეგორიის ცვალებადობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციოლოგიაში მითითებული კატეგორიები, ისეთები რომლებიც აფასებენ ურბანიზაციის დონესა და სიჩქარეს, არ არის ერთგვაროვანი და ერთჯერადი.

მრავალი მეცნიერი თანხმდება, რომ ურბანიზაცია მოიცავს დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, ინსტიტუციურ და სოციალურ-კულტურულ პარამეტრებს, მაშინ როცა სტატისტიკის პრაქტიკა უფრო მაღლა დგას დემოგრაფიულ და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ურბანული და სოფლის დასახლების შეფასებისთვის საჭირო შესაბამისი მონაცემების არსებობის შემთხვევაშიც კი, მსგავსი შეფასების გაკეთება იქნებოდა შეუძლებელი. მეორე საკითხია რასობრივი და ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ უფრო ძლიერ კონკურენტებს ფედერალური სტატისტიკური ბიუჯეტისთვის, ვიდრე დასახლების სტრუქტურა, გეოგრაფიული განსხვავება, სოფელთან ან ურბანულ ადგილთან დაკავშირებული გამოწვევები.



ნახ.2-2. ურბანიზაცია 1950-2050წ.წ.

რატომ ხდება მოსახლეობის თავმოყრა ურბანულ ადგილებში?

უმეტესი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია არის განუყოფელი პროცესი. ნახ.2-2. ეს შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდა ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და სხვა მაღალი განვითარების რეგიონების ინდუსტრიალიზაციის დროს, მაგრამ შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს დღევანდელი განვითა-რებადი ქვეყნების შემთხვევაში? ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ კონცეპტუალურ მოდელს, რომლის მიზანია განვითარებულ რეგიონებში ურბანული მოსახლეობის თავმოყრის გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა, შემდეგ შევადარებთ მას დღევანდელ სიტუაციას, რომელსაც ადგილი აქვს ნაკლებად განვითარებად რეგიონებში, სადაც ურბანიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

დემოგრაფიული თანაფარდობა

ურბანული მოსახლეობის გადანაწილება უკავშირდება დემოგრაფიულ თანაფარდობას, როდესაც ურბანული ადგილი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე სოფელი. ქვემოთ მოცემულია მარტივი განტოლება, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ იწვევს ორი კომპონენტის მონაწილოება მოსახლეობის ზრდის სიჩქარის ცვლილებას ურბანულ და სოფლის დასახლებებში ან სხვა სახის გეოგრაფიულ ადგილებში.

მოსახლეობის ზრდა= f (ბუნებრივი ზრდა + სუფთა მიგრაცია)

ეს დემოგრაფიული ტოლობა გვიჩვენებს, რომ ურბანულ და სოფლის დასახლებას შორის განსხვავება ქვეყნის მოსახლეობის ზრდის ტემპის მხრივ სახეზეა მაშინ, როცა ურბანული მოსახლეობა აჭარბებს სოფლისას ბუნებრივი ზრდის (დაბადება-სიკვდილი) მაჩვენებლის მიხედვით და/ან როცა სუფთა მიგრაციის მაჩვენებელი იზრდება (შიდა მიგრაცია-გარე მიგრაცია). როდესაც ურბანულ დასახლებაში ადგილი აქვს მაღალ ბუნებრივ ზრდას და ასევე მაღალ შიდა მიგრაციას, ურბანიზაცია გარდაუვალია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი კომპონენტის ცვლილება არ არის სავალდებულო ფაქტორი იმისთვის, რომ ურბანიზაცია მოხდეს. მნიშვნელოვანი კითხვა მდგომარეობს შემდეგში; რომელი სოციალური და ეკონომიკური პროცესები უწყობს ხელს ბუნებრივ ზრდასა და შიდა მიგრაციას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ურბანული და სოფლის დასახლებებს შორის განსხვავებას? ამისთვის საჭიროა ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ურბანიზაციის შესწავლა ინდუსტრიული რევოლუციის დროს.

ინდუსტრიულ რევოლუციამდე დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის მაჩვენებელი მერყეობდა, მას ჰქონდა ზრდისა და შემცირების პერიოდები. ამის შედეგად, მოსახლეობის ზომა რჩებოდა შედარებით პატარა და მუდმივი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. იმ დროისთვის სიკვდილიანობის მაჩვენებელი იყო მაღალი და არაკონტროლირებადი და ასევე შობადობის მაჩვენებელი იყო მაღალი და არაკონტროლირებადი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დაწყებული იყო დემოგრაფიული

სიტუაციის მხრივ გარდამავლი პერიოდი. ეს სიტუაცია გაგრძელდა მე-18 საუკუნის ბოლომდე, როდესაც სოციალურმა ცვლილებებმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეამცირა სიკვდლიანობის კოეფიციენტი, რომელმაც შობადობის მაღალ მაჩვენებელთან ერთად განაპირობა ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლის ზრდა, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. სოფლის დასახლებებში მოსახლეობის ბუნებრივმა ზრდამ შედეგად მოიტანა მოსახლეობასა და მიწის რესურსებს შორის ბალანსის დარღვევა, რამაც განაპირობა ჭარბი მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში. ბუნებრივმა ზრდამ ქალაქებში სუფთა შიდა მიგრაციის მაღალ მაჩვენებელთან ერთად ხელი შეუწყო ურბანული მოსახლეობის სწრაფ ზრდას. საინტერესოა რატომ მოხდა ინდუსტრიული რევოლუციის დროს სიკვდილიანობის შემცირება, რამაც განაპირობა მოსახლეობის ზრდა და საბოლოოდ ურბანიზაციის პროცესი? რა ძირითადი ფაქტორები მოქმედებდა იმ პერიოდსთვის, რომელმაც შედეგად მოიტანა სოფლიდან ქალაქში მიგრაციის გაზრდა?

ბუნებრივი ზრდა

ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისში სიკვდილიანობა იყო მაღალი როგორც სოფლად, ასევე ურბანულ დასახლებებში, რასაც ძირითადად განაპირობებდა მოსავლის ნაკლებობა და ეპიდემიები. განსაკუთრებით ქალაქი იყო ჯანმრთლეობის მხრივ არაუსაფრთხო ადგილი, თუმცა სოფლიდან ქალაქში სუფთა მიგრაციამ შედეგად მოიტანა ურბანული მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა. რატომ შემცირდა იმ პერიოდში სიკვდილიანობის მაჩვენებელი? ამის პასუხი შეიძლება იყოს მედიცინის სფეროში მიღწეული

პროგრესი. მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ლევუენ ჰუკმა აღმოაჩინა მიკროორგანიზმები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში და ასი წლის შემდეგ პასტერმა და კოჰმა დაამტკიცეს კავშირი მიკრობსა და დაავადების გავრცელებას შორის. შესაბამისად, სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების მიზეზი სხვაა.

გაუმჯობესებული კვება წარმოადგენს სიკვდილიანობის შემცირების ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს. ტექნიკურმა და სოციალურ-ორგანიზაციულმა ცვლილებებმა გააფართოვა კვების შესაძლებლობები, საკვები პროდუქტები გახდა უფრო საიმედო და საკვები ინგრედიენტებით მდიდარი, საკვები პროდუქტების გადატანა წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე გაიოლდა. კარტოფილმა, რომელიც მარცვლოვან კულტურებზე უფრო მდიდარი იყო, ჩაანაცვლა ისინი, მოხდა კულტურების მონაცვლეობა, უკეთესი სარწყავი სისტემის შექმნა, შინაური ცხოველების გამრავლება, ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შემოტანა და შენახვის უკეთესი პირობების უზრუნველყოფა, რამაც ერთიანობაში გაუმჯობესა კვება. კვების გაუმჯობესებამ შედეგად მოიტანა დაავადებების მიმართ ადამიანთა მგრძნობელობის შემცირება და გაზარდა ინფექციებთან ბრძოლის უნარი. დედის გაუმჯობესებულმა კვებამ განაპირობა უფრო ჯანმრთელი ახალშობილის დაბადება კარგი წონით, შესაბამისად, შემცირდა ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესდა, განსაკუთრებით ეს შეეხო სასმელ წყალს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სიკვდილიანობა დასავლეთ ევროპასა და

ჩრდილოეთ ამერიკაში ინდუსტრიალიზაციის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ დაავადების გავრცელების სპეციფიური მექანიზმი ჯერ კიდევ უცნობი იყო, მეცნიერებმა დაიწყეს იმის გაანალიზება, რომ დაავადების წარმოშობასა და საცხოვრებელ პირობებს შორის არის კავშირი. საცხოვრებელ პირობებში იგულისხმებოდა წყლის მიწოდება, ზოგადი სისუფთავე, ნარჩენების განადგურება, ვენტილაცია და გამაღიზიანებელი ქმედებების კონტროლი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაუმჯობესებული სანიტა-რული პირობები აღმოჩნდა ეფექტური საშუალება ქოლერასა და ტუბერკულოზთან საბრძოლველად, გარემომცველი სამყაროს ჰიგიენა გახდა სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნისთვის.

სოფლიდან ქალქში მიგრაცია

მაშინ როცა ბუნებრივმა ზრდამ ხელი შეუწყო, როგორც სოფლის ასევე ურბანული მოსახლეობის ზრდას ინდუსტრიალიზაციის დროს, შიდა მიგრაცია აშკარად მიმართული იყო ურბანულისკენ. სოფლიდან ქალაქში მიგრაცია გახდა მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამაც განაპირობა ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარება სოფელთან შედარებით.

რამ განაპირობა ხალხის მოძრაობა სოფლიდან ქალაქში? უპირველეს ყოვლისა ამის მიზეზია აგრარული რევოლუცია, რომელმაც ხელი შეუწყო სიკვდილიანობის შემცირებას და ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლის გაზრდას როგორც სოფლად, ისე ქალაქში, ამ ფაქტმა, თავის მხრივ, გამოიწვია სოფელში უმუშევრობის დონის მომატება და სოფლის მოსახლეობის გადაადგილება. სასოფლო-

სამეურნეო ტექნოლოგიამ გაზარდა მწარმოებლურობა და შეამცირა სოფლად მუშა-ხელის საჭიროება. მიწის მფლობელებს სჭირდებოდათ უფრო მეტი მიწა, რომ მოგება მიეღოთ ახალ ტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციებისგან. მათ შემოღობეს მიწები და აიძულეს გლეხები და ფერმერ-არენდატორები დაეტოვებინათ ეს მიწები. სოფლის ინდუსტრიის არ არსებობის პირობებში, უმუშევარი მუშა-ხელის რაოდენობის ზრდამ, აიძულა სოფლის მოსახლეობა წასულიყო ქალაქში.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა სოფლად მუშა-ხელზე მოთხოვნის შემცირება, მაგრამ გაიზარდა მოთხოვნა ქალაქში. საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვამ საფეიქრო მრეწველობაში, მეტალურგიაში და ტანსაცმლის წარმოებაში გააფართოვა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება და გზა გაუხსნა ახალ წარმოებას. ორთქლის ძრავის გამოგონებამ 1800-იანი წლების დასაწყისში დიდი გავლენა მოახდინა ინდუსტრიული წარმოების მასშტაბსა და ადგილმდებარეობაზე ნახ.2-3. ორთქლის ძრავების წარმოებას ადგილი ჰქონდა ქალაქებში, ვინაიდან ორთქლი კარგავს ენერგიას გადაადგილების შემთხვევაში. შესაბამისად, წარმოების კონცეტრაცია მოხდა უმეტესად ურბანულ ადგილებში. ორთქლის ძრავის გამოგონებამ შედეგად მოიტანა ტრანსპორტის ახალი სახეობის შექმნა, როგორიცაა გემები, რომლებიც ორთქლის ძრავაზე მუშაობდნენ, ასევე სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჭარბი სოფლის მეურნეობის პროდუქტის იმპორტი ქალაქში მუშა-ხელის გამოსაკვებად.



ნახ.2-3. ინდუსტრიალიზაცია.

მხოლოდ ტექნოლოგია არ წარმოადგენდა ურბანიზაციის აუცილებელი პირობას. ტილის (Tilly -1974) შეფასებით, წარმოების პროცესის მართვისა და ორგანიზების გარეშე მანქანა-დანადგარები ვერ გამოიწვევდნენ ურბანული მოსახლეობის ზრდას. იგი განიხილავდა ორი სახის ორგანიზაციულ ინოვაციას-კაპიტალიზმსა და სახელმწიფოს. კაპიტალიზმი გულისხმობდა ბაზრის არსებობას, სადაც წარმოებული პროდუქციის გაცვლა იყო შესაძლებელი, შრომის დანაწილებას, რომელიც ფუნქციურად აერთიანებდა მრავალი სპეციალისტის სამუშაოს და ბიუროკრატიის არსებობას, სადაც დადგენილი წესები ანაცვლებდა არაოფიციალურ ნორმებს, რაც წარმოადგენდა ურთიეთობის რეგულირების საშუალებას მუშებსა და მფლობელებს, მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. სტაბილური ცენტრალიზებული სახელმწიფოები და ანგარიშვალდებული ადგილობრივი თვითმმართველობები ხელს უწყობდნენ ურბანიზაციას სიტუაციის დარეგულირების გზით, როცა

კოლექტიურ საქმიანობაზე არსებობს უწყვეტი მოთხოვნა. სახელმწიფო აფართოვებდა ვაჭრობისა და შრომის რეგულაციებს და უფრთხილდებოდა გარე კავშირებს და შესაბამისად, ინვესტიციებს ხდიდა ნაკლებ რისკიანს და უფრო მიმზიდველს. გარდა ამისა, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებები საშუალებას აძლევდა ქალაქებს მოეხდინა ბუნებრივი და ადამიანური რესურსების მობილიზაცია ურბანული წარმოებების სასარგებლოდ. როდესაც ქალაქი და მისი პერიფერია ერთად განიცდიდა პროგრესს, ქალაქს ეჭირა წამყვანი ადგილი.

ახდენს თუ არა იგივე ფაქტორები გავლენას განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციის პროცესზე დღეს?

განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციის შესახებ საუბრისას ისმის კითხვა-თუ რატომ მიდის ხალხი სოფლიდან ქალაქში, როცა იქ უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია. სხვა სიტყვებით რომ განვმარტოთ, რატომ მიდიან ადამიანები შეზღუდული დასაქმების მქონე ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, სადაც მსგავსი რისკები არსებობს?

ურბანიზაცია დღევანდელ განვითარებად ქვეყნებში მიმდინარეობს მაღალი ბუნებრივი ზრდის ფონზე. მაშინ როცა ბუნებრივი ზრდა წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის ზრდის მთავარ მიზეზს, სოფლიდან ქალაქში მიგრაცია ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გაეროს მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობის ზრდის 54% არის ბუნებრივი ზრდის შედეგი, ხოლო 46%-სუფთა შიდა მიგრაციის. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა სოფლიდან მიდის ქალაქში.



ნახ.2-4. მიგრაცია. დადებითი-ლურჯი, სტაბილური-მწვანე, უარყოფითი-ყავისფერი, მონაცემები არაა-ნაცრისფერი.

მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაცია მომგებიანია დღევანდელი განვითარებადი სამყაროსთვის. უპირველეს ყოვლისა, სოფლად პირობები მძიმეა. შობადობა სოფლად უფრო მაღლია, ვიდრე ქალაქში. შესაბამისად, სოფლად არის მოსახლეობის სიჭარბე და პარალელურად არ არის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამუშაო. მეორე, უმუშვერობის დონე ნამდვილად მაღალია განვითარებად ქვეყნებში, თუმცა, დასაქმების სტატისტიკა ხშირად მალავს იმ შესაძლებლობებს, რომელიც ხელმისაწვდომია ჩრდილოვან ეკონომიკაში. ეს ნიშნავს, რომ ქალაქში სამუშაოთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ეს შეფასებულია სტატისტიკის სააგენტოების მიერ.

მეცნიერები აგრეთვე თვლიან, რომ რაც ჩანს გამაღიზიანებელი ახლო პერსპექტივიდან, შეიძლება აღმოჩნდეს უფრო გონივრული შორეულ პერსპექტივაში. სხვა სიტყვე-

ბით რომ ვთქვათ, შეიძლება სოფლიდან ქალაქში გადასული მიგრანტები უმუშევრები არიან და/ან კარგავენ შემოსავალს, რომელიც ჰქონდათ სოფლად, მაგრამ მათი შემოსავლის გაზრდის პერსპექტივა უფრო მაღალია გრძელ-ვადიანი პერიოდში. მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მიგრაცია არის ოჯახური ხასაითის, შესაძლებელია მიგრანტები ვერ ნახულობენ ეკონომიკურ სარგებელს, მაგრამ მათი შვილე-ბისთვის ხელმისაწვდომი ხდება უკეთესი განათლება და სამედიცინო მომსახურება და ასევე დასაქმების უფრო მაღალი შანსები უჩნდებათ მომავალში. უფრო მეტიც, მიგრაცია ეხმარება ოჯახებს მოახდინოს რისკების დივერ-სიფიკაცია, ვინაიდან ოჯახის წევრები არიან, როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, ამიტომ მათზე ეკონომიკური კრიზისი ნაკლებად აისახება.

ურბანიზაცია შეიძლება იყოს შექცევადი

ურბანიზაციას თან ახლავს სოციალური და ეკონო-მიკური განვითარების პროცესი, ბევრი მეცნიერი მიჩნევს, რომ ეს არის უწყვეტი, შეუქცევადი პროცესი. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც ქალაქის საზოგადოება ვითარდება და მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალიან მაღალია, მოსახლეობის ზრდის ტემპი და სუფთა შიდა მიგრაციის მიმართულება ხშირად იცვლება პატარა, ნაკლებად დასახ-ლებული ადგილების სასარგებლოდ. ამას ეწოდება კონტრ-ურბანიზაცია, რასაც ადგილი აქვს ამერიკაში და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ნახ2-5. კონტრურბანიზაცია განისაზღვრება როგორც მოსახლეობის ხელახალი განაწი-ლება ურბანული ადგილებიდან სოფლად.

ნახ.2-5. კონტრურბანიზაცია

მოსახლეობის მიბრუნება ამერიკულ სოფელში

შეერთებულ შტატებს გააჩნია ოთხი ძირითადი ცვლილება სოფლიდან ქალაქში მიგრაციის მიმართულებით 1970 წლიდან. ამ პერიოდამდე, ქვეყნის ურბანიზაციის დონე იზრდებოდა რეგულარულად მოსახლეობის ყოველი მომდევნო აღწერის დროს. ურბანიზაციის ტემპი შენელდა 1970 წლისთვის, რადგან თითოეული ქალაქის მაცხოვ-რებლისთვის გართულდა ცხოვრების პირობები, ურბანი-ზაციამ კი მიაღწია საკმაოდ მაღალ დონეს. 1975 წელს კალვინ ბეილიმ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოაქვეყნა მონოგრაფია, სადაც აღნიშნული იყო, რომ პირველად ქვეყნის ისტორიაში სოფლის დასახლება იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ქალაქის. უფრო მეტიც, ეს ზრდა განპირობებული იყო ქალაქიდან სოფელში სუფთა შიდა მიგრაციის ზრდის შედეგად. ბეილის ანგარიშს შეხვდნენ სკეპტიციზმით და მას არ დაუჯერეს. სხვა მკვლევარებმა დემოგრაფიულ საკით-ხებში ეჭვის თვალით შეხედეს ქვეყნის მოსახლეობის შეფასე-

ბის მაჩვენებლების სიზუსტეს და ზოგმა მკვლევარმა განაცხადა, რომ სოფლის მოსახლეობის ზრდა იყო უბრალოდ სუბურბანიზაციის შედეგი. ბეილის განცხადებას ელოდა გამოცდა. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ანგარიშის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა პირებმაც კი აღიარეს, რომ სოფლის დასახლებები უფრო სწრაფი ტემპით იზრდება და რომ მოსახლეობის მიბრუნება სოფლისკენ იყო რეალური და მნიშვნელოვანი.

სოფლის მოსახლეობის ზრდის მიზეზები კომპლექსურია, თუმცა არსებობს ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორი; დასაქმების დეცენტრალიზაცია, სოფლის ცხოვრების მოდერნიზაცია, მოსახლეობის დაბერება და სოფლად ცხოვრებისთვის უპირატესობის მინიჭება. ეს ფაქტორები კონტრურბანიზაციის სათავეში დგას. ურბანული ინდუსტრიული კონცენტრაციიდან ათწლეულების გასვლის შემდეგ, წარმოებები გაფართოვდა და განლაგდა სოფლად, სადაც მუშა-ხელი იაფია და უფრო სუსტი რეგულაციები მოქმედებს, ნაკლებად აქტიურია პროფკავშირები და პრეტენზიები ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ. გარდა ამისა, 1970-იან წლებში სოფელში მოგვარდა ელექტროენერგიასთან, გზებთან და სატელეფონო მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები და ის ქალაქის პირობებს გაუთანაბრდა. ეს ორი სტრუქტურული ტრანსფორმაცია-სამუშაო და ინფრაქტურქტურა გულისხმობდა იმას, რომ პირებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდნენ სოფლად ცხოვრებას, შეეძლოთ განეხორციელებინათ თავიანთი სურვილი ეკონომიკური და ცხოვრების სტილთან დაკავშირებული მინიმალური დანაკარგით. გარდა ამისა, ამერიკელი მუშა-ხელის დიდი რაოდენობა

ადრე გავიდა პენსიაში და მათ გააჩნდათ მყარი შემოსავალი. აღნიშნულმა ხანდაზმულმა პირებმა უპირატესობა მიანიჭეს სოფელს, სადაც უფრო დიდი სივრცეა და სხვა ურთიერთობებია დამკვიდრებული. 1970-იან წლებში სოფელში ადამიანების დაბრუნებამ შედეგად არ მოიტანა სოფლის მოსახლეობის ზრდა, მხოლოდ 1980-იანი წლებისთვის, სოფლის მოსახლეობის ზრდის ტემპმა გაუსწრო ქალაქისას და მიგრაციის მაჩვენებელი ქალაქიდან სოფელში გაიზარდა ნახ.2-6. 1980-იან წლებში ურბანულმა სექტორმა მოიპოვა ისევ უპირატესობა, მოახლეობის ზრდას ადგილი ჰქონდა ქალაქში და მიგრაციის ნაკადი იყო სოფლიდან ქალაქში. 1990-იანი წლებში სიტუაცია შეიცვალა და სოფელი გახდა პრიორიტეტული, როგორც მოსახლეობის ზრდის ტემპის, ასევე ქალაქიდან სოფელში მიგრაციის მაჩვენებლის მიხედვით. სიტუაცია შემდეგ წლებში ისევ შეიცვალა და ქალაქმა მაჩვენებლების მიხედვით გაასწრო სოფელს.

1970წ.	1980.წ.	1980-1990წ.წ.	1990წ.	1990წ.-ის შემდეგ
↓	↑	↓	↑	↓
სოფლის მოსახლეობა იკლებს	სოფლის მოსახლეობა იმატებს	სოფლის მოსახლეობა იკლებს	სოფლის მოსახლეობა იმატებს	სოფლის მოსახლეობა იკლებს

ნახ.2-6. ურბანიზაცია და კონტრურბანიზაცია.

ვინაიდან სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ცვლილება გახდა არაპროგნოზირებადი, როგორი იქნება ურბანიზაციის მომავალი ამერიკის შეერთებულ შტატებში? მოხდება ურბანული სექტორის ზრდა გარკვეული

პერიოდის შემდეგ, თუ სოფელს ექნება უპირატესობა? ჩვენი აზრით, გარკვეული პერიოდის მანძილზე სოფლისა და პატარა ქალაქისადმი უპირატესობის მინიჭება შენარ-ჩუნდება, რაც გამოიწვევს ქალაქიდან სოფელში მიგრაციას და ამ უპირატესობას შედეგად მოყვება კონტრურბანიზაცია, სანამ სოფლად ეკონომიკური პირობები შედარებით მყარია, მაგრამ გრძელ-ვადიან პერსექტივაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყნის ურბანიზაციის დონე გაჩერდება დღე-ვანელ მაჩვენებელზე, სოფელს ექნება განვითარებასა და აყვავების პერიოდები, მაგრამ შემდეგ მოხდება მისი შეცვლა უფრო მძიმე პერიოდით, როცა სოფლის ეკონომიკა დაიწყებს შემცირებას და გახდება შედარებით სუსტი. უფრო მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქიდან სოფელში მიგრაცია დამო-კიდებული გახდება სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორიცაა ტრანსპორტირების ხარჯი ან თანამედროვე ინფრასტრუქ-ტურისადმი და სამედიცინო სერვისებისადმი ხელმისაწვდო-მობა. საერთაშორისო მიგრაციის ცვალებადი მიმართულება, რომელიც ბოლო პერიოდამდე არის ურბანული ადგილე-ბისკენ მიმართული, ნიშნავს, რომ საჭიროა სიფრთხილით მოვეკიდოთ ქალაქიდან სოფელში მოსახლეობის ხელახალი განაწილების შესახებ პროგნოზირების გაკეთებას შეერ-თებულ შტატებში.

ამერიკის კონტრურბანიზაციის გამოცდილება არ არის უნიკალური

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას ასევე ჰქონ-და სოფლის აღმავლობის პერიოდი 1970-იან წლებში, თუმცა 1980-იან წლებში სიტუაცია შეიცვალა და ქალაქი გახდა პრიორიტეტული. რვა ევროპულ ქვეყანასა და იაპონიაში ადამიანებმა უპირატესობა მიანიჭეს პატარა ქალაქებსა და

სოფელში ცხოვრებას, მაგრამ 1980-1990 წლებში დასავლეთ ევროპის რვა ქვეყნიდან სამი და სამი სკანდინავიის ქვეყანა დაუბრუნდა თავდაპირველ მდგომარეობას, ხოლო დიდ ბრიტანეთში გაგრძელდა კონტრურბანიზაციის პროცესი. ჩატარებული კვლევების მიხედვით, გაერთიანებული სამეფოში მოსახლეობის ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალია სოფლად. ამ ქვეყანაში კონტრურბანიზაციის პროცესი გრძელდება ბოლო ორმოცი წლის მანძილზე. ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დაბერება ასევე არის სოფლად.

მოსახლეობის ხელახალი განაწილება პოსტ-საბჭოთა უნგრეთში

ზემოთ განხილულ იქნა კონტრურბანიზაციის პროცესი შეერთებულ შტატებსა და სხვა მაღალ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. საერთო არგუმენტი იყო ის, რომ კავშირი განვითარებასა და ურბანიზაციას შორის სუსტდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა მიაღწევს განვითარების მაღალ დონეს. ამის შემდეგ, პირობები ურბანულ და არაურბანულ ადგილებში თანაბარი ხდება და ის სტრუქტურული ასპექტები, რომლებიც განაპირობებს ურბანულ კონცენტრაციას შესაძლებელია დაძლეულ იქნას ტელეკომუნიკაციის, ყოველდღიური გადაადგილებისა და სხვა ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების საშუალებით, რაც დიდ მანძილზე ურთიერთკავშირისა და მოქმედების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ვიდრე ეკონომიკური პირობები შესაბამისია, ადამიანებს შეუძლიათ გადავიდნენ სოფლად საცხოვრებლად და დაიკმაყოფილონ თავიანთი სურვილები. თუ საკმარისი რაოდენობით ადამიანი აკეთებს ასეთ არჩევანს, სახეზეა კონტრურბანიზაცია.

საინტერესოა აქვს თუ არა ადგილი კონტრურბანიზაციის პროცესს აღმოსავლეთ ევროპაში, მას შემდეგ რაც ქვეყნებმა განიცადეს ტრანსფორმაცია და საბჭოთა ეკონომიკიდან გადავიდნენ კაპიტალისტურ სისტემაზე.

კავშირი ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციასა და მოსახლეობის ხელახალ განაწილებას შორის ყალიბდება საბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სულ მცირე ოთხი თვისების მეშვეობით: (ა). მუშა-ხელის ცვლილება, რომელსაც იწვევს ურბანულ-ინდუსტრიული კომპლექსის შემცირება, (ბ). პოსტ-სოციალისტური ეკონომიკური განვითარების კონცენტრაცია შერჩეულ ქალაქგარეთ უბნებში, (გ). სოციალური ქსელების მდგრადობა, რომელიც აკავშირებს ურბანულ მუშა-ხელს მეგობრებთან და ოჯახთან სოფლად, (დ). სოფლად ცხოვრების დაბალი ხარჯები. კვლევა ადასტურებს, რომ კონტრურბანიზაციას ნამდვილად ჰქონდა ადგილი უნგრეთში 1994-2001 წლებში. აღნიშნული კვლევა ადასტურებს, რომ პოსტ-სოციალისტური კონტრურბანიზაცია მოიცავს ქალაქგარეთ უბნების გაფართოებას და სოფლად მიგრაციას, რომელიც დიდი ურბანული ტერიტორიდაან 30 კმ-ში მდებარეობს. მიგრაციას უფრო მოშორებულ ადგილებში ადგილი არ ჰქონია. ეს ნიშნავს, რომ კონტრურბანიზაცია უკავშირდება ურბანულ სამუშაოებზე ყოველდღიურ გადაადგილებას და არა სოფლის ეკონომიკის განვითარებას. სხვა კვლევის მიხედვით, კაპიტალისტურმა განვითარებამ უარყოფითად იმოქმედა უმეტეს სოფელზე.

კონტრურბანიზაციამ დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მოიცვა უფრო მეტი ტერიტორია, ვიდრე უნგრეთში, მაგრამ სიტუაციები მსგავსია.

თავი 3. სათემო ინსტიტუტები

სათემო ინსტიტუტები სოფლის საზოგადოებაში

1830-იანი წლების დასაწყისში ფრანგმა ისტორიკოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ალექსის დე ტოკვილმა იმოგზაურა შეერთებულ შტატებში 9 თვის მანძილზე, რათა შეესწავლა ამერიკის პენიტენციალური სისტემა, ეს მოგზაურობა დააფინანსა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ისტორიკოსს ყველაზე მეტად დააინტერესა დემოკრატიისა და თვითმმართველობის სისტემამ ამერიკაში, განსაკუთრებით თუ როგორ არის მოწყობილი ამერიკის მმართველი სტრუქტურები. მან ამის შესახებ დაწერა ნაშრომი „დემოკრატია ამერიკაში“, რომელიც გახდა ისტორიული სოციოლოგიის კლასიკური ნიმუში. ამ ნაშრომში ტოკვილმა აღწერა „უმრავლესობის ტირანიის“ შესაძლო საფრთხეზე დემოკრატიის პირობებში-უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის თვალთახედვისა და აზრებისადმი უყურადღებობა და მხედველობაში არ მიღება. ტოკვილის ხედვა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მნიშვნელობაზე პარიტეტული (მონაწილეობრივი) დემოკრატიის პირობებში გვაძლევს სტრუქტურას სოფლის თემის ბუნების შესწვლისთვის თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში. აღნიშნულ თავში განხილულია სოფლის ძირითადი პოლიტიკური და სამოქალაქო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა რესურსებისადმი და საზოგადოებრივი სიკეთისადმი ხელმისაწვდომობას, ადგილობრივი ინტერესების წარმოდგენასა და დაცვას, შესაძლებლობების შექმნას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისთვის, სამ ძირითად ინსტიტუ-

ციაზე ფოკისურებას, ესენია ადგილობრივი თვითმმართველობა, განათლება და ჯანდაცვა.

ორგანიზაციები და ინსტიტუტები მნიშვნელოვანია ყველა სახის საზოგადოებისთვის, ეს იქნება დიდი თუ პატარა, ურბანული და არაურბანული, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში.

ფედერალიზმი და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა

ამერიკის კონსტიტუციის მიხედვით, მმართველობის სისტემა დაფუძნებულია ძალაუფლებისა და უფლებამოსილების განაწილებაზე ნაციონალურ, შტატისა და ადგილობრივ მთავრობებზე. ფედერალიზმის იურიდიული საფუძველი შეტანილია ამერიკის კონსტიტუციის მე-10 ცვლილების რეზერვირებული უფლებამოსილებების შესახებ მუხლში. ამ მუხლის მიხედვით უფლებამოსილება, რომელიც კონსტიტუციით არ აქვს მინიჭებული შეერთებულ შტატებს და არც აკრძალულია შტატებში გამოსაყენებლად, შესაბამისად რჩება შტატებს ან ხალხს. აქედან გამომდინარე ფედერალიზმის ლოგიკა დაფუძნებულია ორმაგ მიზანზე შტატების უფლებების დაცვა და სხვადასხვა დონეზე შტატის წარმოდგენა, მაშინ როცა შენარჩუნებულია ძლიერი ერთიანობა ეროვნულ დონეზე. ფედერალიზმი ახდენს ძალაუფლებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაციას, განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელიც რელევანტურია ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ამგვარად, ფედერალიზმის საფუძვლის მიხედვით, ქალაქები, სოფლები, რაიონები წარმოადგენს „სახელმწიფოს ქმნილებას“. მათი მართვა ხორციელდება ამერიკის კონსტი-

ტუციის მიხედვით და შტატს მათთვის გადაცემული აქვს ძალაუფლება და ვალდებულებები. შტატი ადილობრივი მმართველობის ორგანოებს გადასცემს უფლებამოსილებას იმგვარად, რომ პროგრამები და ადგილობრივი ხარჯები უკვე დადგენილია და მათი მართვა უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე. ადგილობრივი ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის შექმნა ხდება ადგილობრივი მმართველი ორგანოების მიერ. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო პოლიტიკა და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების განვითარება ქმნის სამართლებრივ კონტექსტს მოქალაქეებისთვის იმოქმედონ ერთობლოვად ადგილობრივ დონეზე. სამთავრობო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა ხანდახან წარმოშობს შემცირებებს, ძალაუფლებისა და ანგარიშვალდებულების მხრივ არეულობას, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობებმა სულ მცირე უნდა გაამლიერონ ადგილობრივი ავტონომია და უპასუხონ ადგილობრივ მოთხოვნებს.

ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობა და მმართველობის დეცენტრალიზაცია

პოლიტიკური პროცესი ნიშნავს, რომ ჯგუფებს შეუძლიათ განსაზღვრონ თუ როგორ გაანაწილონ სხვადასხვა სახის რესურსები. ფედერალიზმის სისტემა შედგება სხვადასხვა დონის წარმომადგენლობისგან და ეს გულისხმობს, რომ მთავრობა, რომელიც ანხორციელებს ფუნქციებს სხვადასხვა დონეზე, საჭიროებს შესაძლებლობისა და უნარის გარკვეულ ხარისხს, რათა დაიცვას რესურსები და მიმართოს ის მოსახლეობის საჭიროებისამებრ და მიაწოდოს შესაბამისი სერვისები. ადგილობრივი მთავრობის შესაძ-

ლებლობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფისკალური რესურსების გამანაწილებელი ორგანო, რომელიც აწვდის მოსახლეობას სერვისებს, მაგრამ გარდა ამისა, ადგილობრივ მმართველობას გააჩნია ინსტიტუციური და ხელმძღვანელობის უნარი, რათა მართოს „საზოგადოებრივი ბიზნესი“ ყოველდღიურად და ასევე მას გააჩნია ფინანსური და ინსტიტუციური უნარ-ჩვევები დაგეგმოს მომავალში რესურსების განაწილება. მმართველობის უნარის ნაკლებობა განსაკუთრებით შეიმჩნევა სოფლად და არაურბანულ ადგილებში, ვინაიდან ეს ადგილები მოკლებულია ძლიერ ადამიანურ რესურსებს, აქვს მცირე ფინანსური და ინსტიტუციური რესურსები, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლები, რასაც შედეგად მოყვება მართვის დაბალი დონე.

სერვისების გადაცემა და პრივატიზაცია

ადგილობრივ დონეზე მთავრობის მმართვის შემცირებულმა უნარმა და შესაძლებლობამ განაპირობა რიგი ცვლილებები მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის დროსთან ერთად. დიდი დეპრესის დროს და 1980-იან წლებში ფედერალური მთავრობა თამაშობდა დიდ როლს ადგილობრივი სერვისების მიწოდებაში. საპირისპიროდ 1980-იანი წლებიდან სიტუაცია შეიცვალა და საჯარო სერვისების მიწოდებაში აქტიურ როლს თამაშობდა მმართველობის ქვედა დონეები. ბევრი მიიჩნევს, რომ დეცენტრალიზაცია იწვევს სახელმწიფო პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დაახლოებას იმ ადამაინებთან, რომლებიც ამას საჭიროებენ, გარდა ამისა ის უზრუნველყოფს მთავრობის მხრიდან უფრო ეფექტურ პასუხს ადგილობრივ საჭიროებებზე.

დეცენტრალიზაციის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მთავრობის როლის გაძლიერების დროს ხდება რესურსების არასწორი გადანაწილება მოსახლეობაში.

ვორნერმა და მისმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს ნაშრომი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ადგილობრივი მთავრობა სოფლად ერთ სულზე მოსახლეზე ხარჯავს იმდენივეს, რამდენსაც ქალაქში. თუმცა, სოფლად ადამიანებს სთავაზობენ უფრო შეზღუდული რაოდენობის სერვისებს ურბანულ ადგილებთან შედარებით. მსგავსად ამისა, პრივატიზაციის შემთხვევაში, სერვისების მიწოდებამ ასევე იკლო არაურბანულ ადგილებში. ეს განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. სოფლად ეკონომიკა სწრაფად არ ვითარდება, ასევე ინფრასტრუქტურული ელემენტები მოწესრიგებული არ არის, კონკურენცია დაბალია და შესაბამისად, მოგებაც უმნიშვნელოა.

მუნიციპალური თანამშრომლობა

ერთი გზა, რომლითაც შეიძლება გადაიჭრას ადგილობრივი მთავრობის შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული პრობლემა არის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადება სხვა ადგილობრივ მთავრობებთან და ორგანიზაციებთან. მუნიციპალიტეტებს შორის შეთანხმება უზრუნველყოფს კონკრეტული სერვისების მიწოდების გაძლიერებას მოსახლეობისთვის, ეს სერვისებია ჯანდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წყლის ინფრასტრუქტურის. გარდა ამისა, სოფელმა უნდა შეცვალოს თავისი გარემო ისე, რომ ის მისაღები იყოს სოფლის თემებს შორის კონკურენციისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ადგილებს,

სადაც ცალკეული თემი ეჯიბრება თავის მეზობელს ახალი დამსაქმებლების მიზიდვაში და ქმნის ამისთვის ხელსაყრელ გარემოს. ამ პროცესში პოტენციურ დამსაქმებლებს თემი სთავაზობს მატერიალური სტიმულირების ისეთ პაკეტს, რომ თავად თემს რჩება ნომინალური ეკონომიკური სარგებელი.

განათლება, სასწავლო ადგილი, როგორც სოციალური სივრცე

2004 წელს 10 მილიონზე მეტმა მოსწვალემ დაამთავრა სოფლის სკოლა შეერთებულ შტატებში. ეს ათი მილიონი შეადგენს ქვეყნის მე-12 კლასელების მხოლოდ 21%-ს. სოფლად სკოლების რაოდენობა მცირეა. ეს გასაგებიცაა, მოსახლეობის სიმჭიდროვე სოფლად დაბალია და მოსახლეობა გაფანტულია.

სკოლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ადგილობრივ ინსტიტუტს ყველა თემისთვის, მათი როლი განსაკუთრებით გამორჩეულია. სოფლის სკოლა ხშირად არის თემისთვის ყველაზე მსხვილი ადგილობრივი დამსაქმებელი. გარდა ამისა, ის მიმზიდველობას სძენს სოფელს. სკოლის არსებობას აქვს პირდაპირი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობაზე და გარდა ამისა, ის აქტიურ როლს თამაშობს თემის განვითარების საქმეში.

ადგილობრივი ინსტიტუტებიდან ყველაზე მეტად სკოლა უწყობს ხელს თემის იდენტობის ჩამოყალიბებას და მისი სოციალური საზღვრების დადგენას. სკოლა არის საზოგადოებრივი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მიცემას სოფლის

მაცხოვრებლებისთვის. ყველა სოფლის მაცხოვრებელს აქვს კავშირი განათლების სისტემასთან. სკოლა ხელს უწყობს ურთიერთობების განმტკიცებას მოსწავლეს, მასწავლებელსა და თემის წევრებს შორის. ვინაიდან სოფლის სკოლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობა მცირეა ქალაქთან შედარებით, ეს კიდევ უფრო მეტად განაპირობებს ახლო და მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

აკადემიური მოსწრება

სოფლის მოსწავლეებს აქვთ უფრო უკეთესი აკადემიური მოსწრება ქალაქთან შედარებით, ხოლო ქალაქგარეთ მაცხოვრებელ სტუდენტებს-ყველაზე საუკეთესო. შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ ბოლო ანგარიშში მოცემულია მე-4 და მე-8 კლასელების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც საშუალოზე მაღალი ან უფრო მაღალი ქულები აქვთ მათემატიკაში, კითხვაში და გამოცდებზე. ამ ანგარიშის მიხედვით, სოფლის სკოლის მოსწავლეები მნიშვნელოვნად წინ უსწრებენ ქალაქისას, თუმცა ქალაქგარეთ სკოლის მოსწვალეებს აქვთ ყველაზე მაღალი ქულები კითხვასა და მათემატიკაში.

საშუალო სკოლის შემდეგ სოფლის ახალგაზრდებს განათლების უფრო დაბალი დონე აქვთ ქალაქთან შედარებით. სოფლის მოზარდების მცირე რაოდენობა არის ჩართული საშუალო სკოლის შემდგომ არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, სოფლის ახალგაზრდების მხოლოდ 19%-ს აქვს ბაკალავრის ხარისხი, მაშინ როცა ქალაქში ეს მაჩვენებელი 30%-ს აღწევს, ხოლო ქალაქგარეთ-31.5%-ს. ნახ.3-1 ეს გარკვეულწილად უკავშირდება იმას, რომ სოფლად რესურსების მოპოვება და გადამამუშავებელი

მრეწველობა კარგად იყო განვითარებული, რომელიც სთავაზობდა მაცხოვრებლებს კარგ ხელფასებს და არ ითხოვდა კოლეჯის განათლებას.



ნახ.3-1. ბაკალავრის ხარისხას მქონე ახალგაზრდები

სოფლის ეკონომიკამ კი მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა ბოლო წლების განმავლობაში და ზემოხსენებული მრეწველობა და შესაბამისად სამუშაო ადგილები შემცირდა.

სოფლის სკოლების გამოწვევები

სოფლის სკოლები სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგას, ამ გამოწვევებიდან უმეტესი სტრუქტურულ ხასიათს ატარებს. 2002 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა გამოსცა კანონი დაწყებითი და საშუალო განათლების შესახებ, რომელიც წარმოადგენდა საგანმანათლებო რეფორმის საფუძველს და უზრუნველყოფა რომ ყველა ბავშვს ამერიკაში მიეღო დაწყებითი და საშუალო განათ-ლება. ამ კანონის მიხედვით განისაზღვრა განათლების

გაუმჯობესების კრიტერიუმი, რაც გულისხმობდა მოსწავ-ლეების რეგულარულ შეფასებას, სკოლების პასუხის-მგებლობის გაზრდას მოსწავლეების შედეგების გამო. დადგინდა წლიური პროგრესის კრიტერიუმი, რომელიც მოიცავდა გარკვეულ სტანდარტებს, რომელიც ყველა შტატმა შექმნა ინდივიდუალურად. ეს სტანდარტები აფასებდა მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას სტანდარტიზი-რებული ტესტების მეშვეობით. თუ სკოლა ვერ შეძლებდა მომდევნო ორი წლის განმავლობაში სტანდარტების დაკმა-ყოფილებას, მას მოსწავლეებისთვის უნდა დაერთო სხვა უკეთეს სკოლაში გადასვლის ნება და შესაძლებელია ასეთი სკოლა დახურულიყო.

აკადემიური მოსწრება მჭიდროდ არის დაკავშირე-ბული ოჯახურ და საზოგადოებაში არსებულ მდგომარეო-ბასთან და ასევე სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან. სოფლის სკოლები, სადაც მოსწავლეები ძირითადად არიან დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან, შეიძლება აღმოჩნდნენ სპეციფიკური გამოწვევების წინაშე. სკოლის მცირე ზომა უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა შეფასების პროცესზე, ვინაიდან მოსწავლეების ქულების მხრივ ცვლილებები წლიდან წლამდე უფრო მეტად შეიგრძნობა.

სოფლის სკოლებს ტრადიციულად აქვთ უფრო ძლიერი კავშირი თემთან და ის უფრო მგრძნობიარეა ადგილობრივი კულტურის მიმართ და უფრო მეტად რეაგირებს ადგილობრივ მოთხოვნებზე, სტანდარტულ ტეს-ტებზე კონცენტრირებამ შეიძლება გამოიწვიოს განათლები-სადმი ფართო ხედვის შემცირება, ვინაიდან აქცენტი სკოლის მოსწავლეთა მხრიდან გაკეთდება მხოლოდ ტესტებზე და

ქულებს უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ის განსაზღვრავს აკადემიური მოსწრების ხარისხს, არსებობს საფრთხე იმისა, რომ სოფლის განათლება მოწყვეტილი იქნება მოსწავლეთა საჭიროებებსა და სურვილებს, თავიანთ ოჯახებსა და თემს.



ნახ.3-2. 2003-2004წ.წ. მასწავლებლის საშუალო ხელფასი

ზემოაღნიშნული კანონი ასევე გულისხმობდა კვალიფიციური მასწავლებლების დაქირავებას, რაც ასევე სირთულეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში. მასწავლებლებს უნდა ჰქონოდათ ბაკალავრის ხარისხი იმ საგანში, რასაც ასწავლიდნენ, ეს დამატებით სირთულეს ქმნიდა სოფლის სკოლებისთვის, როცა ერთი მასწავლებელი რამდენიმე საგანს ასწავლიდა. სოფლის გეოგრაფიული და სოციალური იზოლაცია ართულებდა მასწავლებლების აყვანას და ასევე ის ფაქტორი, რომ მასწავებლის ხელფასი უფრო დაბალია სოფლად.

2003-2004 წლებში სოფლის მასწავლებლების საშუალო ხელფასი შეადგენდა 43,000 ამერიკულ დოლარს, მაშინ როცა

ქალაქში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 44,000 დოლარს, ხოლო ქალაქგარეთ-45,700 დოლარს. ნახ. 3-2.

ჯანდაცვის სისტემა და ჯანდაცვის ინსტიტუტები სოფლად

შეერთებულ შტატებში სოფელი ხასიათდება იმით, რომ მოთხოვნა ჯანდაცვის სერვისებზე მაღალია და ხელმისაწვდომობა დაბალი, ქალაქთან შედარებით. ვინაიდან სოფლის თემი არის მცირე, ღარიბი და გეოგრაფიულად უფრო იზოლირებული, შესაბამისად, ჯანდაცვის სერვისებიდამი მოთხოვნა იზრდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათზე ხელმისაწვდომობა მცირდება. სოფლის მაცხოვრებლებში ქრონიკული და სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების გავრცელების მაჩვენებელი უფრო მაღალია ქალაქთან შედარებით. სიმსუქნე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, დიაბეტი, მაღალი სისხლის წნევა, სიმსივნე ყველაზე მეტად გავრცელებეულია არაურბანულ მაცხოვრებლებში.

სიკვდილიანობის მაჩვენებელი წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებელს. შეერთებულ შტატებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა მის ყველა ნაწილში, თუმცა, 1990 წლიდან ასაკთან დაკავშირებული სიკვდლიანობის მაჩვენებელი სოფლად გაცილებით ნელა შემცირდა და უფრო დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე ქალაქში.

ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების მხრივ სიკვდილიანობის მაჩვენებლები გაცილებით მაღალია ქალაქში, ვიდრე სოფლად. თუმცა 12-17 წლის ახალგაზრდებში ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი უფრო მეტია სოფლად, ვიდრე ქალაქში. 1990-

იანი წლების შუა ნახევრიდან მეტამფეტამინის წარმოება სოფლად ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა. მისი წარმოებისთვის საჭირო თხევადი ამიაკი წარმოადგენს სასუქს და ფართოდ არის ხელმისაწვდომი სოფლად. ამ ნარკოტიკული საშუალების წარმოება არის იაფი, ის იწვევს მძიმე ფსიქოლოგიურ პრობლემებს, დემენციას და სხვა სახის აშლილობებს.

ურბანულ და სოფლის ჯანდაცვის სისტემებს შორის განსხვავებას განაპირობებს დემოგრაფიული შემადგენლობა, ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია, რომლის შედეგადაც ბევრი სოფლის მაცხოვრებელი სამუშაოს გარეშე რჩება, რაც ნიშნავს დაზღვევის გარეშე ყოფნას. ეს განსხავავება ასევე უკავშირდება მოსახლეობის დაბალ სიმჭიდროვეს, ინსტიტუტების დაბალ შესაძლებლობას, პოტენციალს და მცირე ეკონომიკას.

ჯანდაცვის სერვისებისადმი მაღალი მოთხოვნა სოფლად და ქალაქში ეკონომიკური და დემოგრაფიული განსხვავებების მიზეზია. სიღარიბე, რომელიც თან ახლავს სოფელს მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯანმრთელობის გაუარესებასთან. მოსახლეობა სოფლად ადრე ბერდება. ქალაქში 65 და ზემოთ ასაკის ადამიანთა პროცენტრული რაოდენობა შეადგენს 12%-ს, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებლი არის 15%.

შეერთებულ შტატებში მოსახლეობის დაახლოებით 20% ცხოვრობს სოფლად, ექიმების მხოლოდ 9% ახორციელებს ამ ადგილებში საქმიანობას. სოფლად ექიმები მუშაობენ კლინიკების გარეთ, პატარა პერსონალით, რომელიც შედგება ექთნისა და ექიმის ასისტენტისგან.

სკოლების მსგავსად, საავადმყოფოებს აქვთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი სოფლის თემისთვის, ის წარმოადგენს დასაქმების მთავარ წყაროს, აკმაყოფილებს თემის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საჭიროებებს, ზრდის ადგილის მიმზიდველობას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის და ასევე მომავალი დამსაქმებლებისთვის, და ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას ხელს უწყობს. შესაბამისად, საავადმყოფოს დახურვა უარყოფითად მოქმედებს სოფლის ეკონომიკასა და მთლიანად თემზე. 1990-2000 წლებში, სოფლის საავადმყოფოების თითქმის 8% დაიხურა, უმეტესად უფრო პატარა საავადმყოფოები, რომლებიც სამედიცინო სერვისებს უწევდნენ შედარებით მცირე რაოდენობის პაციენტებს. საავადმყოფოს დახურვის მიზეზი იყო მისი სხვა ადგილზე გადატანა, გაერთიანება სხვა საავადმყოფოსთან ან რეორგანიზაციის პროცესი.

მრავალი სოფლის თემის ზომისა და სოციალური სტრუქტურის გამო, სამედიცინო პროვაიდერები უფრო ინტეგრირებულები არიან თემის ცხოვრებაში, ვიდრე ეს ქალაქშია. სამედიცინო პრაქტიკის გავლა სოფლად ნიშნავს ცხოვრებასა და მუშაობას ერთიდაიმავე ადგილას. სოფლის სამედიცინო პერსონალი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება არის სიახლოვე. ყველა იცნობს ერთმანეთს და ყველამ იცის სოფლის ექიმი ან ექთანი.

სტრუქტურული გამოწვევები, როგორიცაა შეზღუდული რესურსები და გეოგრაფიული იზოლაცია, გარეგანი ფაქტორები, როგორიცაა სახელმწიფო და სოფლის ჯანდაცვის პოლიტიკა განაპირობებს სოფლის ჯანდაცვის ხარისხს.

მნიშვნელოვანია ასევე სოფლის ჯანდაცვის სერვისები ასაკოვან ადამიანებთან მიმართებაში. ხანდაზმული ასაკის

ადამიანები სოფელში განსხვავებულია ერთმანეთისგან. პენსიაში გასული და სოფლად ჩასულ ემიგრანტებს აქვთ შემოსავალი და კერძო დაზღვევა, ისინი იოლად მიდიან ქალაქში და იტარებენ აუცილებელ გამოკვლევებს და იღებენ ექიმის რჩევებს. სოფლის ადგილობრივ მკვიდრებს ეს შესაძლებლობ არ აქვთ, ისინი ხშირად არიან ღარიბები, აქვთ განათლების შედარებით დაბალი დონე და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაცილებით მძიმეა.

ტელემედიცინის როლი

ტელემედიცინა არის სოფლის ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მნიშვნელოვანი სტრატეგია. იგი წარმოადგენს კლინიკური ჯანდაცვის ნაწილს, რომლის გამოყენება ხდება ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების საშუალებით. ის აკავშირებს პაციენტებსა და ექიმებს ერთმანეთთან და შესაძლებელს ხდის იმ სერვისების მიწოდებას, რომელიც ადგილობრივად არ მიეწოდება. ტელემედიცინის საშუალებით შესაძლებელია ელექტრონული ჩანაწერების გაკეთება და გადაცემა, პაციენტის შესახებ მონაცემთა დამუშავება და მიწოდება, რაც აუმჯობესებს სამედიცინო ინფორმაციის ხარისხსა და დროულად მიწოდებას ნახ.3-3.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა და ფედერალური კომუნიკაციების კომისიამ ერთობლივად შეიმუშავეს სოფლის ჯანდაცვის პროგრამა, რაც ხელს უწყობს სამედიცინო პროვაიდერებს, რომ მათ არ გადაიხადონ მაღალი ხარჯები სოფლად ქალაქისგან განსხვავებით. 2007 წელს ფედერალური კომუნიკაციების კომისიამ $417 მილიონი დოლარით დააფინანსა ეს

პილოტური პროგრამა, რაც გულისხმობდა ფართო ზოლიანი ტელესამედიცინო ქსელების განვითარებას, რასაც შედეგად მოყვება სამედიცინო დაფარვის გაზრდა და სამედიცინო სერვისებისადმი უფრო მაღალი ხელმისაწვდომობა. ამ დაფინანსების შედეგად შეიქმნა 69 ფართო ზოლიანი ტელესამედიცინო ქსელი ორმოცდაორ შტატში, რომელიც ემსახურებოდა კლინიკებს, სამედიცინო ცენტრებსა და უნივერსიტეტებს.



ნახ.3-3. ტელემედიცინა

მაშინ როცა საავადმყოფოები და სამედიცინო ცენტრები სულ უფრო მეტად იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიას ტელემედიცინისთვის, ტელემედიცინის სისტემების დანერგვა და შენარჩუნება პრობლემატური აღმოჩნდა ზოგიერთი სოფლისთვის. მას თან ახლავს სხვადასხვა გამოწვევები, საჭიროა ახალი პერსონალის აყვანა და მათი ტრენინგი, გარდა ამისა სოფლად ფართო ზოლიანი ხელმისაწვდომობისთვის შესაბამისი სტრუქტურა არ არის განვითარებული, რაც სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს. მიუხედავად ამისა, ტელემედიცინა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს სამედიცინო სერვისების მიწოდების გაუმჯობესებას მომგებიანია სოფლისთვის.

თავი 4. ბუნებრივი რესურსების გავლენა სოფელზე

ბუნებრივი რესურსები და სოციალური ცვლილება

სოფლის ეკონომიკა, ისევე როგორც სოფლის მაცხოვრებლების სოციალური და კულტურული იდენტობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ მიწასთან და ლანდშაფტთან. სოფლის მეურნეობა არის ამ მჭიდრო ურთიერთობის აშკარა მაგალითი, ისევე როგორც ბუნებრივი რესურსების მოპოვება, ეს ეხება როგორც განახლებად რესურსებს, მაგალითად ტყეს და არაგანახლებად რესურსებს, როგორიცაა ნავთობი, გაზი და მინერალები.



ნახ. 4-1. სოფლად რესურსების გამოყენება თუ კონსერვაცია

შეერთებული შტატების დასავლეთ და შუა-აღმოსავლეთ ნაწილში მრავალი სოფლის თემის სოციალურ და ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე გავლენას ახდენს რესურსების უკმარისობა, მაგალითად, როგორიცაა წყალი. ბუნებრივ რესურსებს, რომელიც ხელმისაწვდომია სოფლის

დასახლებებისთვის აქვს უზარმაზარი გავლენა თემის სტრუქტურასა და ადგილობრივ ეკონომიკაზე, ასევე თემის უნარზე მოახდინოს ადაპტაცია ცვალებად ადგილობრივ და გლობალურ პირობებში.

უფრო მეტიც, სოციალური და ეკონომიკური საქმიანობები სხვადასხვა კონტექსტში გავლენას ახდენს გარემოს ხარისხზე და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული საკითხი ხშირად განიხილება დებატების დროს, რომელიც ეხება სახელმწიფო თუ კერძო მიწის გამოყენების საკითხს. სხვადასხვა სოფლის თემი ებრძვის განსხვავებულ პრობლემებს, შეიძლება ეს იყოს რესურსების მომპოვებელი ეკონომიკა, რომელიც ხშირად იმართება საგარეო ინტერესებით. შესაბამისად, გარემოსთან დაკავში-რებული საკითხებისადმი ინტერესი განსხვავებულია სოფლის მაცხოვრებლებს შორის. 2008 წლის კვლევამ აჩვენა, რომ სოფლის რესპოდენტთა 29%-მა უპირატესობა მიანიჭა სამუშაოების შექმნას, ვიდრე ბუნებრივი რესურსების კონსერვაციას და 43%-მა კი მიუთითა, რომ კონსერვაციას უნდა მიენიჭოს უპირატესობა ნახ. 4-1.

გარემოსადმი დამოკიდებულება სხვადასხვა სოფელში განსხვავებულია. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ცხოვ-რობენ ღარიბი და დაბალი ეკონომიკის პირობებში, გლობა-ლური დათბობა და ურბანულ ადგილებზე მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხებს.

ეს განსხვავებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოს პოლიტიკაზე, ვინაიდან სოფლის მაცხოვრებლებმა ღარიბ ადგილებში შეიძლება გარემოსთან დაკავშირებული

ინიციატივა მიიჩნიონ ეკონომიკური ვარდნის მიზეზად და არა პასუხად გარემოს გამოწვევებზე.

სოფლად არსებული ბუნებრივი რესურსები დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობებზე, თემის სტრუქტურასა და მობილიზაციაზე. აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების მოპოვებაზე, როგორიცაა ნავთობი და მინერალები.

ბუნებრივი კომფორტი-ზრდის მამოძრავებელი ძალა

ამერიკის სოფლის განვითარება დაკავშირებულია მის ლანდშაფტთან და ბუნებრივ სიმდიდრესთან, როგორიცაა; მთა, ტყე; ტბა, მდინარე, ზღვის სანაპირო, ისევე როგორც კულტურულ ფასეულობებთან, როგორიცაა ისტორიული ადგილები. აღნიშნული განაპირობებს სოფლის მიმზიდველობას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს დასვენებისა და ტურიზმის განვითარებისთვის. პენსიაში გასვლასთან დაკავშირებული მიგრაციის შემთხვევაში, პენსიაში გასულ პირებს ასეთ ადგილებში მოაქვს არა მარტო ფინანსური კაპიტალი, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილება და პროფესიონალური ჩვევები და ისინი იყენებენ თავიანთ ძალისხმევას სხვადასხვა საქმიანობებში.

ტურიზმთან დაკავშირებული განვითარება შეიძლება არ იყოს რეალისტური ყველა სოფლის შემთხვევაში, რომელთაც გააჩნიათ ბუნებრივი სიმდიდრე. კვლევებმა აჩვენა, რომ იმ სოფლებმა, რომლებმაც შეძლეს თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრის კომერციალიზაცია, დასვენებისა და ტურიზმის სახით, განიცადეს ეკონომიკური ზრდა და შეინარჩუნეს მოსახლეობა. პარკებისა და დასვენების სხვადასხვა ადგილებიდან მიღებულმა შემოსავალმა თავის

მხრივ გამოიწვია მშენებლობის სექტორის განვითარება, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები და სერვისები.

დასავლეთ ნაწილში ეკონომიკა ძირითადად დამოკიდებული იყო ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე, მაგრამ სოფლის თემმა შეძლო მოპოვებითი საქმიანობებისა და ბუნებრივი სიმდიდრის კომერციალიზაციის შერწმა, რის შედეგადაც ბევრი სოფელი უფრო ნაკლებად ხდება დამოკიდებული მოპოვებაზე და უფრო მეტად ორიენტირებულია თავის ბუნებრივ სიმდიდრეებზე. ეკონომკურმა ზრდამ განაპირობა სოფლის მოსახლეობის ზრდა და ე.წ. „ახალი დასავლეთის“ შექმნა.

ბუნებრივი სიმდიდრის კომერციალიზაციას აქვს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები. მაგალითად, დასვენებასა და ტურიზმთან დაკავშირებული სამუშაო ადგილები ხასიათდება დაბალი ანაზღაურებით და მცირე კარიერული წინსვლით. უფრო მეტიც, ასეთი სამუშაო ადგილები არის სეზონური და დანარჩენი დრო ეს ადამიანები უმუშევრები რჩებიან.

ახალმა ჩამომსვლელებმა შეიძლება შექმნან კულტურული და სოციალური დაძაბულობა, რომელიც საფრთხეს უქმნის თემის არსებულ მდგომარეობას. შეიძლება მსგავსი კონფლიქტები არ იყოს სერიოზული გარე დამკვირვებლისთვის, მაგრამ ისინი უქმნიან დისკომფორტს ბევრ მაცხოვრებელს. მაგალითად, დასვენებასა და პენსიაში გასვლასთან დაკავშირებულმა მიგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს სამშენებლო სექტორის განვითარება, მაგრამ შედეგად მოჰყვეს იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაადგილება სხვა თემებში, რომლებიც დაიბადნენ და ცხოვრობენ ამ თემში. გარდა ამისა,

ეკონომიკური ზრდის მქონე სოფლების მაცხოვრებლები გამოიმუშავებენ უფრო მაღალ ხელფასებს, ვიდრე სხვა სოფლის მაცხოვრებლები.

გარემოს გავლენა სოფლის თემების განვითარებასა და კონფლიქტებზე

ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი სოფლის თემის იდენტობაზე და გააძლიეროს გრძნობა იმ ადგილისადმი, სადაც ადამიანები დაიბადნენ. ეს ქმნის პოლიტიკური მობილიზაციის საფუძველს.

ნახ. 4-2. ოკლაჰომა 1890წ.

ამ საერთო ინტერესების, რომელიც ნაწილობრივ იქმნება კულტურული, ისტორიული და გარემოსთან დაკავშირებული თვისებებით, მობილიზაცია შეიძლება,

რათა გაიზარდოს თემის უნარი და შესაძლებლობა ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს ცვლილება. როგორც ბრიდჯერი და ლატერი განმარტავენ, სოფლის თემის განვითარება მოიცავს უფრო მეტს ვიდრე ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებაა, ის გულისხმობს თემის განვითარებას ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცების საშუალებით, რის შედეგადაც იზრდება პრობლემის გადწყვეტის უნარი.

თემის ერთობლივი ძალისხმევის განვითარება მოიცავს მრავალ გამოწვევას. ეს გამოწვევები ხშირად ორგანიზაციული ხასიათისაა და ის გამოწვეულია თემის შიგნით დაყოფით, ძალაუფლებისთვის ბრძოლით და/ან მიუღებლობით, რის გამოც თემმა შეიძლება დაკარგოს კოლექტიური ან ერთობლივი ძალისხმევის უნარი. ეს უკავშირდება ბუნებრივი რესურსების საკითხებს, მიწის გამოყენებასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს, რესურსების განაწილებას და/ან გარემოსთან დაკავშირებული საფრთხეების შესწავლასა და გამოსწორებას. აღნიშნულმა წინააღმდეგობებმა შეიძლება გამოიწვიოს სოფლის თემის ინტერესების გაყოფა და არა გაერთიანება. ამის მაგალითია ოკლაჰომის შემთხვევა, როცა ადგილი ჰქონდა გარემოს სერიოზულ დაბინძურებას და საზოგადოებას უნდა გადაეჭრა ეს მწვავე პრობლემა ნახ 4-2.

იმის ნაცვლად, რომ ამ საკითხს გამოეწვია ერთიანი შეთანხმება და სოლიდარობა, საზოგადოების ნაწილმა ადგილობრივი თვითმმართველობის წინააღმდეგ გაილაშქრა, ხოლო ნაწილი ერთმანეთს დაერია. ეს ხშირად ხდება, ვინაიდან საზოგადოებას არ აქვს ბოლომდე გათვიცნობიერებული გარემოსა და ჯანმრთელობის რისკის სიმწვავე და

გარემოს საკითხმა შეიძლება წარმოშვას ეკონომიკურ პრობლემის ირგვლივ უთანხმოება.

სოფლის მეურნეობა და ურბანული განვითარება

შეერთებულ შტატებში იყო მუდმივი კონფლიქტი სოფლის მეურნეობასა და ურბანულ განვითარებას შორის. 1970-იანი წლების დასასრულს პრეზიდენტ ჯიმი კარტერის დავალებით მოხდა სოფლის მეურნეობის მიწების კვლევა, რათა შეესწავლათ თუ რა ხარისხით მოიცვა ურბანულმა გაფართოებამ სასოფლო-სამეურნეო მიწები. ამ კვლევის მიხედვით მხოლოდ მცირე ოდენობის სასოფლო სამეურნეო მიწები მითვისებული იქნა ქალაქის მიერ. აღნიშნულმა კვლევამ დაასკვნა რომ სასოფლო სამეურნეო მიწების გადასვლა ურბანულ ნაწილში არ წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას. თუმცა, მიწის გამოყენების საკითხი იწვევს კონფლიქტს ლოკალურ დონეზე. ძირითადი კონფლიქტი ხდება პირებსა და ჯგუფებს შორის. ერთ მხარეს სურს გამოიყენოს მიწა საკუთარი მიზნებისთვის, ეს იქნება სოფლის მეურნეობა, დასასვენებელი ადგილი და მეორე მხარეს სურს მისი გამოყენება მოგების მისაღებად. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როცა მიწის ყიდვა-გაყიდვა არის შესაძლებელი.

რესურსების მოპოვება, როგორც სოციალური პროცესი

ამერიკული სოფლის განვითარება დიდად იყო დამოკიდებული ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა ხარისხით ხდება სოფლის თემი დამოკიდებული გარე ინტერესებზე, რომელიც ხარჯავს კაპიტალს და იყენებს საშუალებებს, რათა

მოიპოვოს ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა გაზი, ქვანახშირი, ხე-ტყე ან მინერალური რესურსები. კონტროლის ხარისხი, იქნება გარე თუ შიგა, სხვადასხვა ადგილში განსხვავებულია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შიგა კოლონიალური დამოკიდებულების მოდელი სასარგებლოა თემისა და რეგიონის შესასწავლად.

შიგა კოლონიალური დამოკიდებულების თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული გლობალური და ეროვნული ეკონომიკის გაგებასთან, რომელსაც გააჩნია ცენტრალური ადგილი, ძირითადად ურბანული, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ძალაუფლების ცენტრს და პერიფერიული ნაწილი, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად ცენტრს ემორჩილება. აღნიშნულ მოდელში ხდება ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების პერიფერიული, ცენტრალური და/ან საერთაშორისო ცენტრების გამოყენება პერიფერიული ადგილის განვითარების მიზნით. ამ პროცესის დროს ნედლეულის მოპოვება ხორციელდება გარე მხარის მიერ, რომელიც იყენებს ადგილობრივ მუშახელს მოპოვებითი საქმიანობის შესრულების მიზნით. რესურსი გადის რეგიონიდან, რათა დააკმაყოფილოს გარე მხარის ინტერესი. ამ გარემოებებში ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლი შეზღუდულია. ხშირად ეკონომიკა ასეთ ადგილებში არ ვითარდება, ნაკლებად დივერსიფიცირებულია და სიღარიბე კი გავრცელებული. გარე ინტერესები ხშირად წარმოშობს გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ეკონომიკური ბუმის ქალაქები

რესურსების მოპოვება როგორც სოციალური პროცესი შედგება განვითარების ორი ფაზისგან. პირველი არის აშენების ფაზა, რომლის დროსაც რესურსების მოპოვების, დამუშავებისა და გადამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქ-ტურის შემქნა ხდება, როგორიცაა საბურღი მოწყობილობის დაყენება და გადამამუშავებელი საწარმოს აშენება. ეს საწყისი ფაზა მოითხოვს მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშა-ხელს. ამ დროს ხდება მუშა-ხელის დიდი რაოდენობით მოდინება, ისინი მუშაობენ ხანგრძლივი საათები. ადგილობ-რივი ბიზნესი სასტუმროს, რესტორნისა და მაღაზიების ჩათვლით, ასევე განიცდის გაფართოებას, რათა დააკმაყო-ფილოს ინვესტორის მოთხოვნები.

მეორე ფაზა არის ოპერაციული, რომლის დროსაც პირველ ფაზაში არსებული მუშა-ხელი მეტად აღარ არის საჭირო. ეს ფაზა გრძელდება, ვიდრე რესურსი არ ამოიწურება, რის შედეგადაც მუშები კარგავენ სამუშაოს და სხვაგან გადადიან. უმუშევრობის დონე სოფლად იზრდება, შემოსავალი მცირდება, სერვისები და ინფრასტრუქტურა, რომელიც აშენდა ადამიანების დიდი რაოდენობისთვის მეტად საჭირო აღარ არის. იმ ადგილებში, სადაც ეკონომიკა არ არის დივერსიფიცირებული და დამოკიდებულია რესურ-სების მოპოვებაზე, განვითარების ფაზის სათანადოდ ვერ მართვის შემთხვევაში, ხშირად ვითარდება ეკონომიკური ბუმის ქალაქებისა და გაკოტრების ციკლის ფენომენი.

ეკონომიკური ბუმის ქალაქები განიცდიან მოსახ-ლეობის სწრაფ ზრდას, ძირითადად უკავშირდება სამთო საქმეს ან სხვა სახის რესურსების მოპოვებას. ეკონომიკური ბუმის ქალაქები წარმოადგენენ ეკონომიურ და სოციოლურ

ფენომენს, ამ ფენომენმა მიიპყრო სიციოლოგების ყურადღება 1970-1980-იან წლებში, როცა ასობით პატარა დასახლებამ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში განიცადა სწრაფი ზრდა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ენერგიის ახალი წყაროების შესწავლა და განვითარება. ეს საზოგადოებები, რომლებიც ცხოვრობდნენ იზოლირებულ ადგილას, სადაც მოიპოვებოდა ქვანახშირი, გაზი, ურანი ან ნავთობი დადგნენ როგორც ახალი შესაძლებლობების, ასევე გამოწვევების წინაშე. უცნობი ადამიანების ჩამოსვლა ასეთ ადგილებში იწვევდა სოციალურ პრობლემებს, როგორიცაა არეულობა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება და დაძაბულობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სოციალურ სამსახურებთან. ზოგი მიიჩნევს, რომ შექმნილი პრობლემები გადაჭარბებულია. კონფლიქტი და დაძაბულობა იწყებოდა ბუმის ფაზამდე, როცა ხდებოდა თავად თემის შიგნით აზრთა გაყოფა მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური გავლენა არ ვრცელდებოდა ადგილობრივ მაცხოვრებლებზე. ფიზიკური და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნა ბუმის ფაზის დროს იწვევდა გრძელ-ვადიან დილემას. თემის ეფექტური დაგეგმვის საჭიროება ქმნიდა მნიშვნელოვან გამოწვევებს, როდესაც ადგილობრივ თემს არ ჰქონდა ეფექტური დაგეგმვის უნარი და საქმიანობა ძირითადად ორიენტირებული იყო მოკლე-ვადიან მოგებაზე.

რესურსების მოპოვების ახალი ფორმები: ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია

2010 წლის აპრილში ნავთობის ჭის ბურღვის მოწყობილობა აფეთქდა და ადგილი ჰქონდა ნავთობის ყველაზე დიდ

გაჟონვას შეერთებული შტატების ისტორიაში. შემთხვევას ემსხვერპლა თერთმეტი თანამშრომელი. აღნიშნული კატა-სტროფა მოხდა მაშინ, როდესაც ადამიანები აღიარებდნენ, რომ თანამედროვე გლობალური ენერგიის მოხმარების ფორმები არის არამდგრადი, წარმოშობს სირთულეებს, მოპოვებას თან ახლავს ხარჯები და რისკები და ის საფრთხეს უქმნის კლიმატის გლობალურ ცვლილებას, სათბურის ეფექტის მქონე გაზების წარმოქმნის შედეგად.

ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ნავთობმა მიაღწია თავის პიკს და მისი წარმოება მცირდება, ვინაიდან ნავთობის მოპოვება რთული ხდება და უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ასევე რთულია მისი მოპოვება ალტერნა-ტიული წყაროებიდან, როგორიცაა ქვანახშირი და გუდ-რონის ქვიშა. გასაკვირი არ არის რომ ნავთობის მოპოვება მიმდინარეობს სარისკო და რთულ პირობებში, როგორიცაა წყლის ღრმა გაბურღვა. სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი ალტერნატიული და განახლებადი ენერგიის წყაროების მიმართ, როგორიცაა ქარი და მზის ენერგია, გეოთერმული ენერგია და ბიომასა, რომლის წარმოება უმეტესად შესაძლებელია სოფლად და შესაბამისად, პირდაპირი გავლენა ექნება სოფლის ეკონომიკაზე. 2007 წლისთვის შეერთებული შტატებში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგია შეადგენდა ენერგიის მოხმარების 7%-ს. ნახ.4-3

ნახ.4-3. რესურსების მოპოვების ახალი ფორმები

ბიოლოგიური საწვავი და ეთანოლის წარმოება

შეერთებულ შტატებში ბიოლოგიური საწვავი შედგება ეთანოლისგან, რომელიც იწარმოება მარცვეულისგან, ასევე ეთანოლი იწარმოება შაქრის ლერწამისგან. 2007 წლისთვის შეერთებულ შტატებში იყო 130 ეთანოლის მწარმოებელი საწარმო, რომელიც აწარმოებდა 7 მილიარდ გალონ ეთანოლს ყოველწიურად, რომლის უმეტესობა გამოიყენება ბენზინთან ერთად. ბიოლოგიური საწვავის წარმოების გაზრდას მოაქვს უარყოფითი შედეგები. იგი გავლენას ახდენს საკვები პროდუქტების ფასებზე. 2005-2008 წლებში საკვებზე ფასი გაიზარდა 75%-ით, ხორბლის ფასი გაიზარდა 50%-ით, ბრინჯის-70%-ით. ეთანოლის წარმოება მარცვეულისგან არ არის ეფექტიანი.

ქარის ენერგია

ქარის ენერგია ნაკლებად გამოიყენება შეერთებულ შტატებში. ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით 2030 წლისთვის ქარის ენერგია უზრუნველყოფს მთლიანი ენერ-

გიის მიწოდების 20%-ს. 2009 წლის განახლებისა და რეინვეს-ტირების შესახებ კანონმა მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ქარის ენერგიის განვითარებას. შეერთებულ შტატებში 2009 წელს ქარის ენერგიის მიღებისთვის უფრო მეტი მოწყობილობა დამონტაჟდა წინა წელთან შედარებით.

ფერმები, რომელიც მუშაობს ქარის ენერგიაზე არის დამატებითი სტიმული სოფლის ეკონომიკის განვითარებისთვის. ქარის ენერგია მიმზიდველია, ვინაიდან რესურსი უფასოა, განახლებადი და დამონტაჟების შემდეგ არ წარმოშობს სათბურის ეფექტის მქონე გაზებს.

მზის და გეოთერმულ ენერგია

მზის და გეოთერმულ ენერგია ასევე მიმზიდველია ქარის ენერგიის მსგავსად. მისი წყარო უფასოა და განახლებადი. მზის ენერგიის სისტემის ორი ტიპი არსებობს, ერთი არის მზის თერმული სისტემა, რომელიც აცხელებს წყალს, რომელიც თავის მხრივ ამოძრავებს ტურბინებს და ფოტოგალვანური სისტემა, რომელიც მზის შუქს პირდაპირ გარდაქმნის ელექტროენერგიად. მზის ენერგიის დანერგვა ნელ-ნელა ხდება შეერთებულ შტატებში.

გეოთერმული ენერგია იყენებს დედამიწაში არსებულ სითბოს, როგორც ენერგიის წყაროს. 2005 წლისთვის 500 გეოთერმული საწარმო იყო შეერთებულ შტატებში, რომლებიც აწარმოებდა ცხრა გიგავატ ელეტროენერგიას. გეოთერმული ენერგიის წარმოება კონკურენტულია ენერგიის სხვა წყაროებთან შედარებით, თუმცა ფართომასშტაბიანი წარმოება შეზღუდულია. ძირითადად მისი წარმოება ხდება ნევადასა და კალიფორნიაში.

თავი 5. სოფლის თემის გამოწვევები

ახალგაზრდობა, სიბერე და ცხოვრების სტილი

სოფლის თემის ასაკის სტრუქტურა დიდ გავლენას ახდენს თემის ჯანდაცვის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი პირობების, კულტურული და დასვენების ზონის, ტრანსპორტირების, სასამართლო სისტემის ასპექტებზე. ფუგუტმა და მისმა კოლეგებმა (1989წ.) მათ მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელიც სოფლის მოსახლეობის გამრავლების დინამიკას ეხებოდა, აღნიშნეს:

„მოსახლეობის ასაკი, სქესი აყალიბებს თემის მოთხოვ-ნებსა და საჭიროებებს პროდუქციას, მომსახურებასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ისევე როგორც ცხოვრების სტილსა და სოციალურ ურთიერთობებთან მიმართებაში. მოსახლეობის ასაკი, სქესი განაპირობებს გარკვეული მოთხოვნებისა და შეზღუდვების დაწესებას სოფლის ცალკეულ ინსტიტუტზე“.

უფრო მეტიც, ვიდრე ასაკის სტრუქტურა არის დინამიური, თემში მიმდინარე ცვლილებებს შედეგად მოაქვს როგორც გამოწვევები, ისე შესაძლებლობები პატარა ქალაქებისა და სოფლის დასახლებებისთვის.

სოფლის თემის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშ-ვნელობა აქვს ორ ჯგუფს: (1). ახალგაზრდებს და მოზარდებს და (2). ასაკოვან პირებს. მიკრო დონეზე ინდივიდუალურ სიბერესთან მიმართებაში გამოიყენება ცხოვრების მიმდი-ნარეობის პერსპექტივა, რომელიც წარმოადგენს ერთიან სტრუქტურას და საჭიროა იმ გამოწვევების შესასწავლად, რომელიც დგას ახალგაზრდების, მოზარდებისა და

ასაკოვანი ადამიანების წინაშე თანამედროვე სოფლის საზოგადოებაში. მაკრო დონეზე ჩვენ ვაკეთებთ მოსახ-ლეობის სიბერის დინამიკის ანალიზს და შევისწავლით იმ გამოწვევებს, რომლის წინაშე დგას სოფლის თემი ახალგაზრდებისა და მოზარდების დანაკარგების ჩათვლით ასაკოვანი მაცხოვრებლების გარე და შიდა მიგრაციისა და ადგილზე დაბერების გამო.

ინდივიდუალური დაბერების შედარება მოსახლეობის დაბერებასთან

სოციოლოგები გამოყოფენ ინდივიდუალურ სიბერეს და მოსახლეობის სიბერეს. ინდივიუალურ სიბერეში იგუ-ლისხმება ადამიანის მოძრაობა და განვითარება ცხოვრების მანძილზე. ინდივიდუალური სიბერე არის ბიო-სოციალური პროცესი, რომელიც აისახება ასაკთან დაკავშირებული სოციალური როლის ცვლილებაში ასაკის მატებასთან ერთად. საპირისპიროდ, მოსახლეობის სიბერე მოიცავს მოსახლეობის ასაკის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლი-ლებებს, რომელიც მოსდევს ასაკოვან ჯგუფებში ადამიანების ხელახალ განაწილებას. როდესაც ასაკოვანი ადამიანების წილი იზრდება, მიიჩნევა რომ მოსახლეობა ბერდება. შესაბამისად, როცა ახალგაზრდების რაოდენობა ზრდას განიცდის, მოსახლეობას გააჩნია ტენდენცია გაახალ-გაზრდავებისკენ. მოსახლეობის სიბერე არის უნივერ-სალური პროცესი თანამედროვე მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მოსახლეობის დაბერება უფრო აქტიურად მიმდინარეობს ქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით.

სხვა სიტყვებით რომ განვმარტოთ, მოსახლეობის სიბერე გავლენას ახდენს სოფლის თემის კეთილდღეობაზე, სიბერე ასევე შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ინდივიდუალური და/ან ოჯახის განვითარების პროცესი. ადამიანის ქცევის ასპექტებს, როგორიცაა, მიგრაცია, სკოლაში სწავლა, ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, დასაქმება, დანაშაულის ჩადენა და სხვა მრავალი როლი, სტატუსი და ქცევა, ადგილი აქვს გარკვეულ ასაკში. როდესაც აღნიშნული ასპექტები ხდება ადრეულ ასაკში, მას აქვს აკუმულაციური გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე მოგვიანებით ასაკში.

ინდივიდუალური სიბერე სოფლის თემში. ცხოვრების მიმდინარეობის პერსპექტივა, როგორც ერთიანი სტრუქტურა

ინდივიდუალური სიბერე არ არის შემთხვევითი პროცესი, ეს არის განვითარება და პროგრესი ადამიანის ცხოვრების მანძილზე. ადრე აღნიშნულ პროგრესს ეწოდებოდა ცხოვრების ციკლი და ითვლებოდა, რომ ადამიანი ახალგაზრდა სტატუსიდან გადადიოდა ხანდაზმულ სტატუსში, რაც კავშირში იყო ბიოლოგიურ ასაკთან. ამჟამად სოციოლოგები სწავლობენ ინდივიდუალური სიბერის გამოცდილებას ცხოვრების მიმდინარეობის თვალთახედვიდან და არა სიცოცხლის ციკლის გათვალისწინებით. ცხოვრების მიმდინარეობის პერსპექტივა განიხილავს სიბერეს, როგორც არა მხოლოდ დაბერების პროცესს, არამედ როგორც სოციალურ და ფსიქოლოგიურ პროცესს, რომელიც მოქცეულია სხვადასხვა როლებისა და გამოცდილების ჩარჩოში და დაკავშირებულია გარკვეულ ასაკთან.

გარკვეული სტატუსი მოსდევს ერთმანეთს. მაგალითად, პენსიაში გასვლა მოსდევს კარიერას. თუმცა, პროგრესი ყოველთვის არც სწორხაზოვანია, არც შეუქცევადი. ადამიანები არ ბერდებინ ერთი სტატუსიდან და მასთან დაკავშირებული სოციალური როლიდან შემდგომ სტატუსში გადასვლის პროცესში. პენსიაში გასვლას მოყვება ხოლმე სხვა სამუშაო, სამუშაოს მოყვება ხოლმე განათლება. ზოგადად, ოჯახის შექმნა მოყვება სკოლის დამთავრებას და კარიერას, მაგრამ ზოგიერთ ქალს უკვე ჰყავს პირველი ბავშვი ამ მოვლენებამდე. ეს გულისხმობს, რომ ბიოლოგიური სიბერე არის სწორხაზივანი პროცესი, რომელიც ასაკის მატებასთან არის დაკავშირებული, ცხოვრების მიმდინარეობა არ არის სავალდებულო მიყვებოდეს ბიოლოგიურ ასაკს. ამ მხრივ, ცხოვრების მიმდინარეობის პერსპექტივა აღიარებს სხვადასხვა გზებს, რომელშიც სოციალური კონტექსტი გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებასა და გამოცდილებაზე.

ცხოვრების მიმდინარეობის პერსპექტივის სხვა მნიშვნელოვანი საკითხია ის რომ კეთილდღეობა მოგვიანებით ასაკში დამოკიდებულია ადრეულ გამოცდილებაზე, ქცევასა და გადაწყვეტილებებზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ „ვაგროვებთ ბარგს (გამოცდილებას)“ პროგრესთან ერთად და ამ „ბარგმა“ შეიძლება გააუმჯობესოს ჩვენი სიტუაცია ან პირიქით. უფრო მეტიც, უპირატესობები და ნაკლოვანებები გროვდება სიბერესთან ერთად. მაგალითად, სკოლის მიტოვება ნიშნავს რომ ადამიანს არ აქვს უპირატესობა შრომით ბაზარზე, სხვებთან შედარებით და ასევე ეს ფაქტი მის შემდგომ კარიერაზე გავლენას ახდენს.

ადრეული გამოცდილებისა და გადაწყვეტილებების აკუმულაციურ ეფექტს, რომელიც მოქმედებს მატერიალურ კეთილდღეობაზე მოგვიანებით ასაკში, შეიძლება გავლენა ჰქონდეს არა მხოლოდ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

მაგალითად, სასჯელის მოხდა ციხეში თინეიჯერობის ან მოზრდილ ასაკში წარმოადგენს იმ შეზღუდვას, რომელიც ამცირებს ცხოვრების შანსებს მომავალში. სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გასამართლებულ პირს ექმნება სირთულეები ცხოვრების მანძილზე დასაქმდეს მაღალანაზღაურებად სამუშაოზე, მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო ცხოვრებაში, დაოჯახდეს. განქოწინება არის ის გადაწყვეტილება, რომელსაც აქვს სოციალური და ფინანსური გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე მოგვიანებით ასაკში. მაგალითად, განქორწინებული მშობლები, რომლებიც მოშორებული არიან შვილებს, ხშირად მარტო რჩებიან ასაკში. კვლევები ადასტურებს, რომ მოზრდილი შვილის მხარდაჭერა არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ეს მხარდაჭერა შეიძლება დაეხმაროს ასაკოვან მშობელს შეინარჩუნოს დამოუკიდებელი ცხოვრება, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის სხვა ასპექტები.

სოფლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები. განათლების დონე

ბოლო წლების განმავლობაში სოფლის სკოლები წინ უსწრებს ქალაქის სკოლებს მიღწევებისა და გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლების მხრივ. შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ ბოლო ანგარიშში მოცემულია მე-4 და მე-8

კლასელების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც საშუალოზე მაღალი ან უფრო მაღალი ქულები აქვთ მათემატიკაში, კითხვაში და გამოცდებზე.

ამ ანგარიშის მიხედვით, სოფლის სკოლის მოსწავლეები მნიშვნელოვნად წინ უსწრებენ ქალაქისას, თუმცა ქალაქგარეთ სკოლის მოსწვალეებს აქვთ ყველაზე მაღალი ქულები კითხვასა და მათემატიკაში. სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეები ასევე წინ არიან სკოლის მიტოვებისა და გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ. 2004 წელს, სოფლის დასახლებებში 16-24 ასაკოვანი ადამიანების 11%-მა მიატოვა საშუალო სკოლა, როცა ქალაქში ეს მაჩვენებელი შეადგენს 13%-ს და ქალაქგარეთ-9%-ს. მსგავსად ამისა, 2002-2003 წლებში სოფლის პირველკურსელთა წილი იყო 75%, ქალაქის-65% და ქალაქგარეთ კი-79% ნახ.5-1.



ნახ.5-1. განათლების მაჩვენებლები(%)



ნახ.5-2. 25 წლის მოზრდილთა აკადემიური მაჩვენებლები

ჯიბსმა (2007წ.) გამოიყენა ახალგაზრდების მრავალ-წლიანი ეროვნული კვლევის მონაცემები, რათა შეედარებინა 25 წლის მოზრდილთა აკადემიური მოსწრების მაჩვე-ნებლები. ეს მოზრდილები თოთხმეტი წლის ასაკში ცხოვ-რობდნენ სოფელში ან ქალაქში. მოზრდილების 86%-მა, რომლებიც ცხოვრობდნენ ქალაქში დაამთავრეს საშუალო სკოლა, სოფლად ეს მაჩვენებელი შეადგენდა 85%-ს. ჯიბსმა ასევე დაადგინა, რომ ქალაქის სკოლადამთავრებულთა 65% შევიდა კოლეჯში, მაშინ როცა სოფლის სკოლადამ-თავრებულთა მხოლოდ 56%-მა გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა კოლეჯში. სოფლის სკოლადამთავრებულთა 70% დაბრუნდა სოფელში საცხოვრებლად კოლეჯში სწავლის შემდეგ.

მაშინ როცა, სოფელსა და ქალაქში გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა თითქმის თანაბარია, სოფლის მოსწვალეთა უფრო მცირე რაოდენობა წავიდა კოლეჯში სასწავლებლად. ხოლო სოფლის სკოლების მოსწავლეთა მესამედი, რომელთაც გადაწყვიტეს უმაღლესი განათლების მიღება არ დაბრუნდა სოფელში ნახ.5-2.

უმაღლესი განათლება სოფლად

სოფლად მაცხოვრებელ მოზრდილებს აქვთ განათლების უფრო დაბალი დონე, ვიდრე მათ თანატოლებს ქალაქში. ამერიკის შეერთბეული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემების მიხედვით, 25 წლის და ზემოთ ასაკის სოფლის მაცხოვრებელთა 23%-ს არ აქვს დამთავრებული საშუალო სკოლა. ეს არის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 1990 წელთან შედარებით, როცა ეს მაჩვენებელი 31%-ს შეადგენდა. ქალაქში ეს მაჩვენებელი შეადგენს 19%-ს. 2004 წელს, სოფლის მოზრდილი მოსახლეობის 13%-ს ჰქონდა ბაკალავრის ხარისხი. ზოგადად ქვეყანაში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 17%-ს. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია, რადგან ის გვიჩვენებს, რომ განათლების ფასი ეკონომიკური სტატუსის მქონე პირებისთვის იზრდება წლების განმავლობაში. 1984-2000 წლებში შეერთებულ შტატებში გაზრდილ სამუშაოთა ორი მესამედის შემთხვევაში საჭირო იყო ბაკალავრის ან უფრო მაღალი ხარისხის დიპლომი. ეკონომიკური პერსპექტივა შემცირდა იმ პირებისთვის, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ საშუალო სკოლის დიპლომი ან უფრო დაბალი.

ამის შედეგად, ადამიანური კაპიტალის დეფიცი არის სოფლის დამახასიათებელი თვისება, რაც ამცირებს შესაძ-

ლებლობას სოფლის მაცხოვრებლებისთვის მიიღოს მყარი, კარგად ანაზღაურებადი სამუშაო და მოიპოვოს ეკონომიკური უსაფრთხოება. ადამიანური კაპიტალი და განათლების დონე დაბალია სოფლად. კვლევებით დადასტურდა, რომ ეროვნული უმცირესობებსა და ქვეყნის სამხრეთში მაცხოვრებლებს აქვთ განათლების დაბალი დონე. ეს დაბალი დონე კი ნიშნავს სიღარიბეს. ამ შემთხვევაში ყალიბდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. პირები, რომელთა განათლების დონე დაბალია, უმეტესად არიან ღარიბები და ღარიბი ადამიანები ხშირად არ სწავლობენ ან არ ამთავრებენ სკოლას. განათლების დაბალ დონეს მრავალი მიზეზი განაპირობებს, სტუდენტთა სწრაფ მონაცვლეობას განსაკუთრებული უარყოფითი გავლენა აქვს განათლების დონეზე სოფლის ღარიბ მოსახლეობას შორის. სტუდენტთა მონაცვლეობას განაპირობებს ხშირი გადაადგილებები საცხოვრებელი პირობების გამოცვლის მიზნით. ამ გადაადგილების ძირითადი მიზანია უფრო უკეთესი შესაძლებლობის მიღება. საკუთრების დაკარგვა, არასტაბილური ურთიერთობები, ოჯახური ძალადობა, სამსახურის დაკარგვა და სხვა ოჯახური გარემოებები უმეტესად იწვევს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას და შესაბამისად სხვა სკოლაში გადასვლას. სოციალური და საცხოვრებელი პირობების ცვლილებას და ასევე აკადემიურ წარუმატებლობას შედეგად მოაქვს ეკონომიკური არასტაბილურობა და ასევე დაბალი ქულები სხვადასხვა საგნებში. ხშირად საცხოვრებელი პირობების გამოცვლა გულისხმობს სხვა რეგიონში გადასვლას, სადაც სკოლებში სასწავლო პროგრამები შეიძლება იყოს განსხვავებული, რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

კრიმინალური საქმიანობა და ნარკოტიკების მოხმარება

კრიმინალი საკმაოდ გავრცელებულია ახალგაზრდებსა და მოზარდებში. ოცდაათ წლამდე ადამიანები ჩართული არიან სხვადასხვა საქმიანობებში, მათ შორისაა კრიმინალი. თუ ახალგაზრდა ასაკში ხდება პირის დაკავება, სისხლის-სამართლებრივი დევნა ან გასამართლება და განაჩენის გამოტანა, ეს მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე. სოფელთან ასოცირებულია მითი, რომ სოფლის თემი უფრო დაცულია, სოციალური კონტროლი უფრო მაღალია, დანაშაულის დონე დაბალი, თუმცა სინამდვილე განსხვავებულია. სოფლის ახალგაზრდობის შანსი იყოს ჩართული კრიმინალურ საქმიანობაში ზუსტად ისეთივეა, როგორც ქალაქის შემთხვევაში.

შეერთებულ შტატებში დანაშაულის დონე შემცირებულია როგორც სოფლად, ასევე ქალაქში. მაგრამ შემცირებული დანაშაულის მაჩვენებლებით უფრო სარგებლობს ქალაქისა და გარეუბნის მოსახლეობა სოფელთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად დანაშუალის მაჩვენებელი უფრო დაბალია ქალაქთან შედარებით, მაგრამ დანაშაული სოფლად მცირდებოდა ძალიან ნელა, ვიდრე ქალაქში. გარდა ამისა, შეერთებული შტატების იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს ბოლო პერიოდის მონაცემებით, მძიმე დანაშაულისა და ახალგაზრდების დანაშაულის მაჩვენებლებმა სოფლად მოიმატა. შესაბამისად, კრიმინოლოგებმა ყურადღება მიაქციეს სწორედ სოფლად არსებულ დანაშაულს, განსაკუთრებით თუ ის ჩადენილია ახალგაზრდის მიერ. პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდების წინაშე კი მრავალი სირთულე და წინააღმდეგობა არსებობს. უმეტეს შემთხვევებში ციხეში პირობები არ არის შესაბამისი,

როგორც ფინანსური სახსრების, ასევე ადამიანური რესურსების მხრივ. ამიტომ იქ მოხვედრილი ახალგაზრდებისთვის სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამები ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს. პატიმრობაში მყოფ მოზრდილთა 60%-ს არ აქვს საშუალო სკოლის დიპლომი.

ყველასთვის ცნობილია, როგორი მჭიდრო კავშირი არსებობს დანაშაულსა და ნარკოტიკების მოხმარებას შორის. სოფლად დანაშუალის ერთი მესამედი დაკავშირებულია ალკოჰოლის მოხმარებასთან. ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების მხრივ სოფელსა და ქალაქს შორის განსხვავება ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ სოფელში ალკოჰოლის მიღებას თან სდევს უფრო მეტი პრობლემა, ვიდრე ქალაქში. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული სოფლის ახალგაზრდებში ალკოჰოლი და დანაშაული უფრო მეტად არის გადაჯაჭვული, ვიდრე ეს ქალაქის შემთხვევაშია. სოფლის ახალგაზრდები უფრო მეტად იყენებენ მეტამფეტამინსა და ოქსიკონტინს, ქალაქის ახალგაზრდებთან შედარებით.

ასაკოვანი სოფლის მაცხოვრებლების წინაშე მდგარი პრობლემები. სოცილაური ქსელის შენარჩუნება

როგორც კრაუტი (1988წ.) მიიჩნევს, სოფლის სიტუაცია გავლენას ახდენს ასაკოვანი ადამიანების სტატუსსა და გამოცდილებაზე, თუმცა, ბიოგრაფია და ისტორია ასევე მოქმედებს მათ კეთილდღეობაზე. მრავალ ადამიანს უწევს სხვადასხვა საზოგადოებაში ცხოვრება და მუშაობა თავისი ცხოვრების მანძილზე. საპენსიო ასაკში არსებულ შემოსავალს, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა გარემოებებზე გავლენას ახდენს წინა წლებში არსებული სოციალური

და ეკონომიკური ვითარება, ისევე როგორც ის შესაძლებ-ლობები, რომელიც დაკავშირებულია საპენსიო ასაკის საცხოვრებელ პირობებთან.

ერთი გამოწვევა, რომლის წინაშე დგება ასაკოვანი ადამიანი მისი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად არის სოციალური ურთიერთობების ქსელის შენარჩუნება. ეს შეიძლება იყოს რთული, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ინარჩუნებენ გარკვეულ სოციალურ როლს ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ასევე კარგავენ ურთიერ-თოებებს ასაკთან ერთად. მაგალითად, პენსიაში გასვლა ხანგრძლივი კარიერის შემდეგ განაპირობებს მნიშვნელო-ვანი სოციალური კავშირების გაწყვეტას, ვინაიდან ერთი სოციალური მდგომარეობიდან მეორეში გადადის ადამიანი. კვლევები აჩვენებს, რომ ის პირები, რომლებიც ინარჩუნებენ სოციალურ ურთიერთობებს და აქტიურად არიან ჩართული ამ ურთიერთობების ქსელში, ცხოვრობენ უფრო დიდხანს, არიან გაცილებით ჯანმრთელი. სოციალური ინტეგრაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. სოციალური ინტეგრაციაში იგულისხმება ის ხარისხი, რომლის საშუალებითაც ადამიანი ჩართულია სოციალური როლებსა და ურთიერთობებში, რომელთაგან ყველაზე ახლოს დგას ოჯახი, მეგობრობა, ახლო კავშირები. შესაბამისად, სოციალური ინტეგრაცია მოიცავს, როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ სოციალურ მონაწი-ლეობას, ორგანიზაციულ წევრობას და/ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნებაყოფლობით მონაწილეობას, ისევე როგორც ოჯახისა და მეგორების წრეში აქტიურ ჩართულობას. არაოფიციალური სოციალური ურთიერთობები უზრუნველ-ყოფს სოციალურ მხარდაჭერას, მაშინ როცა ოფიციალური

ჩართულობა აკავშირებს ადამიანს სხვადასხვა სოციალურ მოვლენასთან, სადაც ჯანმრთელობასთან, სოციალურ ურთიერთობებთან, საყოფაცხოვრებო საგნებთან, ფინანსურ მენეჯმენტთან და სხვა ყოველდღიურ საჭირობებთან დაკავშირებული რესურსებისა და ინფორმაციის მოპოვება არის შესაძლებელი.

სოფლის თემში სოციალური ურთიეთობების შენარ-ჩუნებაზე შესაძლებელია იმოქმედოს მოსახლეობის რაოდე-ნობის დინამიკამ. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული სოფლის დასახლებებში აქტიურად მიმდინარეობს ახალგაზრდების გარე მიგრაცია, რაც ართულებს სოციალური კავშირების შენარჩუნებას მშობლებსა და შვილებს შორის. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობა უფრო ასაკოვანია ქალაქთან შედარებით და შანსი იმისა, რომ მეგობრები და კოლეგები შეიძლება გარდაიცვალონ არის მაღალი. დადებითი თვისება, რაც თან ახლავს სოფლად ცხოვრებას არის ის, რომ სოფელი ხდება სამოც წელს მიღწეული ადამინებისთვის საცხოვრე-ბელი ადგილი, ამ ასაკში ადამინები ეძებენ მშვიდ, მდიდარ და კომფორტულ გარემოს საცხოვრებლად, რაც სარგებლის მომტანია სოფლისთვის.

პენსიაში გასვლის შემდგომ მიგრაციას მოაქვს შემო-სავალი, სიმდიდრე და გამოცდილება სოფლისთვის, მაგრამ თავად ეს მიგრანტები დგებიან რისკის ქვეშ გახდნენ სოციალურად იზოლირებულები. კვლევებმა აჩვენა, რომ ეს არ შეესაბამება რეალობას. ასაკოვანი მიგრანტები ზუსტად ისევე არიან ჩართული სოფლის ცხოვრებაში, როგორც იქ ოცი ან ოცდაათი წლის მანძილზე მაცხოვრებელი იმავე ასაკის ადამიანები. ასაკოვანი მიგრანტები აყალიბებენ ოფიციალური თუ არაოფიციალური სოციალური კავშირე-

ბის უფრო მდიდარ ქსელებს სოფელში მათი ჩამოსვლის შემდეგ. უფრო მეტიც, კვლევამ აჩვენა, რომ სოფლად წასული ასაკოვანი მიგრანტების ერთ მესამედს ჰყავს სულ მცირე ერთი მოზარდი შვილი, რომელიც ცხოვრობს მასთან ერთად.

ჯანმრთელობის მდგომარეობა და ჯანდაცვის სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა

სიბერის შესახებ დისკუსია წარმოშობს ჯანმრთელობის, ავადობის და სამედიცინო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხებს, რომლებიც აქტუალურია სოფლის მოსახლეობისთვის. 1980 წლიდან ქრონიკული შრომისუუნაროობის პრობლემა შემცირდა როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, მაგრამ ახალგაზრდებთან შედარებით ასაკოვან ადამიანებს უფრო მეტად აწუხებთ ქრონიკული დაავადებები. ქრონიკული დაავადების გავრცლების რისკი არათანაბარია ქვეყნის მასშტაბით. კვლევები აჩვენებს, რომ სოფლად მაცხოვრებელ ადამიანებს უვითარდებათ ასაკთან დაკავშირებული გულის დაავადებები, სიმსივნე, სხვა ქრონიკული დაავადებები, ვიდრე იმავე ასაკის ქალაქის მოსახლეობას. ეს ნიშნავს, რომ სოფლად ცხოვრება განაპირობებს გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობას, სოფელში ასაკოვან ადამიანებში ქრონიკული დაავადებების განვითარების მაჩვენებელი უფრო მაღალია, შესაბამისად, მათ სჭირდებათ სამედიცინო სერვისებისადმი უფრო მეტი ხელმისაწვდომობა.

კრაუტი მიიჩნევდა, რომ ასაკოვანი ადამიანები სოფლად საჭიროებენ უწყვეტ სამედიცინო მკურნალობას, რათა შეინარჩუნონ ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და დამოუკი-

დებლობა. თუმცა, სოფლად ასაკოვანი ადამიანების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისი სერვისები არ არის უზრუნველყოფილი. ამ არასაკმარისი სერვისების მიზეზია: სახელმწიფო პროგრამებში ურბანული ადგილებისთვის პრიორიტეტის არ მინიჭება; სერვისის მიწოდების უფრო მაღალი ხარჯი სულზე მოსახლეობის მცირე რაოდენობისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის დაბალი მაჩვენებლის გამო; ტრანსპორტირებისა და კვალიფიციური ოჯახის ექიმების ნაკლებობა; მკურნალობის უწყვეტობა, რომელიც გულისხმობს სოციალურ ორგანიზაციებში და სახლში გაწეულ მომსახურებას, რაც ხელს უწყობს შედარებით ჯანმრთელ და მდიდარ ასაკოვან ადამიანებს იცხოვრონ დამოუკიდებლად; ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს (პროვაიდერები), როგორიცაა მოხუცთა სახლი, მოხუცთა თავშესაფარი, მუდმივი მზრუნველობის სათემო დაწესებულებები; ზოგიერთი სერვისი ხელმისაწვდომია სახელმწიფო სტრუქტურების საშუალებით, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო და კერძო ჯანდაცვის სისტემა, ასევე კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანზიაციები; ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ფოკუსირებულია სპეციალურ მოთხოვნებზე, როგორიცაა; მკურნალობა, კვება ან ტრანსპორტირება, მაშინ როცა სხვები ორიენტირებულია განსხვავებულ საჭიროებებზე, მათ შორის ტრანსპორტირება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, კვება, იურიდიული დახმარების გაწევა ან სხვა სახის ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

სოფლად მაცხოვრებელი ბევრი ასაკოვანი ადამიანი მოკლებულია სხვადასხვა სერვისებს, ვინაიდან აღნიშნული

სერვისები არ არის ადგილობრივად ხელმისაწვდომი ან ზოგიერთი ასაკოვანი ადამიანი ვერ იყენებს სერვისებს ფინანსური, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეების ან სხვა პრობლემების გამო. მიზეზების მიუხედავად, ასაკოვანი ადამიანები ხშირად არ არიან უზრუნველყოფილი საჭირო და აუცილებელი სერვისებით. სააგენტოებს, რომლებიც მუშაობენ სიბერის საკითხებზე შეუძლიათ აქტიური როლი ითამაშონ სოფლის ასაკოვანი ადამიანების დახმარების საქმეში. ეს სააგენტოები წარმოადგენენ სიბერესთან დაკავშირებული სერვისების ქსელს და მათ შეუძლიათ ასაკოვანი ადამიანის დაკავშირება იმ სერვისთან, რომელსაც ისინი საჭიროებენ.

მოსახლეობის სიბერე სოფლად, რატომ ბერდება ადრე მოსახლეობა განვითარებულ ქვეყნებში?

სხვადასხვა ასაკოვან ჯგუფებში მოსახლეობის განაწილებაზე გავლენას ახდენს შობადობის, სიკვდილიანობისა და მიგრაციის მხრივ ცვლილებები. შეერთებულ შტატებში 65 წლის და ზემოთ ასაკის ადამიანების წილი 1961-2010 წლებში გაიზარდა 9%-დან 13%-მდე. სიბერის ტემპი ბოლო 50 წლის მანძილზე არის მყარი. ზოგადად, სიკვდილიანობის შემცირება ასაკოვან ადამიანებში და მომატებული სიცოცხლის ხანგრძლივობა (ნახ.5-3) უნდა წარმოადგენდეს მოსახლეობის სიბერის მიზეზს, თუმცა, შობადობის დაბალი მაჩვენებელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა ასაკოვანი ადამიანების წილის მომატების მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის სიბერის შემდგომი ზრდა ყოველგვარი ეჭვის გარეშე უკავშირდება სიკვდლიანობის შემცირებას ასაკოვან

ადამიანებში. იმ საზოგადოებაში, რომელშიც სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაბალია, გარდაცვალებას ადგილი აქვს 65 წლის ზემოთ.



ნახ.5-3. აშშ-ს ტერიტორიები სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით.

ასაკთან დაკავშირებულ მიგრაციას აქვს პირდაპირი გავლენა ასაკოვან სტრუქტურაზე, ვინაიდან პირები ემატება ან აკლდება სპეციფიურ ასაკოვან ჯგუფებს. გარდა ამისა, მიგრაციას შეუძლია არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ასაკის სტრუქტურაზე და ამ გავლენას აქვს გრძელ-ვადიანი პერსპექტივა. მაგალითად, შობადობის ასაკის მქონე პირების გრძელ-ვადიანი გარე მიგრაცია იწვევს არა მარტო ამ ადამიანების გამოკლებას მოსახლეობიდან, არამედ ამცირებს მოსახლეობის რეპროდუქციულ პოტენციალს, რასაც შედეგად

მოყვება ბავშვების რაოდენობის შემცირება და შემდგომი სიბერე.

სიბერე სოფლად

შეერთებულ შტატებში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში სიბერე უფრო აქტიურად მიმდინარეობს სოფლად, ვიდრე ქალაქში. 2004 წელს დაახლოებით 7.5 მილიონი სოფლად მაცხოვრებელი ადამიანის ასაკი იყო 65 წელი და ზემოთ, ეს არის 2.3%-იანი ზრდა 2000 წელთან შედარებით (7.29მილიონი). აღნიშნული ზრდა ნაწილობრივ განპირობებულია პენსიამდე ასაკის ადამიანებით, რომელთაც გადააბიჯეს 65 წელს ნახ.5-4.

ასაკოვანი ადამიანების რაოდენობა ითამაშებს უფრო ძლიერ როლს მომავალში სოფლის მოსახლეობის დაბერების პროცესში. მიგრაცია წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის სიბერის ძირითად კომპონენტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიგრაციას გააჩნია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გავლენა ასაკის შემადგენლობაზე. შეერთებულ შტატებში სოფლის მოსახლეობის სიბერესთან მიმართებაში ორი განსხვავებული მიგრაციის დინამიკა მოქმედებს; (ა). ახალგაზრდებისა და მათი შვილების გრძელვადიანი გარე მიგრაცია და (ბ). პენსიაში გასული და საპენსიო ასაკის ადამიანების შიდა მიგრაცია. ეს ორივე სახის მიგრაცია ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის სიბერეს და ასევე ხსნის, თუ რატომ არის სოფლის დასახლება უფრო ასაკოვანი ქალაქთან შედარებით.

შობადობის შემცირებული როლი სოფლის მოსახლეობის ზრდის პროცესზე და სოფლის ასაკოვან შემადგენლობაზე გამოწვეულია რეპროდუქციული ასაკის მქონე

მოსახლეობის ზომის შემცირებით და რეპროდუქციული ასაკის ქალებში შობადობის მაჩვენებლის შემცირებით. 1930-1970 წლებში სოფლის მოსახლეობა იზრდებოდა უმნიშვნელოდ და ეს ზრდა განპირობებული იყო ბუნებრივი ზრდით (დაბადებულთა რაოდენობა მეტია გარდაცვლილთა რაოდენობაზე). 1970 წლიდან ბუნებრივმა ზრდამ ითამაშა მცირე როლი სოფლის მოსახლეობის ზრდაში და ბუნებრივი ზრდის ნაკლებობა ხელს უწყობდა სოფლის მოსახლეობის დაბერების პროცესს.



ნახ.5-4. სიბერე სოფლად

მოსახლეობის სიბერის გამოწვევა თემის დონეზე. ახალგაზრდების გარე მიგრაცია და კვალიფიციური ადამიანების მიერ სოფლის დატოვება

გადაადგილება უმეტესად ხდება მაშინ, როცა ადამიანები ცდილობენ შეცვალონ სიტუაცია, ეს უკავშირდება სკოლის დამთავრებას, დაქორწინებას, კარიერის დაწყებას, სახლის ყიდვას და ეს ცვლილება ძირითადად უკავშირდება

ადრეულ ასაკს. შესაბამისად, ახალგაზრდა ასაკში გეოგ-რაფიული მობილურობის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია სხვა ასაკთან შედარებით. სოფლად ან ქალაქში ცხოვრების მიუხედავად, შიდა და გარე მიგრაციის მოცუ-ლობა მაღალია ახალგაზრდა ასაკში. რაც განასხვავებს ქალაქსა და სოფელს ერთმანეთისგან, არის შიდა მიგრაციის ის მაჩვენებელი, რომელიც განაპირობებს დანაკარგის შევსებას. სოფლის დასახლებები განიცდიდა ახალგაზრ-დების შიდა და გარე მიგრაციას თითოეულ ათწლეულში 1950-2000 წლების მანძილზე და ეს წმინდა დანაკარგი იყო ყველაზე დიდი იმ ათწლეულების დროს, როცა სოფლის მოსახლეობა შემცირდა მთლიანობაში. ახალგაზრდებში გარე მიგრაცია შემცირდა, თუმცა იყო ჯერ კიდევ უარყოფითი 1970-1990-იან წლებში, რომელიც ხასიათდება სოფელში მოსახლეობის მიბრუნებით.

ახალგაზრდების გაზრდილი მობილურობის გათვა-ლისწინებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სოფელში შემსვლელთა რაოდენობაზე, რომელიც ჩაანაც-ვლებს გასულ ნაკადს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, დანა-კარგსა და შენაძენს შორის ბალანსის დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად დანაკარგი. კვალიფიციური ადამიანების მიერ სოფლის დატოვება ნიშნავს ახალ-გაზრდების განათლების, გამოცდილების და რეპროდუქ-ციული პოტენციალის გამოყენებას სხვაგან. მთავარი გამოწვევა, რომელიც დგას სოფლის მოსახლეობის წინაშე არის ახალგაზრდების არასაკმარისი შიდა მიგრაცია და არა ის, რომ გარე მიგრაცია საშუალო მაჩვენებელზე უფრო მაღალია. თუმცა, თანამედროვე პოლიტიკა ფოკუსირებულია უფრო მოსახლეობის შენარჩუნებაზე, ვიდრე მოსახლეობის

მიზიდვაზე. უფრო დაბალანსებული მიდგომა მიზიდვასა და შენარჩუნებას შორის სავარაუდოდ შეამცირებდა კვალიფიციური კადრების მიერ სოფლის დატოვებას. მიგრაციის შერჩევითობა არის უფრო მნიშვნელოვანი თემის სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებისთვის. მიგრაციის შერჩევითობა ნიშნავს, რომ ადამიანების გარკვეული კატეგორია არა მხოლოდ გადაადგილდება, არამედ გადაადგილდება გარკვეულ ადგილებში. კვლევები აჩვენებს, რომ სოფლის შიდა და გარე მიგრაცია ახალგაზრდებში იყო განსაკუთრებით შერჩევითი, რაც გულისხმობდა განათლებული ადამიანების მიერ სოფლის დატოვებას 1989-2004 წლებში.

შიდა მიგრაცია საპენსიო ასაკში

ახალგაზრდა ადამიანებს უფრო ახასიათებთ გადაადგილება, ვიდრე ასაკოვან ადამიანებს, 60 წლის და ზემოთ ასაკის ამერიკელების დაახლოებით ათი პროცენტი გადაადგილდა 1995-2000 წლებში და მცირე ნაწილი გადავიდა სოფელში. სოფლად ასაკოვანი ადამიანების შიდა მიგრაცია ხდება განსაკუთრებით მდიდარ ადგილებში, სადაც შიდა მიგრანტებს უკვე გააჩნიათ სოციალური კავშირები, საცხოვრებლად გადასვლამდე. 2000 წელს, შეერთებული შტატების 274 ოლქში დაფიქსირდა ასაკოვანი ადამიანების შიდა მიგრაციის მაღალი დონე.

საპენსიო ასაკში საცხოვრებელი ადგილის სტატუსი ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს სოფლის თემისთვის და თავად მიგრანტებისთვის. როგორც ზემოთ ითქვა ასაკში გადაადგილება ადამიანებს აყენებს რისკის ქვეშ იყვნენ იზოლირებულები. მაგრამ კვლევები ამ მოსაზრებას არ ადასტურებს. ასაკოვანი ადამიანები გადაადგი-

ლების შემდეგ ამყარებენ ახალ სოციალურ ურთიერთობებს და/ან განაახლებენ უკვე არსებულებს ახალ საზოგადოებაში. ეს ადამიანები მონაწილეობენ ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში და უერთდებიან კულტურულ და სხვა მოვლენებს.

სოფლის თემის გადმოსახედიდან ასაკოვანი მიგრანტები არიან მდიდარი, ჯანმრთელი, უფრო განათლებული ადამიანები, ვიდრე იმავე ასაკის სოფლის მაცხოვრებლები. მრავალრიცხოვანი კვლევები აჩვენებს, რომ პენსიაში გასვლასთან დაკავშირებულ მიგრაციას მოაქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი კონკრეტული სოფლის თემისთვის. ზოგიერთ სახელმწიფოს აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკა, რომლის მიზანია ასაკოვანი ადამიანების მიგრაცია სოფლად და ეს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას. ეკონიმიკური სარგებლის გარდა ასაკოვანი მიგრანტები მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ საქმიანობებში, ანხორციელებენ ტექნიკურ და პროფესიონალურ ექსპერტიზას, რაც სხვა შემთხვევაში რთული იქნებოდა და გარდა ამისა ეს დაკავშირებულია ხარჯებთან. ისინი უწევენ ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომელთაც შეხება აქვთ ხელოვნებასა და კულტურასთან. ასაკოვანი მიგრანტები ხდებიან პოლიტიკურად აქტიურები ახალ საზოგადოებაში. ეს ადამიანები მონაწილეობენ კამპანიებში, აყენებენ ახალ ინიციატივებს და ხელს უწყობენ ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზაციას.

აღნიშნულ სარგებელს აღიარებენ სოფლის მაცხოვრებლები, თუმცა, ისინი მიუთითებენ ასევე, რომ ასაკოვანმა მიგრანტებმა შეიძლება შეცვალონ სოფლის თემის ინტერე-

სები. მაგალითად, უძრავ ქონებაზე ფასების მატებამ შეიძ-ლება შეამციროს სახლების გაყიდვის მაჩვენებელი. ნებაყოფ-ლობითმა ჩართულობამ შეიძლება შეამციროს საჯარო სექტორის ხარჯები და აგრეთვე შეამციროს პროფესიულ კადრებზე მოთხოვნა, რაც თავის მხრივ ამცირებს ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვისა და შენარ-ჩუნების შანსებს. ასაკოვანი მიგრანტები, რომლებიც ხდებიან ლიდერები სხვადასხვა საქმიანობებში, ხშირად უგულებელ-ყოფენ ტრადიციულ ხერხებს და შეიძლება შემოიღონ ახალი მეთოდები და თავს მოახვიონ სოფლის თემს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ასაკოვანი მიგრანტების მოზიდვას მოაქვს როგორც ახალი შესაძლებ-ლობების წარმოშობა, ასევე ხარჯები, შესაბამისად, სოფლის თემი უნდა აღმოჩნდეს სათანადო დონეზე, რათა ზუსტად შეაფასოს მიგრანტების როლი სოფლის საზოგადოებაში.

ბუნებრივი შემცირება

ახალგაზრდების გარე მიგრაციას აქვს როგორც მოკლე, ასევე გრძელ-ვადიანი გავლენა მოსახლეობის ასაკოვან სტრუქტურაზე. ახალგაზრდა ადამიანები მაშინვე აკლდება მოსახლეობას, ასევე მისი შვილები, რომლებიც მათ შეიძ-ლება ჰყოლოდათ რეპროდუქციულ ასაკში. თუ გარე მიგრა-ცია ახალგაზრდა ასაკში გრძლდება რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ის გავლენას ახდენს საზოგადოების ასაკის სტრუქტურაზე და მსგავს საზოგადოებაში მოზრდილების რაოდენობა მცირეა, ასევე ცოტა არიან ბავშვები და უფრო მეტია ასაკოვანი ადამიანები. სოფლად დარჩენილი ახალგაზრდა წყვილების შვილებიც კი, მათი რაოდენობის

მიუხედავად ვერ აკომპენსირებს სიკვდილის შემთხვევებს მოხუცებულობის ასაკში. ამის შედეგია ბუნებრივი შემცირება, როცა გარდაცვლილთა რაოდენობა აჭარბებს დაბადებულთა რაოდენობას. სუფთა შიდა მიგრაციის არარსებობის პირობებში, ბუნებრივი შემცირება იწვევს მოსახლეობის შემცირებას გრძელ-ვადიან პერსპექტივაში ან მოსახლეობის ნელ ცვლილებას.

ბუნებრივ შემცირებას ადგილი აქვს სოფლად. ბუნებრივი შემცირება დამახასიათებელია ისეთი ადგილებისთვის, რომელიც საკმაოდ არის მოშორებული ქალაქებიდან, სადაც სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულების მაჩვენებელი მაღალია. შეერთებული შტატების 800 მეტ ოლქში დაფიქსირდა ბუნებრივი შემცირება 2005 წელს. ბუნებრივი შემცირების დროს მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ასაკთან დაკავშირებული სერვისების მიწოდება და განსაკუთრებით ეს ეხება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ის ადგილები, სადაც სახეზეა ბუნებრივი შემცირება არ არის მჭიდროდ დასახლებული და იზოლირებულია ურბანული ადგილებიდან, რის გამოც სერვისების მიწოდება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ასევე მიწოდებაც თავის მხრივ გართულებულია.

აღნიშნულ თავში განხილულ იქნა ის შესაძლებლობები და გამოწვევები, რომელიც დგას როგორც ახალგაზრდების, ასევე ასაკოვანი ადამიანების წინაშე. ახალგაზრდა ასაკში მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე მოგვიანებით. სკოლის მიტოვება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარება, განქორწინება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ამ გადაწყვეტილებებსა და ნაბიჯებს ახასიათებს აკუმულაცი-

ური ეფექტი და განსაკუთრებით ვლინდება მოგვიანებით ასაკში.

ინდივიდუალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება გარემოსგან იზოლირებით, უფრო მეტიც, ცხოვრების პირობები, რომელშიც ადამიანი იბადება, წარმოშობს როგორც შესაძლებლობებს, ასევე შეზღუდვებს კონკრეტული ადამიანისთვის. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები მიიღება გარკვეულ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ კონტექსტში. მაშინ როცა არ არის ნათელი სოფლად ცხოვრება რა ხარისხით და როგორ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, ეჭვგარეშეა ერთი ფაქტი, რომ სოფლის ეკონომიკას გააჩნია უფრო მცირე და ნაკლებად მრავალფეროვანი შესაძლებლობები და რომ სოფელი აძლევს უფრო შეზღუდულ ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას ოჯახებსა და ინდივიდებს. აქედან გამომდინარე, სოფლად ცხოვრება აძლიერებს რისკებს, რომელიც თან ახლავს ადამიანს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კოლეჯისა და უმაღლესი განათლების მქონე პირები ხშირად ტოვებენ სოფელს, ვინაიდან ადგილობრივი ეკონომიკა სთავაზობს მცირე შესაძლებლობებს, რომელიც არ შეეფერება მათ განათლებას. პენსიაში გასული ადამინების მიგრაცია სოფლად განაპირობებს ცვლილებსა და შესაძლებლობების გაჩენას სოფლის თემში. ახალგაზრდების გადინებასა და ასაკოვანი ადამიანების შემოდინებასთან არის დაკავშირებული მოსახლეობის სიბერე.

თავი 6. ამერიკის სოფლის ცვალებადი სახე

რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები

მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ სოფლის დასახლებებში ნაკლებად არის წარმოდგენილი რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები. მიშელ ვუდი მიჩნევს, რომ ისეთი ქვეყნებში, როგორიცაა, შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია, სოფელი არის ეროვნული იდენტობის ტრადიციული სახე. იგი შედგება ერთგვაროვანი ეთნიკური ჯგუფისგან.

შეერთებულ შტატებში არაურბანული დასახლებები არ გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით ურბანულთან შედარებით. თუმცა, ამერიკის სოფლებში უფრო მეტი რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, ვიდრე ზოგადად წარმოუდგენიათ. უმცირესობებს ძლიერი ფესვები აქვთ ამერიკაში დაწყებული აფროამერიკელებიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დამთავრებული ლათინო-ამერიკელებით სამხრეთ დასავლეთში და ამერიკელი ინდიელების რეზერვაციებით. გარდა ამისა, ბოლო მონაცემებით სოფლის დასახლებები სულ უფრო მეტად ხდება ეთნიკურად მრავალფეროვანი.

რასა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ჯგუფში ან ჯგუფებში ფიზიკური თვისებების საფუძველზე, მაგალითად, როგორიცაა კანის ფერი ნახ.6-1. ეთნიკურობა ხშირად ცვლის რასას, თუმცა ეთნიკურობა უფრო მეტად დაკავშირებულია გეოგრაფიულ წარმომავლობასთან, რწმენასთან, კულტურასთან და/ან ქცევასთან, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ რასობრივ ჯგუფს ან ჯგუფებს.

წარსულში მიიჩნევდნენ, რომ რასა დაფუძნებული იყო ბიოლოგიურ ან გენეტიკურ თვისებებზე და ის ასახავდა ბიო-ფიზიკურ განსხვავებებს ადამინთა ჯგუფებს შორის, ამჟამად მიღწეულია კონსენსუსი ბიოლოგებსა და სოციოლოგებს შორის, რომ რასა სამეცნიერო კლასიფიკაციის გადმოსახედიდან მნიშვნელობას მოკლებულია, მოსახლეობის მობილურობისა და გენეტიკის გათვალისწინებით და ასევე შეუძლებელია ფიზიკური ან ბიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით რასობრივი დაყოფის გამართლება.

ნახ.6-1. ამერიკული რასა

მიუხედავად იმისა, რომ რასა არ არის ბიოლოგიური კატეგორიზაციის საშუალება, მას აქვს ძლიერი სოციალური კონსტრუქცია. ეს ნიშნავს, რომ რასობრივ განსხვავებასთან

ასოცირებულ მახასიათებლებს, როგორიცაა კანის ფერი, არ გააჩნია რეალური მნიშვნელობა მოსახლეობის კლასიფიკაციის თვალთახედვიდან, მაგრამ ისინი შეიძლება იყოს სოციალური განსხვავების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, თუ საზოგადოება მას მნიშვნელობას მიანიჭებს. მაგალითად, რასის თემის (თუ განვაზოგადებთ ის შეიძლება იყოს გარკვეული ჯგუფების „უპირატესობა“ სხვებთან შედარებით) გამოყენება ისტორიულად ხდებოდა სოციალური იერარქიის დამკვიდრების მიზნით, რის შედეგადაც ერთი ჯგუფი ან ჯგუფები მოიპოვებდნენ უპირატესობას და იმორჩილებდნენ სხვა ჯგუფებს. რასობრივი განსხვავებით ამართლებდნენ ნაწილობრივ მონათა ვაჭრობას ამერიკაში და მოგვიანებით ამერიკელი ინდიელების, აფროამერიკელებისა სხვა რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების დევნასა და შევიწროვებას.

ეს ფენომენი მხოლოდ ამერიკული გამოცდილებით არ შემოიფარგლება. რასობრივი დაყოფა წარმოადგენდა კოლონიზაციის იდეოლოგიურ საფუძველს სამხრეთში. მეორე მსოფლიო ომის დროს, ადოლფ ჰიტლერის მესამე რეიხი აწვდიდა მნიშვნელოვან რესურსებს და სტატუსს ფაშისტ ანთროპოლოგებს არა მხოლოდ იმისთვის, რომ ლეგიტიმური გაეხადათ სუფთა გერმანული რასის კონცეფცია, არამედ გამოეყენებინათ ფსევდომეცნიერება „რასობრივი წმენდის“ გასამართლებლად, რაც გულისხმობდა მოსახლეობის შერჩევას, გადაადგილებას და საბოლოოდ მილიონობით ებრაელის, ბოშის, ჰომოსექსუალების განადგურებას. ბოლო პერიოდში, რასობრივი და ეთნიკური იდენტობა გახდა გენოციდის საფუძველი რუანდაში და ყოფილ იუგოსლავიაში და ის ხშირად არის სერიოზული კონფლიქტების მიზეზი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

რასობრივი დაყოფა და სოფელი

შეერთებულ შტატებში 2020 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით 74% არის თეთრკანიანი. არაურბანულ ადგილებში ეს ციფრი აღწევს 85%-ს. ქალაქში აფროამერიკელების რაოდენობა შეადგენს 12%-ს, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იკლებს და უახლოვდება 8.5%-ს. აზიური წარმოშობის მოსახლეობა არის 4.4.% ქალაქში და სოფლად 1%-ზე ნაკლებია. ლათინოამერიკელები შეადგენენ მოსახლეობის 15%-ს ქალაქში, ხოლო სოფლად-6.6%-ს ნახ. 6-2. ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით, სოფელში გაცილებით ნაკლებად არის წარმოდგენილი რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები ქალაქთან შედარებით.



ნახ.6-2. აშშ-ს 2020 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, სოფელსა და ქალაქში რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები.

ამ მონაცემებში იმალება ის კრიტიკული ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვანია სოფლად რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების ბუნების გაგებისა და გაანალიზებისთვის, სახელმწიფოს მიერ მოწოდებული მონაცემები არ შეიცავს ინფორმაციას ეთნიკური და რასობრივი უმცირესობების კონცენტრაციის შესახებ რეგიონებში. მაგალითად, აფროამერიკელების დაახლოებით 90%, რომელიც არ ცხოვრობს ქალაქში თავმოყრილია შეერთებული შტატების სამხრეთ რეგიონში. 6%-ზე მეტი არის შუა-აღმოსავლეთ რეგიონში და 2%-ზე ნაკლები დასავლეთ რეგიონებში. აფროამერიკელების 70%, რომელიც ცხოვრობს ურბანულ ადგილებში თავმოყრიალია 5 შტატში: სამხრეთ კაროლინა, ჯორჯია, ალაბამა, მისისიპი და ლუიზიანა. აფრო-ამერიკელების ეს კონცენტარცია ასახავს ამერიკაში მონობის პერიოდის მემკვიდრეობას. მსგავსად ამისა, ლათინოამერიკელები თავმოყრილია სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში და ამ მოსახლეობის 70% ცხოვრობს რვა შტატში: ტექსასი, ახალი მექსიკა, კალიფორნია, არიზონა, კოლორადო, ვაშინგტონი, ფლორიდა და კანზასი. ამერიკელი ინდიელები თავმოყრილია დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში. მხოლოდ აზიური წარმოშობის მოსახლეობა არის გაფანტული მთელ ტერიტორიაზე.

მაშინ როცა რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები ძირითადად სახლდებოდნენ ურბანულ ადგილებში, ბოლო 15-20 წლის მანძილზე მიგრაციის ორი ახალი ტრენდი გაჩნდა, რაც გულისხმობს იმას, რომ იმიგრანტების დიდი რაოდენობა სახლდება სოფლად არატრადიციულ ადგილებში. მაგალითად, 1990-2000 წლებში ლათინო-ამერიკული მოსახლეობის რაოდენობა გასამმაგდა სამხრეთით და

გაორმაგდა შუა-აღმოსავლეთით, რითაც შექმნა ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები სოფლისთვის.

რასა, ეთნიკურიობა და ცხოვრების შანსები სოფლად

რასობრივ და ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მოიცავს პირის მიერ თვითიდენტიფიკაციას და სხვების მიერ პირის იდენტიფიკაციას, გავლენას ახდენს ცხოვრების შანსებზე. სოციალური და გეოგრაფიული არათანაბრობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სიღარიბე გხვდება ცენტრალურ ქალაქებში, მაგრამ აგრეთვე არაურბანულ ადგილებშიც. სიღარიბის დონე უფრო მაღალია უმცირესობებში და განსაკუთრებით არაურბანულ ადგილებში. უმცირესობის უმეტესი ჯგუფისთვის უმცირესობის სტატუსი და ცხოვრება არაურბანულ ადგილებში წარმოადგენს „ორმაგ საფრთხეს“ და მნიშვნელოვნად ზრდის სიღარიბის რისკს.

სიღარიბის დონე უფო მაღალია ყველა რასობრივი და ეთნიკური უმცირესობებისთვის და ყველა ასაკოვანი კატეგორიებისთვის არაურბანულ ადგილებში. აფრო, ლათინო-ამერიკელებისა და ამერიკელი ინდიელების სიღარიბის დონე გაცილებით მაღალია თეთრკანიანებთან და აზიური წარმოშობის მოსახლეობასთან შედარებით. ეს განსაკუთრებით ეხება არაურბანულ ადგილებს და პირებს 18 წლამდე. მაგალითად, აფროამერიკელი ბავშვების 46% არაურბანულ ადგილებში ცხოვრობს სიღარიბეში, მაშინ როცა თეთრკანიანი ბავშვებისთვის ეს მაჩვენებელი 18%-ს შეადგენს.

ამ განსხვავებების ერთ-ერთი მიზეზია განათლების დონე, რაც გავლენას ახდენს ანაზღაურებაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, განათლების დონე შედარებით დაბალია

სოფლად. მაშინ როცა ქალაქის მაცხოვრებლების თითქმის 30%-ს აქვს ბაკალავრის და უფრო მაღალი ხარისხი, სოფლად ეს მაჩვენებელი 17%-ს უდრის. მხოლოდ აზიური წარმოშობის მოსახლეობა სოფლად გამოირჩევა განათლების უფრო მაღალი დონით და შესაბამისად, სიღარიბის დონე დაბალია. ფაქტიურად, სოფლად ბაკალავრის ხარისხის მქონე აზიური წარმოშობის მოსახლეობის რაოდენობა მეტია, ვიდრე ქალაქში. განათლება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ცხოვრების შანსებისა და ეკონომიკური სტატუსის მოპოვებისთვის. ვინაიდან სოფლად განათლების დონე დაბალია ეთნიკურ უმცირესობებში, მათ მიერ გამომუშავებული შემოსავალიც, შესაბამისად, დაბალია.

აფროამერიკელები სოფლად

აფროამერიკელების სტატუსი შეერთებულ შტატებში უკავშირდება მონობისა და რასიზმის პერიოდს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ აფროამერიკელებს, რომლებიც ცხოვრობენ არაურბანულ ადგილებში, უმეტესად სამხრეთ რეგიონში. 500 ოლქიდან ნახევარზე მეტი შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით წარმოადგენს „მუდმივად ღარიბ ოლქებს“ და ისინი მდებარეობენ სამხრეთით. მათი უმეტესობა შედგება აფროამერიკელებისგან. ნახ.6-3

აფრიკელები ჩამოიყვანეს კოლონიურ ამერიკაში 1600-იან წლების დასაწყისში, როგორც კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული მოსამსახურეები. რასობრივ დისკრიმინა-ციაზე დაფუძნებულმა მონობამ სრული სახე მიიღო 1700-იან წლებში, როცა ასი ათასობით აფრიკელი ქალი, მამაკაცი, ბავშვი მოიტაცეს და მიყიდეს მონებით მოვაჭრეებს და

გადაიყვანეს კოლონიებში ძირითადად სამხრეთში, როგორს სამუშაო ძალა. 1860 წლისთვის 3.5 მილიონი მონა იყო სხვადასხვა შტატში.



ნახ.6-3. **აფროამერიკელები**

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში შავკანიანი მოსახლეობისთვის მიცემული პირობა, რაც გულისხმობდა მათი დაცვის გაძლიერებას უფრო მეტი აფროამერიკელი პოლიტიკოსის, მეწარმის, მიწის მფლობელის გაჩენას ქვეყანაში, პრაქტიკულად არ შესრულდა. 1877წელს კომპრომისის აქტს შედეგად მოყვა სამხედრო ძალების გაყვანა სამხრეთის შტატებიდან, რომლებიც იცავდნენ ახლად გათავისუფლებულ აფროამერიკელების გაფართოებულ უფლებებს. სამხედრო ძალების გაყვანის შემდეგ ამოქმედდა ე.წ. ბაბუის მუხლი, რაც ნიშნავდა რომ პირებს, რომლის ბაბუებს შეეძლოთ ხმის მიცემა, თავად ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება. ჯიმ ქროუს კანონის მთავარი მოტივი იყო „გაყოფილები, მაგრამ თანაბრები“. ამ სტატუსმა აფროამერიკელებს მისცა იურიდიული საფუძველი სოციალური, პოლიტიკური და ეკონო-

მიკური სეგრეგაციისთვის. შავკანიანებს ჰქონდათ შეზღუდ-ვები სამეწარმეო საქმიანობის მხრივ. სოფლად მცხოვრები აფროამერიკელები, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სოფ-ლის მეურნეობაში დამოკიდებული იყვნენ თეთრკანიანებზე, ვინაიდან ძირითადად ისინი ფლობდნენ მიწას და აკონტროლებდნენ მუშა-ხელს.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეო-ბაში შემოვიდა ტექნიკური საშუალებები, რომელმაც ჩაანაცვლა მუშა-ხელი. შესაბამისად, დაიწყო მიგრაციის პროცესი სამხრეთ რეგიონებიდან უფრო უკეთესი შესაძ-ლებლობების პოვნის მიზნით და მიგრაცია უმეტესად ხდებოდა ჩრდილოეთ რეგიონებში. ამ პროცესს ეწოდა „დიდი მიგრაცია“. დიდი მიგრაცია დაიწყო დაახლოებით 1910-1920 წლებში, როდესაც თითქმის 500,000 შავკანიანმა დატოვა სამხრეთი. 1870-1940 წლებში სამხრეთში გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, დაახლოებით ორმა მილიონმა შავკანიანმა დატოვა ეს ადგილი. მიგრაციის ნაკადი ძირითადად გაემართა ისეთი ინდუსტრიული ადგილებისკენ როგორიცაა; ჩიკაგო, დეტროიტი, კლივ-ლენდი, ბალტიმორი, ფილადელფია და ნიუ-იორკი.

1970-იან წლებში სამხრეთ რეგიონებში პირველად ისტორიის მანძილზე დაფიქსრიდა აფროამერიკელების შიდა მიგრაცია. 1965-1970 წლებში გარე მიგრაციის მაჩვენებელი შეადგენდა 216,000 აფროამერიკელს და ათი წლის შემდეგ შიდა მიგრაცია გაიზარდა და მან მიაღწია 195,000-ს, ხოლო 1995-2000 წლებში 348,000 აფროამერიკელი დაბრუნდა სამხრეთ რეგიონში. ამის შედეგად, აფროამე-რიკელების რაოდენობა გაიზარდა 10%-ით.

სამხრეთ რეგიონში დაბრუნება განპირობებული იყო შემცირებული ეკონომიკური შესაძლებლობებით ჩრდილოეთ ქალაქებში, ისევე როგორც ურბანული დანაშაულისა და ძალადობის მატებით. გარდა ამისა, ეს დაბრუნება გამოწვეული იყო ისტორიული და ოჯახური კავშირებით სამხრეთში, რომელიც აფროამერიკელების დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა. უნდა აღინიშნოს რომ დაბრუნებული აფროამერიკელები გამოირჩევიან განათლების უფრო მაღალი დონით, ვიდრე ადგილობრივი მაცხოვრებლები. ჯერჯერობით უცნობია რა გავლენას მოახდენს სამხრეთ რეგიონზე აფროამერიკელების მიგრაცია.

ლათინოამერიკელები სოფლად და მიგრაცია

2000 წლისთვის სოფლად მცხოვრები ლათინოამერიკელები ძირითადად თავმოყრილი იყვნენ სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ნახ.6-4. ეს დაკავშირებულია ისტორიასთან, ამ ტერიტორიების უმეტესი ნაწილის ანექსია მოხდა 1848 წელს, მექსიკა-ამერიკის ომის შედეგად. ბევრი მეცნიერი ამ ომს დაპყრობით ომს უწოდებს. ამ ომის ერთ-ერთი შედეგი იყო მნიშვნელოვანი რაოდენობის მექსიკელი მოსახლეობის მითვისება, ვინაიდან ეს მიწა აღმოჩნდა ამერიკის ტერიტორიაზე. ეს მოსახლეობა შედგებოდა მექსიკელი ფერმერებისგან, რომელიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამერიკის სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით ბრასეროს პროგრამის დანერგვის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა შიდა მუშა-ხელის ნაკლებობას ავსებდნენ მექსიკელი მუშა-ხელით. პროგრამა გაგრძელდა 1964 წლამდე, 4.5 მილიონზე მეტი კონტრაქტი იქნა ხელმიწერილი მექსიკელ

ფერმერებთან, რომლებიც ჩამოდიოდნენ შტატებში და საქმდებოდნენ სოფლის მეურნეობაში.

ნახ. 6-4. ლათინოამერიკელები.

ბრასეროს პროგრამა შეწყდა 1964 წელს, მან ხელი შეუწყო ხანგრძლივი მიგრაციის ქსელის შექმნას, რომელმაც დააკავშირა ერთმანეთს შეერთებული შტატები და მექსიკა. მექსიკელების მიგრაცია შეერთებულ შტატებში არ შეწყვეტილა პროექტის შეწყვეტის შემდეგ, ის გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში, რაც ასახავს კეთილდღეობის მხრივ მნიშვნელოვან განსხვავებას მექსიკასა და შეერთებულ შტატებს შორის.

ზოგადად მიგრაციას ძირითადად ადგილი ჰქონდა ურბანულ ადგილებში ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. 1990-იან წლებში დემოგრაფებმა შენიშნეს, რომ ეს ტენდენცია შეიცვალა და მიგრანტებმა დაიწყეს დასახლება არატრადიციულ ადგილებში, კერძოდ სოფლად, ან ისეთ ადგილებში, რომელიც ბევრ მიგრანტს ადრე არ იზიდავდა. ეს ტენდეცია ასევე შეეხო ლათინოამერიკელებს,

რომლებიც ისტორიულად კონცენტრირებული იყვნენ ტეხასის, კალიფორნიისა და არიზონის ირგვლივ. 1985-1990-იან წლებში მექსიკელი მიგრანტების 63% წავიდა კალიფორნიაში და დამატებითი 20% ტეხასში ან ილინოისში. თუმცა, ათი წლის შემდეგ მექსიკელი მიგრანტების მხოლოდ 28% წავიდა კალიფორნიაში. მიგრაციის ნაკადი კალიფორნიასა და ილინოისში შედარებით სტაბილური დარჩა, თუმცა სხვა შტატებმა მიიქცია მიგრანტების ყურადღება, როგორიცაა ჯორჯიის შტატი, ჩრდილოეთ კაროლინა, ოჰაიო და ტენესი.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს რომ რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა მექსიკელი მიგრანტების ხელახალი განაწილება არატრადიცულ ადგილებში. პირველი იყო მიგრაციის რეფორმისა და კონტროლის შესახებ კანონი, რომელიც ძალაში შევდია 1986 წელს. ამ კანონმა შემოიღო სანქციები დამსაქმებლებზე, რომლებიც დაიქირავებდნენ ისეთ მუშა-ხელს, რომელსაც შესაბამისი დოკუმენტაცია არ გააჩნდა, გაზარდა პატრულირების რესურსები საზღვრებზე და მისცა ამინისტია დოკუმენტების გარეშე დარჩენილ მექსიკელ და სხვა მუშა-ხელს. ამ კანონმა სამ მილიონზე მეტ ადამიანს მისცა ბინადრობის შესახებ დოკუმენტი, რამაც მოიზიდა დოკუმენტის არ მქონე ახალი მიგრანტები. რაც შეეხება იმ მუშა-ხელს, რომელთაც მისცეს შესაბამისი დოკუმენტი, მათ შეეძლოთ შიშის გარეშე გადასვლა სხვა შტატებში და ნაკლები პრობლემები ექმნებოდათ საემიგრაციო სტრუქტურებთან. აღნიშნულს მოყვა კანონი 187, რომელმაც აკრძალა დოკუმენტის არ მქონე მუშა-ხელზე სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა და დააწესა სხვა შეზღუდვები, მათ შორის გაამკაცრა საზღვარზე პატრულირება, რის შედეგადაც

შემცირდა საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის შემთხვევები.

ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობის რესტრუქტურიზაცია და გავლენა მიგრაციაზე

ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში მუშა-ხელთან დაკავშირებულმა ცვლილებამ და ამ საწარმოების კონცენტრაციამ სოფლის ტერიტორიებზე განაპირობა მიგრაციის ტენდენციის ცვლილება. 1970-იან წლებამდე ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები მდებარეობდნენ ურბანულ ადგილებში. ხორცის ტრანსპორტირება ხდებოდა რკინიგზით. 1970-იანი წლებიდან ეს საწარმოები გადავიდნენ სოფლად, ვინაიდან ხარჯები იყო უფრო დაბალი. მიწის ფასი, სადაც საწარმო უნდა აშენებულიყო იყო უფრო იაფი და გარემოს მხრივ შეზღუდვები არ იყო ისეთივე მკაცრი, როგორც ქალაქში. მუშა-ხელის ხარჯიც დაბალი იყო. გარდა ამისა, სოფლის თემი, რომელიც მანამდე სიღარიბეში ცხოვრობდა კმაყოფილი იყო იმით რომ ახალი ბიზნესი და სამუშაო გაჩნდა. ტექნოლოგიურმა პროგრესმა შედეგად მოიტანა ის, რომ ნაკლებად კვალიფიციური მუშა-ხელი იყო საჭირო.

დასაწყისში ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში მუშა-ხელის ნაკლებობა იყო და ის სწრაფად შეივსო მექსიკელი და აზიური წარმოშობის მუშა-ხელით. ეს სამუშაო იყო რთული და საშიში და ხორცის მწარმოებლებმა დაიწყეს უმცირესობების დაქირავება, მათი ხელფასი შედარებით დაბალი იყო. შესაბამისად, გაიზარდა უმცირესობების რაოდენობა ამ ადგილებში. მოსახლეობის რაოდენობის ზრდას მოჰყვა გამოწვევებიც და სოციალური პრობლემებიც, გაზრდილი დანაშუალი, ალკოჰოლისა და

ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობ-ლემები და დაბალი ხარისხის სოციალური სერვისები, მაგრამ უნდა ითქვას რომ ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია სოფლად რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი ზრდა და მათი სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია.

ნახ. 6-5. ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები

როგორც ზემოთ აღინიშნა ამერიკულ სოფელში ნაკლებად არის წარმოდგენილი რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები, ურბანულ ადგილებთან შედარებით. თუმცა ეს ტენდენცია იცვლება და არაურბანულ ადგილებში სახლ-დებიან უმცირესობების უფრო მეტი წარმომადგენლებიც. ლათინოამერიკელების შემთხვევაში ეს უკავშირდება სოფლად ეკონომიკის განვითარებას, კერძოდ ხორცის გადამუშავების ინდუსტრიის განვითარებასა და პროგრესს ნახ. 6-5.

თავი 7. სოფლის სარჩო-საბადებელი

სარჩო-საბადებლის მოპოვება სოფლად

როგორ მოიპოვებენ სარჩო-საბადებელს სოფლის მაცხოვრებლები 21-ე საუკუნეში? როგორ იცვლება ეს დროსთან ერთად? განსხვავდება თუ არა სოფლის ეკონომიკა ქალაქის ეკონომიკისგან? როგორ გავლენას ახდენს ეკონომიკის სტრუქტურა და ტრანსფორმაცია სოფლის მაცხოვრებლის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, კარიერულ ზრდასა და ოჯახის კეთილდღეობაზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, საჭროა ოთხ ძირითად კითხვაზე პასუხის გაცემა

- რა შესაძლებლობას იძლევა სოფლის ეკონომიკა და როგორ იცვლება ის დროსთან ერთად?
- რა თვისებებით ხასაითდება სოფლის მუშა-ხელი ბაზარზე და როგორ არის ეს შერწყმული ხელმისაწვდომ შესაძლებლობებთან?
- როგორ ხდება შრომის გამოყენება სოფლის ეკონომიკის მიერ? მისი შედარება ურბანულ ეკონომიკასთან.
- სოფლის ეკონომიკის კავშირი გლობალურ ეკონომიკასთან და რა შედეგები მოაქვს ამ კავშირს სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის?

სოფლის შესაძლებლობების სტრუქტურა და რესტრუქტურიზაცია

ადგილობრივი ეკონომიკა (სოფლის თუ ქალაქის) აგებულია დამსაქმებელსა და მუშა-ხელის ურთიერთ-კავშირსა და თანამშრომლობაზე. სოციოლოგები ლოკალური

ეკონომიკური სტრუქტურის ამ კომპონენტებს განიხილავენ, როგორც მოთხოვნასა და მიწოდებას.

ადგილობრივი ეკონომიკის აღწერისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი ზომა, ეკონომიკური საქმიანობების შერწყმა და მისი კავშირი ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალ ეკონომიკებთან. ეკონომიკის ზომის დადგენა შესაძლებელია ეკონომიკაში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობის, ამ ორგანიზაციების მიერ დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობის განსაზღვრით და/ან პროდუქციისა და სერვისების რაოდენობის შეფასებით, რომელსაც ეს ორგანიზაციები ქმნიან. სოფლის ეკონომიკა უფრო პატარაა ქალაქთან შედარებით. ეკონომიკის პატარა ზომა არ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდისა და აყვავების არც შემზღუდველ და არც ხელშემწყობ ფაქტორს. თუმცა, პატარა ეკონომიკა მოკლებულია დივერსიფიკაციას, რაც ხშირია სოფლის ეკონომიკის შემთხვევაში, რის შედეგადაც შესაძლებელია ეკონომიკური უსაფრთხოება შემცირდეს. დიდ ეკონომიკასთან შედარებით მცირე არადივერსიფიცირებული ეკონომიკა არის უფრო მგრძნობიარე ეკონომიკური ვარდნის მიმართ, ვინაიდან კონკრეტული სექტორის ჩავარდნას მრავალმხრივი უკუშედეგები მოჰყვება.

სამრეწველო და სამუშაოს სტრუქტურა

ადგილობრივი ეკონომიკის დახასიათება შესაძლებელია ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქციის, საქონლის და/ან სერვისების მიწოდების და/ან მათი თანამშრომლების სამუშაო ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მიხედვით. სოციოლოგები ამ კომპონენტებს უწოდებენ „მრეწველობას“ და „სამუშაოს სახეობას“.

მრეწველობა მოიცავს სხვადასხვა კატეგორიებს, მაგრამ ანალიტიკოსები აერთიანებენ მათ ხუთ ძირითად სექტორად, ესენია; (ა) მოპოვებითი, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, თევზჭერის, სამთო მრეწველობის ჩათვლით; (ბ) გადამამუშავებელი ხანგრძლივი და არახანგრძლივი მოხმარების პროდუქციის ჩათვლით; (გ) კერძო და სამომხმარებლო სერვისები; (დ) საწარმოო სერვისები და (ე) სახელმწიფო.

მიუხედაავდ იმისა, რომ თითოეული ეს სექტორი ძალიან მრავალფეროვანია, მათი შედარებითი ზრდისა და შემცირების შესწავლა იძლევა ზოგად სურათს იმისა, თუ როგორ არის ადგილობრივი ეკონომიკა მოწყობილი. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამუშაოს დაკარვა ან მიღება კონკრეტულ სექტორში ნიშნავს, რომ სამუშაოს სახეობის კომპონენტის შემადგენლობა სავარაუდოდ იცვლება დროის პერიოდში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ეკონომიკური შესაძლებლობების ხარისხზე, რომელიც ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბაზარზე.

ადგილობრივ ეკონომიკაში დასაქმების სამრეწველო და სამუშაო კომპონენტის შემადგენლობა უზარმაზარ გავლენას ახდენს სამუშაოს ხარისხზე, უსაფრთხოებასა და წინსვლაზე. ზოგიერთი სამუშაო იოლად ჩანაცვლებადია, მისი ანაზღაურება დაბალია, ხასიათდება მაღალი შენაცვლებადობით, დაბალი კარიერული წინსვლითა და შესაძლებლობებით. სხვა სამუშაო მოითხოვს იშვიათ უნარ-ჩვევებს, ხანგრძლივ სწავლებას და ძნელია მისი ჩანაცვლება, შესაბამისად, ხელფასი და უსაფრთხოება მაღალია, ფართო კარიერული წინსვლა და შესაძლებლობები აქვს. სამუშაოებზე მიღებისას სხვადასხვა მოთხოვნები არსებობს, რომელიც შეიძლება იყოს შერწყმული პირის განათლებას,

გამოცდილებასა და ტრენინგთან ან შეიძლება არა. პირის უნარ-ჩვევებსა და სამუშაო მოთხოვნებთან შეუსაბამობას ადგილობრივ ეკონომიკაში შედეგად მოაქვს შრომის გამოყენების დაბალი დონე, რაც საბოლოოდ ვლინდება უმუშევრობაში ან არასრულ დასაქმებაში.

არსებული მონაცემების მიხედვით, სოფლის მუშა-ხელის უმრავლესობა დასაქმებულია სამივე სახის სერვისების სფეროში, მაგრამ მხოლოდ 9% არის დასაქმებული საწარმოო სერვისების სექტორში, სადაც ანაზღაურება მაღალია. სოფლის მუშა-ხელის 40% დასაქმებულია კერძო და სამომხმარებლო სერვისებში, რომელიც ნაკლებად ანაზღაურებადია და ასევე ნაკლებად უსაფრთხო. ასეთ სამუშაოებს არ აქვს წინსვლის ფართო შესაძლებლობები. ხუთი სოფლის მაცხოვრებლიდან ერთია დასაქმებული გადამამუშავებელ და სახელმწიფო სექტორში და 5%-ზე ნაკლები მოპოვებითი მრეწველობის სექტორში.

ეს მონაცემები მოწმობს, რომ შეცდომაა სოფლისა და სოფლის მეურნეობის ერთად გაერთიანება და განხილვა. სერვისების სფეროში დასაქმებულია ყველაზე მეტი ადამიანი როგორც სოფლად, ასევე ქალაქში. ქალაქის ეკონომიკას აქვს უფრო უკეთესად ანაზღაურებადი სერვისები სოფელთან შედარებით. ქალაქში საწარმოო სერვისებში დასაქმების მაღალი დონე არის ის მიზეზი, რატომაც ქალაქში შემოსავალი აჭარბებს სოფლისას. გარდა ამისა, ერთ-ერთ მიზეზს ასევე წარმოადგენს კვალიფიციური კადრების მიერ სოფლის დატოვება და გარე მიგრაცია.

სამრეწველო რესტრუქტურიზაცია

ზემოთ აღნიშნული მონაცემები მოწმობს, რომ დასაქმება გადამამუშავებელ სფეროში შემცირებულია და გაზრდილია სერვისების სფეროში, როგორ სოფლის, ასევე ქალაქის ეკონომიკაში. ცნობილია, რომ გადამამუშავებელ მრეწველობაში სამუშაოების შემცირება უფრო სწრაფად მოხდა ქალაქში, ვიდრე სოფლად. შესაბამისად, გადამამუშავებელი სფერო რჩება დასაქმების მნიშვნელოვან კომპონენტად სოფელში ქალაქთან შედარებით. 1970-2000 წლებში, როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ეკონომიკა დიდად იყო დამოკიდებული სერვისების სექტორზე. აღნიშნული, მაღალი ალბათობით მოიცავდა საწარმოო სერვისებს ურბანულ ეკონომიკაში და სამომხმარებლო სერვისებს დაბალ ანაზღაურებადი და დაბალი კვალიფიკაციის პერსონალით სოფლის ეკონომიკაში.



ნახ. 7-2. საწარმოო სერვისებში სამუშაო ადგილები

საწარმოო სერვისების მიხედვით ქალაქში სამუშაო ადგილები გაორმაგდა ზემოთ მითითებულ პერიოდში-11%-დან

25%-მდე, მაშინ როცა სოფლად იმავე სფეროში სამუშაო ადგილები უმნიშვნელოდ გაიზარდა 6%-დან 9%-მდე ნახ. 7-2.



ნახ. 7-3. მრეწველობის მოპოვებით სფეროში სამუშაოები

არსებული მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვანი დაქვეითება შეინიშნება მოპოვებით სფეროში სოფლად, 1970 წელს ამ სფეროზე მოდიოდა მთელი სამუშაოების 15%, 2000 წელს მხოლოდ 5%. მოპოვებით მრეწველობაში დაქვეითება შეინიშნება ქალაქშიც, მაგრამ არა სოფლის მსგავსი მასშტაბით ნახ. 7-3.

როგორც ზემოთ მითითებული მონაცემებიდან ჩანს სოფელი თანდათან ხდება დაბალი ხარისხისა და დაბალანაზღაურებადი სამუშაოს ადგილი და ამაზე გავლენას ახდენს სამრეწველო რესტრუქტურიზაცია. შეერთებული შტატების ეკონომიკური ანალიზის ბიურო მხარს უჭერს დასკვნას იმის შესახებ, რომ სამრეწველო რესტრუქტურიზაციამ შეამცირა სოფლად არსებული სამუშაოების ხარისხი.

ჯიბსმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის მიხედვით დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოები იყო და არის უფრო სოფლად, ვიდრე ქალაქში და ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა 1990-იანი წლებიდან. მაგრამ ამ კვლევის მიხედვით, ამ დაბალი ხარისხისა და კვალიფიკაციის სამუშაოების არსებობა უფრო უკავშირდება კვალიფიკაციის ამაღლების კომპონენტს და არა სამრეწველო რესტრუქ-ტურიზაციას. ეს ნიშნავს, რომ კვალიფიკაციის ამაღლება გადამამუშავებელ მრეწველობაში სოფლად იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი რატომაც მოხდა დაბალი ხარისხის სამუშაოების შემცირება 1990-იან წლებში სოფლად. გადამამუშავებელი საწარმოების მდგრადობამ სოფლად გააფართოვა დასაქმების შესაძლებლობები, ვინაიდან იმ პერიოდში გაუმჯობესდა გადამამუშავებელ საწარმოებში არსებული სამუშაოების ხარისხი.

სერვისები

სოფლად არსებული სამუშაოების სამი მეოთხედი მოდის სერვისების სექტორზე. როგორც ბევრისთვის ცნო-ბილია, შეერთებული შტატების ეკონომიკა არის სერვისებზე ორიენტირებული ეკონომიკა, მაგრამ ცოტამ იცის იმის შესახებ, რომ ეს სიმართლეს შეეფერებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ფაქტიურად, 1950 წლის დასაწყისში ათიდან ოთხი სამუშაო მოდიოდა სერვისების სექტორზე შეერთებულ შტატებში. ეს ცვლილება ყოველთვის პოზიტივის მომტანი არ იყო, ვინაიდან მსგავსი სამუშაო ითვლება დაბალ ანაზღაურებად და დაბალი კვალიფიკაციის პოზიციად, რომელსაც კარიერული წინსვლის ნაკლები

შესაძლებლობა ახასიათებს. უფრო მეტიც, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივიდან, სერვისების სფეროში მუშაობა მიიჩნეოდა დაბალ საფეხურად. თუმცა, ყველა სერვისი არ არის ასეთი. ისეთ პროფესიებს, როგორიცაა ექიმი, ინჟინერი, ბუღალტერი, იურისტი, ყოველთვის მოქონდა მაღალი შემოსავალი და მაღალი სტატუსი, მაგრამ მსგავსი სამუშაო უფრო გვხვდება ქალაქში და ნაკლებად სოფლად.

სერვისების სექტორმა განიცადა რადიკალური რესტრუქტურიზაცია 1970-იანი წლების დასასრულს და 1980-იანი წლების დასაწყისში, რასაც მოჰყვა საწარმოო სერვისების სწრაფი ზრდა. საწარმოო სერვისები დახმარებას უწევს სხვა ბიზნესებს. ეს სერვისები მოიცავს ფინანსებს, დაზღვევას, უძრავ ქონებას, იურიდულ მომსახურებას, ბუღალტერიას, არქიტექტურას, კომპიუტერულ პროგრამირებას და მონაცემთა დამუშავებას.

საწარმოო სერვისების ბუმი გამოწვეულია წარმოებისადმი მიდგომის ფუნდამენტური ცვლილებით, რასაც ხელს უწყობს ინფორმაციული ტექნოლოგია. წარმოების ინტეგრარული სისტემების კოორდინირება შესაძლებელია უფრო სპეციალიზირებული საწარმოო სერვისების საშუალებით. შესაბამისად, იქ, სადაც პროდუქციისა და სერვისების შექმნა ხდება, საწარმოო სერვისები ყოველთვის საჭიროა წარმოების კოორდინაციის მიზნით.

სოფლის ეკონომიკისთვის გამოწვევა მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შესაძლებელია საწარმოო სერვისების წარმატებით დანერგვა პატარა, შედარებით ერთგვაროვან ეკონომიკაში, სადაც სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე პირების ნაკლებობაა და ხელმისაწვდომობა მაღალი

სიხშირის ინტერნეტისადმი დაბალია. ამჟამად, საწარმოო სერვისები კონცენტრირებულია ურბანულ ადგილებში. რა ფაქტორები განაპირობებს სოფლის შესაძლებლობის გაზრდას, რომ მან გაიზიაროს ეკონომიკური ზრდა? ეს ფაქტორები მოიცავს არსებული სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნიკურ დახმარებას, კაპიტალურ სუბსიდიას და გაუმჯობესებულ ტელეკომუნიკაციას. საჭიროა ქვეყანას ჰქონდეს სოფლად საწარმოო სერვისების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკა.

დასვენება და ტურიზმი ქმნის ექსპორტზე დაფუძნებულ სერვისს, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს სოფლის ეკონომიკის ზრდას. სოფლის დასახელებებს, რომლებსაც გააჩნიათ მიმზიდველი გარემო და ბუნება შემუშავებული აქვთ სხვადასხვა სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ტურიზმის, დასვენების და პენსიაში გასვლის შემდგომ, უკეთესი პირობების შექმნასა და ხელშეწყობას. სამუშაოები ძირითადად დაკავშირებულია დასვენებასთან, სასტუმროებთან და რესტორნებთან. მაგრამ ეს სამუშაოები ითვლება დაბალ ანაზღაურებად სამსახურებად. ამ სფეროში დასაქმებულ პირებს შეიძლება შეექმნათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სხვა სამუშაოებზე სეზონურად ან მიიღონ ნახევარი განაკვეთის სამუშაო. დასვენებასა და ტურიზმზე ორიენტირებული სექტორი ქმნის ასევე კარგად ანაზღაურებად სერვისებს, მაგალითად მშენებლობასთან დაკავშირებული სერვისები. კვლევებით დასტურდება, რომ ის სოფლები, რომლებიც ჩართული არიან ტურიზმისა და დასვენების სფეროში, მათი მთლიანი შემოსავლი სულზე გაცილებით მეტია იმ სოფლებთან შედარებით, რომლებსაც მსგავსი პოტენციალი არ გააჩნიათ.

სოფლის მუშა-ხელი, მუშა-ხელის მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობა

სოფლის მუშა-ხელზე მოთხოვნა იცვლება სოფლის ეკონომიკის ინდუსტრიული და სამუშაოების კომპონენტის ტრანსფორმაციის შედეგად. ტრადიციული სოფლის საწარმოები მოიცავს ფერმერობას, სამთო საქმეს, მოპოვებითი საწარმოებს და სხვა სექტორებს, რომლებიც მცირდება. გადამამუშავებელ საწარმოებში სამუშაოების რიცხვი ასევე შემცირებას განიცდის. ვინაიდან გადამამუშავებელ სექტორი სოფლად უფრო ნელა მცირდება, ვიდრე ქალაქში და ამ სექტორმა გამოიწვია კვალიფიკაციის და შესაბამისად, ხელფასების გაზრდა სოფლად, ეს სექტორი ჯერ კიდევ უზრუნველყოფს მაღალ ანაზღაურებად სამუშაოებს და იბრძვის თავის გადასარჩენად გაზრდილი კონკურენციის პირობებში.

ამ ცვლილებების შედეგად თანამედროვე სოფლის სამუშაოების სამი მეოთხედი მოდის სერვისებზე. სერვისთან დაკავშირებული ბევრი სამუშაო ნაკლებად ანაზღაურებადია, ასევე ნაკლებად უსაფრთხო და არ მოითხოვს განათლებას, მაშინ როცა საწარმოო სერვისები არის კარგად ანაზღაურებადი, სჭირდება სკოლის შემდგომი განათლება და ხშირად კოლეჯის დიპლომი. აქედან გამომდინარე, სოფლის ეკონომიკას მომავალში დასჭირდება კარგად მომზადებული სამუშაო ძალა, რომელსაც ექნება სპეციალური ტექნიკური განათლება და ასევე სათანადო გამოცდილება.

სოფლის მუშა-ხელის გამოყენება

სოფლის მუშა-ხელის გამოყენება გულისხმობს შრომის უნარიანი ასაკის მქონე იმ პირების შესაძლებლობის გამო-

ყენებას, რომლებიც ცხოვრობენ მოცემულ ტერიტორიაზე. შრომის გამოყენების სტრუქტურა ყოფს პირებს ორ კატეგორიად; ერთი, რომლისთვისაც სამუშაო ხელმისაწვდომია და მეორე, რომელიც არ შედის სამუშაო ძალაში. პირველი კატეგორია, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა, ერთი, რომელსაც აქვს სამსახური ან არის თვითდასაქმებული და მეორე, რომელსაც არ აქვს სამსახური, მაგრამ ეძებს მას. შრომა ყველაზე კარგად ათვისებულია მაშინ, როცა სამუშაო ასაკის მქონე პირთა უმრავლესობა შედის სამუშაო ძალაში და მათ აქვთ სრული განაკვეთის სამუშაო.

როცა ადამიანი არ შედის სამუშაო ძალაში, ეს შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი არჩევანი ან შეიძლება გამომდინარეობდეს იმ გარემოებებიდან, რომელიც პირის კონტროლს არ ექვემდებარება, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. გარდა ამისა, ზოგიერთი ადამიანი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სამუშაოს წარუმატებელი ძებნის შემდეგ უარს ამბობს მუშაობაზე და არ წარმოადგენს სამუშაო ძალას.



ნახ. 7-4. ქალების ეკონომიკური აქტივობების და დასაქმების მაჩვენებლები

მამაკაცების სამ მეოთხედზე მეტი წარმოადგენდა სამუშაო ძალას ბოლო 50 წლის განმავლობაში, მაშინ როცა ქალების ერთ მესამედზე მეტი ჩართული იყო მუშაობის პროცესში 1960 წლამდე. 1940-1980 წლებში ქალების ეკონომიკური აქტივობის დონე გაიზარდა 28%-დან 48%-მდე და დასაქმებულ ქალთა რაოდენობამ გაიზარდა 14.2 მილიონიდან 40 მილიონამდე ნახ.7-4. ამჟამად, ათი ქალიდან ექვსი, რომელთა ასაკი არის 16 და ზემოთ, დასაქმებულია და შედის სამუშაო ძალაში. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურ აქტივობაში ჩართულ ქალთა ასაკოვანი სტრუქტურა შეიცვალა და ეს აქტივობა უწყვეტია იმ ქალების შემთხვევაშიც კი, რომლეთაც ჰყავთ პატარა ბავშვები. შესაბამისად, სკოლამდელი ასაკის ბავშვები არ წარმოადგენს სამუშაოს ნებაყოფლობითი დატოვების მიზეზს, როგორც ეს იყო წინა თაობის შემთხვევაში. ქალების დასაქმების მაჩვენებელი, როგორც სოფლად, ასევე ქალაქში თანაბარია და დაახლოებით შეადგენს 60%-ს. ეს მაჩვენებელი დაბალი იყო წინა პერიოდში, ვინაიდან აფროამერიკელი ქალები არ იყვნენ ჩართული სამუშაო ძალაში. ადამიანების დიდი უმრავლესობა, რომლებიც წარმოადგენენ სამუშაო ძალას, დასაქმებულია, ხოლო დანარჩენები ეძებენ სამუშაოს. რეცესიის პერიოდშიც კი ათი მუშა-ხელიდან ცხრა დასაქმებულია (თვითდასაქმებულის ჩათვლით).

არასაკმარისი დასაქმება

მუშა-ხელის გამოყენებასთან დაკავშირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა არასაკმარისი დასაქმება და მონაწილეობა არაოფიციალურ საქმიანობებში. არასაკმარისი დასაქმების დროს ადამიანებს აქვთ ნახევარი განაკვეთის ან სეზო-

ნური სამუშაო და მათი სურვილია ჰქონდეთ სრული განაკვეთის სამუშაო. ფაქტიურად, ამ ადამიანების შემოსავალი ძალიან დაბალია, და ხშირად ისინი გამოიმუშავებენ უფრო ნაკლებს, ვიდრე სიღარიბის ზღვარზე მყოფი პირები. მათ უწოდებენ დასაქმებულ ღარიბებს. კვლევებით დასტურდება, რომ სოფლად არასაკმარისი დასაქმება უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში. სოფლის მაცხოვრებლების დამახასიათებელი თვისებაა არასაკმარისი დასაქმება და ეს წარმოადგენს სოფლის სერიოზული ნაკლს, ამიტომაც სოფლის მაცხოვრებლები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე ქალაქის ან ქალაქგარეთ მაცხოვრებელი ადამიანები.

არაოფიციალური ეკონომიკური საქმიანობა

სოფლის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ნაწილი მოიცავს ოფიციალურ შრომით ბაზარს, თუმცა სოფლის ბევრ ოჯახს შემუშავებული აქვს სტრატეგია, რომელიც აერთიანებს დასაქმებას და/ან თვითდასაქმებას და სოციალური დახმარების სისტემიდან მიღებულ სარგებელს და არაოფიციალურ ეკონომიკურ საქმიანობას. არაოფიციალურ საქმიანობად ითვლება მებაღეობა, მეთევზეობა, ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა, ნივთების შეკეთება. მას მოაქვს ეკონომიკური სარგებელი და ასევე უზრუნველყოფს თემში არსებული ურთიერთობების შენარჩუნებას. შეერთებულ შტატებსა და ევროპაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ არაოფიციალური ეკონომიკური საქმიანობებით მიღებული რესურსები წარმოადგენს ოფიციალურად გამომუშავებული რესურსების დახმარებას, მაგრამ ვერ ცვლის მათ. შესაბამისად, არაოფიციალური ეკონომიკური საქმიანობები

გავრცელებულია ოჯახებში უფრო მეტად სოციალური კავშირების შენარჩუნების მიზნით.

ადგილობრივი და გლობალური ეკონომიკის კავშირები, გლობალიზაცია

სოფლის დასახლებები მდებარეობს გეოგრაფიული თვალსაზრისით შედარებით იზოლირებულ ადგილებში, მაგრამ ეს არ გულისხმობს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ვითარებიდან ამოვარდნას. მთელი ისტორიის მანძილზე სოფელი ყოველთვის ცხოვრობდა სავსე ცხოვრებით. სოფელსა და მის ეკონომიკაზე გავლენას ახდენდა რეგიონალური, სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ძალები, როგორიცაა ხელშეკრულებები და ტარიფები, სოფლის პროდუქციაზე მოთხოვნა, რასაც არეგულირებდა სახელმწიფო პოლიტიკა. მაგალითად 1807 წლის ემბარგოს შესახებ კანონმა, რომელიც გამოიცა ჯეფერსონის პრეზიდენტობის დროს შესაძლებლობა მისცა ფედერალურ მთავრობას უფრო აქტიურად ჩარეულიყო და გაეკონტროლებინა ვაჭრობა ადგილობრივ დონეზე. ეს კანონი იყო არაპოპულარული, ვინაიდან მან შეამცირა უცხოურ ბაზრების მიმართ ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან და სხვა პროდუქციასთან მიმართებაში. შედეგად, კონგრესმა გააუქმა ეს კანონი 1809 წელს სამი დღით ადრე, ვიდრე ჯეფერსონი დატოვებდა თავის კაბინეტს.

დროთა განმავლობაში სოფლის დასახლებები აქტიურად აღმოჩნდა ჩართული ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიუკურ ცხოვრებაში. გლობალიზაციასთან ერთად გავლენა სოფლის ეკონომიკაზე გაიზარდა სახელმწიფოსა და საერთაშორისო მხრიდან. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ გლობა-

ლიზაციამ შეასუსტა სოფლის თემი და ეკონომიკა, მაშინ როცა ბევრი თვლის, რომ გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობა წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს სოფლისთვის.

გლობალიზაცია მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას და წარმოშობს სრულიად ახალი ფორმის თავისუფალ ვაჭრობას, თავისუფალ წარმოებას. გლობალიზაცია არის პოლიტიკურ-ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ფორმა, რომლის დროსაც არანაციონალური ორგანიზაციები და ინსტიტუტები მოიპოვებენ მნიშვნელოვან ძალაუფლებას ნაციონალურ სტრუქტურებზე. ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს გლობალიზაცია, ვინაიდან სახელმწიფო კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას. შესაბამისად, გლობალიზაციის მიმართ მგრძნობიარე ხდება ადგილობრივი ეკონომიკაც. გლობალიზაციას მოსდევს სამი ინსტიტუციური ტრანსფორმაცია: (ა) საერთაშორისო კაპიტალის დერეგულაცია; (ბ) გარდამავალი კორპორაციების გაძლიერებული გავლენა; (გ) საერთაშორისო ორგანიზაციების მზარდი ძალაუფლება.

გარდამავალი კორპორაციები წარმოადგენენ წამყვან ძალას საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში წლების მანძილზე, მათი საქმიანობა შეიცვალა გლობალიზაციის პირობებში იმგვარად, რომ ისინი გავლენას ახდენენ ნაციონალურ და ადგილობრივ ეკონომიკაზე. დერეგულირებულმა კაპიტალმა შეცვალა ეს კორპორაციები, ისინი ეძებენ დაბალი ანაზღაურების მუშა-ხელს, მასალებსა და სხვა რესურსებს, რის გამოც ისინი არ არიან დაკავშირებული კონკრეტულ სახელმწიფოებთან. ეს კორპორაციები ანგარიშვალდებული არიან აქციონერებისა და საბჭოს წევრების წინაშე, რომლებიც

ცხოვრობენ მთელ მსოფლიოში და არა ქვეყნების წინაშე, სადაც ისინი ფუნქციონირებენ. ეს კორპორაციები არ ირჩევენ ქალაქს ან სოფელს. კაპიტალი გადაინაცვლებს ერთი ადგილდან მეორეზე მოგების გაზრდის მიზნით, რაც ხელს უწყობს რომ საერთაშორისო ინვესტორებმა ფული ჩადონ ამ კორპორაციებში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გარდამავალი კორპორაციები ანხორციელებენ კაპიტალის ინვესტირების სტრატეგიას.

გლობალური ინსტიტუტები წარმოადგენს გლობალიზაციის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან კომპონენტს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უზრუნველყოფენ ფინანსურ სტაბილურობას, ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის შემცირებას ღარიბ რეგიონებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს გლობალურ ფინანსურ სტაბილურობას, გლობალური დეპრესიის შემცირებას და გლობალური ეკონომიკური კრიზისის მართვას. მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს სიღარიბის შემცირება ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია აწესებს საერთაშორისო სავაჭრო წესებს. მაგრამ ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს ინსტიტუტები წარმოადგენს მდიდარი ეკონომიკებისა და ფინანსური ელიტების მომსახურე ორგანიზაციებს დღევანდელ დერეგულირებულ ფინანსურ გარემოში.

ბევრი მეცნიერი მიჩნევს, რომ გლობალიზაცია ამცირებს ადგილობრივ ავტონომიას, ვინაიდან მისი წყალობით ეკონომიკა უფრო მგრძნობიარე ხდება საგარეო კონტროლისა და გავლენის მიმართ, სხვები კი მიიჩნევენ რომ მას აქვს დადებითი გავლენა, ვინაიდან ზრდის ხელმისაწვდომობას

გლობალური რესურსებისა და შესაძლებლობების მიმართ. გლობალიზაციამ გააფართოვა საერთაშორისო ვაჭრობის არეალი, დაეხმარა მრავალ ქვეყანას გაზრდილიყო უფრო სწრაფად, შეამცირა იზოლაცია და გაზარდა ინფორმაციისა და განათლებისადმი წვდომა. თუმცა კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციამ არ გახადა უკეთესი ცხოვრება ღარიბი ადამიანებისთვის. ქვეყნებს შორის შემოსავლის მხრივ არათანაბრობა განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა გლობალიზაციის პირობებში.

საერთაშორისო კონკურენციის პირობებში მწარმოებელი ორგანიზაციები ცდილობენ შეინარჩუნონ წარმოება იაფიანი მუშა-ხელისა და ავტომატური მართვის საშუალებით. ეს იწვევს სამუშაოების შემცირებას და გაქრობას. მსგავსი შემცირება დაკავშირებულია მუდმივ უმუშევრობასთან, ვიდრე სამუშაოს დროებით დაკარგვასთან. 1997-2003 წლებში სოფლის ეკონომიკამ დაკარგა 1.5 მილიონი სამუშაო მსგავსი შემცირების გამო. ეს შემცირება განსაკუთრებით შეეხო დაბალი განათლების მქონე მუშა-ხელს და ისეთ წარმოებას, როგორიცაა საფეიქრო, ტანსაცმლის, ტყავის წარმოება და საკვების პროდუქტების გადამუშავება. ფაქტიურად სოფლის ეკონომიკის სამუშაოების ნახევარი დაიკარგა ამ შემცირების გამო. შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოების შემცირება იწვევს კარგად ანაზღაურებადი სამუშაოებისადმი დაბალ წვდომას და ის სოფლის ეკონომიკის არსებობას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. სოფლის მაცხოვრებლებმა უნდა შეიმუშავონ სხვა სახის დასაქმების სტრატეგია ან მათ ელოდებათ გრძელ-ვადიანი უმუშევრობა და ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელება.

თავი 8. ფერმერი, ფერმერები და ფერმერობა

ფერმერი, ფერმერები და ფერმერობა თანამედროვე სოფლის საზოგადოებაში

სოფლის შესახებ წარმოდგენები უკავშირდება სოფლის მეურნეობასა და სოფლის აგრარულ წარსულს. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სოფლის მაცხოვრებლების 7%-ზე ნაკლები დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, შესაბამისად, ეს არის შეცდომა, როცა სოფლის ეკონომიკას უკავშირებენ ფერმერობას. წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის, როგორც დასაქმების მნიშვნელოვანი წყაროს დაქვეითების მიუხედავად, სოფლის მეურნეობა რჩება სოფლის საზოგადოების ფუნდამენტურ ნაწილად, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს საკვები პროდუქტების, უსაფრთხოებისა და ზოგადი კეთილდღეობისთვის. უფრო მეტიც, ფერმებს, ფერმერებსა და ფერმერობას გააჩნია სიმბოლური დატვირთვა, როგორც ქვეყნის ეროვნული იდენტობის ასპექტს. ვინაიდან ქვეყნის ორ მილიონ ფერმას უკავია თითქმის ერთი მილიარდი აკრი (1აკრი=0,4ჰა.) ანუ შეერთებული შტატების მიწის 40%, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოზე.

სოფლის მეურნეობის სტრუქტურა, შეერთებულ შტატებში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმოხილვა

ამერიკის განვითარების კოლონიალურ პერიოდში უმეტეს მაცხოვრებლებს უწოდებდნენ „მონადირე-ფერმერებს“. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელი ინდიელებისგან აღებული სოფლის მეურნეობის მეთოდები მნიშვნელოვანი

იყო კოლინიალური სოფლის მეურნეობის განვითარებისთ-
ვის და თავად კოლონისტების გადარჩენისთვის. ამერიკის
რევოლუციის პერიოდისთვის, ჯეიმსთაუნის კოლონიის
დაფუძნებიდან თითქმის 175 წლის შემდეგ ამერიკელმა
ფერმერებმა შეძლეს ჭარბი რაოდენობის პროდუქციის
წარმოება, ვიდრე ეს იმ დროინდელი მაცხოვრებლების
გამოკვებისთვის იყო საჭირო.

მაშინ როცა, ჰამილტონი, ადამსი და ამერიკის ე.წ. სხვა
დამფუძნებელი მამები ქვეყნის წინსვლას ხედავდნენ
ურბანულ და ინდუსტრიულ გაფართოებაში ევროპული
მოდელის მსგავსად, ვაშინგტონი, ჯეფერსონი, მედისონი და
სხვა გავლენიანი ლიდერები მხარს უჭერდნენ ქვეყნის
განვითარების აგრარულ ხედვას დამოუკიდებელი საშუალო
დონის ფერმერების ხელშეწყობის გზით. ჯეფერსონის
ცნობილი ციტატა მიანიშნებს სოფლის მეურნეობის როლის
უპირატესობაზე იმ პერიოდში: „ფერმერები წარმოადგენენ
ყველაზე ფასეულ მოქალაქეებს. ისინი არიან ყველაზე
ძლიერი, დამოუკიდებელი და ღირსეული ადამიანები და
მჭიდროდ არიან დაკავშირებული თავის ქვეყნის თავი-
სუფლებასა და ინტერესებთან“.

სოფლის მეურნობის, როგორც ქვეყნის განვითარების
მამოძრავებელი ძალის, განვითარება მოითხოვდა უფრო და
უფრო მეტი მიწის დაკავებას, რასაც ჯეფერსონის დროს
მოჰყვა ტერიტორიული გაფართოვება ფლორიდაში, მექსი-
კის ყურის სანაპიროზე, რაც ახლა არის ალაბამა და მისისიპი,
ისევე როგორც ლუიზიანას ტერიტორიის შესყიდვა. უნდა
აღინიშნოს, რომ ეს გაფართოება ხშირად ავიწროვებდა
ამერიკელ ინდიელებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ
ტერიტორიებზე ათასი წლის მანძილზე. მიუხედავად იმისა,

რომ დასავლეთის მიმართულებით გაფართოება თითქმის შეჩერდა რევოლუციის პერიოდში, ქვეყნის ტერიტორია თითქმის მთლიანად დასახლებული აღმოჩნდა მე-19 საუკუნეში. ახალი დამუშავებული მიწისადმი ხელმისაწვ-დომობამ ხელი შეუწყო ფერმერობის სისტემის განვითარებას, რომლის ეფექტურობა იყო დაბალი.

ახალმა მექანიკურმა ტექნოლოგიებმა გაზარდეს მუშის შრომის ნაყოფიერება მე-19 საუკუნეში, მაგრამ ასევე შევიწროვდა ბევრი მუშა-ხელი. უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის გაფართოვების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის პროდუქტი აკრის მიხედვით დიდად არ გაზრდილა იმ პერიოდისთვის იმდენად ბევრი მიწა დაემატა რესურსების ბაზას. მაგრამ, ეს სიტუაცია შეიცვალა მე-20 საუკუნეში. 1930-იან წლებში მექანიკურმა, ბიოლოგიურმა და ქიმიურმა პროგრესმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაცია და იგი ფართო ინდუსტრიიდან მიიყვანა განვითარებულ ინდუსტრიამდე, როდესაც მწარმოებლუ-რობა გაიზარდა 25%-ით ათწლეულის მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტრანსფორმაციას ხელი შეუწყო მთავ-რობის ახალი კურსის პროგრამამ, რომელიც შემუშავდა ფერ-მერებისთვის დიდი დეპრესიის დროს, რომლის საშუალე-ბითაც, ამ პროგრამებით შესაძლებელი იყო კრედიტის აღება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული აღჭურვილობის, ქიმიური ნივთიერებების და მწარმოებლურობის გაზრდის-თვის საჭირო სხვა მასალების შესაძენად.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ სოფლის მეურ-ნეობაში შედეგად მოიტანა ფერმერობის სექტორის ტრანს-ფორმაცია და დამოუკიდებელი ფერმერის კერძო წარმოება გადააქცია მაღალ ინდუსტრიულ და კონცენტირებულ სექ-

ტორად. 1970 წლის დასაწყისისთვის სოფლის მეურნეობა გაერთიანდა გლობალურ ეკონომიკაში, საერთაშორისო ვაჭრობამ უპირატესობა მინიჭა მსხვილ მწარმოებლებს პატარა და საშუალო ზომის მწარმოებლებთან შედარებით. გლობალიზაციამ კი გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა. სოფლის მეურნეობა არის ამერიკის ეკონომიკის ერთ-ერთი იმ მცირე სექტორებიდან, რომელიც აჩვენებს მუდმივად დადებით სავაჭრო ბალანსს ბოლო 40 წლის მანძილზე. 2008-2009 წლების რეცესიის პერიოდშიც კი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტმა გადააჭარბა იმპორტს.

გლობალიზაცია და ამერიკის სოფლის მეურნეობა

გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა ცვლილებამ მოახდინა ამერიკის სოფლის მეურნეობის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია, როგორც ლობაომ და მეიერმა აღნიშნეს მე-20 საუკუნეში სოფლის მეურნეობის დიდი გარდაქმნა გულისხმობდა ფერმერობის, როგორც ერთი ოჯახის საარსებო სახსრის სტრატეგიის გაუქმებას, რასაც შედეგად მოჰყვა ოჯახური ფერმის გაუჩინარება ბაზარზე და დაბალი ხარჯების მქონე მსხვილი მწარმოებლების გამოჩენა. გლობალიზაციამ უპირატესობა მიანიჭა მსხვილ მწარ-მოებლებს, იგი არ აღმოჩნდა ისეთი სასარგებლო წვრილი და საშუალო ზომის ფერმერებისთვის. გარდა ამისა, ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შეამცირა ფასები მზა პროდუქციაზე შეერთებულ შტატებში და ამავე დროს დაიცვა აგრო-ბიზნესი. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარი არის სოციალური და პოლიტიკური კონსტრუქცია და არა ბუნებრივი

ფენომენი და საბაზრო წესები, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ვაჭრობას, უპირატესობას ანიჭებს კორპორატიულ მოთამაშეებს მცირე საწარმოებთან შედარებით. ამის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების მოცულობა გაიზარდა დროთა განმავლობაში, წარმოების კონცენტრაცია უფრო მსხვილ და წვრილ საწარმოებში გრძელდება იმავე ტემპით.

გლობალიზაციის ნეოლიბერალურმა ფორმამ კიდევ უფრო კონცენტრირებული გახადა სოფლის მეურნეობის სექტორი, ეს გულისხმობს გლობალურად ჰარმონიზებული სტანდარტების დანერგვას, ამის შედეგად სავაჭრო წესებს ქმნიან გლობალური ელიტები და არა არჩეული პირები. ნეოლიბერალური გლობალიზაცია მოიცავს პრო-კორპორაციული პოლიტიკის გატარებას, რომლის განხორციელება ხდება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების მეშვეობით.

უფრო მცირე და უფრო დიდი ფერმები

1850-1920 წლებში ამერიკის ფერმების რაოდენობა გაიზარდა 1.5 მილიონიდან 6.5 მილიონამდე.

შემდგომში ამ ფერმების რაოდენობა შემცირდა თითოეულ ათწლეულში. 1950-იან წლებში ფერმების რაოდენობა შემცირდა 12%-ით, ხოლო 1960-იან წლებში 30%-ით. მიუხედავად იმისა, რომ ფერმების რაოდენობა შემცირდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, ფერმების ზომა გაიზარდა.

1880 წელს 4 მილიონზე მეტი ფერმა იყო შეერთებულ შტატებში, მისი საშუალო ზომა შეადგენდა დაახლოებით 136

აკრს. 2008 წლისთვის ფერმების რაოდენობა შემცირდა 2.1 მილიონამდე (დაახლოებით 50%-ით), მაგრამ ფერმის საშუალო ზომა გაიზარდა 300%-ით და შეადგინა 335 აკრი ნახ. 8-1 ა,ბ.

ფერმების რაოდენობის ასეთი მნიშვნელოვანი შემცირება ნაწილობრივ გამოიწვია მუშა-ხელის შევიწროვებამ მექანიზაციის გამო, არენდული ტიპის მიწის დამუშავების შემცირებამ, ახალი კურსის პროგრამამ, რომელიც ფოკუსირებული იყო სასაქონლო მარცვალზე, ბამბასა და სხვა პროდუქტზე. 1980 წლიდან ფერმების რაოდენობა ჩამოვიდა 2.2 მილიონამდე ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გლობალიზაციის შედეგად, პროდუქცია უფრო კონცენტრირებული იყო შედარებით ფართო ფერმებში.



ნახ. 8-1ა. ფირმების რაოდენობა(%) და ზომები(აკრი) 1881წ.-2008წ.



ნახ. 8-1ბ. ფირმების რაოდენობა(%) და ზომები(აკრი) 1881წ.-2008წ. დინამიკაში

ფერმის კრიზისი 1980-იან წლებში

ტექნოლოგიურმა ინოვაციამ, სახელმწიფო პოლიტიკამ და გლობალიზაციამ გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა და სტრუქტურაზე, ასევე ფერმერული სექტორის კეთილდღეობაზე. ამ ფაქტორების აკუმულაციური ეფექტი განსაკუთრებით გამოვლინდა 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასასრულს, რამაც წარმოშვა „ფერმის კრიზისი“. ამ კრიზისმა დააზიანა ათასობით ფერმერის ოჯახი და შესაბამისად ის სოფლებიც, სადაც ეს ფერმები მდებარეობდნენ. 1982-1986 წლებში ფერმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც შეწყვიტეს ბიზნეს საქმიანობა გასამმაგდა და ფერმების გაკოტრების მაჩვენებელი გაოთხმაგდა.

რატომ დაკარგა ბიზნესი უმეტესმა ფერმერმა და მისმა ოჯახმა 1980-იან წლებში? იყვნენ თუ არა ისინი ცუდი ფერმერები ან დაუდევარი მფლანგველები? რასაკვირველია, ზოგი ფერმერი შეიძლება დავადანაშაულოთ საკუთარი

პრობლემების გამო, მაგრამ ძირითადად მეცნიერები მიიჩნევენ, რომ კრიზისის ფესვები არის სტრუქტურულ ცვლილებებში, ვიდრე ცალკეული ფერმერის წარუმატებლობაში.

1960-იანი წლებიდან ფერმერებს მხარს უჭერდნენ, რათა მათ ეწარმოებინათ პროდუქცია საექსპორტოდ, ზედმეტი წარმოებისა და ფერმის დაბალი შემოსავლის პრობლემებთან გამკლავების მიზნით. იმისთვის, რომ გაუძლო კონკურენციას, მნიშვნელოვანია წარმოების გაფართოვება და აქედან გამომდინარე კაპიტალის სესხება.

1970-1980-იან წლებში მთავრობის წარმომადგენლები და სხვა პირები ფერმერებს მოუწოდებდნენ გაფართოებისკენ პრობლემებისა და სირთულეების გადაჭრის მიზნით. უცხოური ბაზრები ამერიკული სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის შეუზღუდავი ჩანდა და ფერმერებისთვის შემუშავდა სპეციალური პოლიტიკა, რაც გულისხმობდა იმას, რომ ფერმერის პატრიოტული მოვალეობა იყო „აგროძალაუფლების და აგროდოლარის“ მოპოვება. ეს გახდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ნაწილი.

გარკვეული პერიოდის მანძილზე ამ პოლიტიკამ გაამართლა და წარმოადგენდა კარგ რჩევას ფერმერისთვის. 1972 წლიდან ფერმიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდულ მაჩვენებლს მიაღწია, მაგრამ ამავე დროს, მარცვლეულის ფასმა და მიწის ღირებულებამ აიძულა ფერმერები ესესხებინათ ფული.

ფერმერებს ნამდვილმა გრიგალმა გადაუარა ათწლეულის ბოლოს, ვინაიდან ფერმის შემოსავალი შემცირდა და სიღარიბემ ფერმერებში მოიმატა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ უფრო დიდი არ ნიშნავდა ყოველთვის უკეთესს. გამოტანილმა კრედიტმა პრობლემები შეუქმნა ფერმერებს მაღალი

საპროცენტო განაკვეთის გამო და ასევე ფერმერები აქტიურად იყვნენ დამოკიდებული ქიმიური ნივთიერე-ბებისა და სასოფლო-სამურნეო აღჭურვილობის შეძენაზე. უმეტეს ფერმერებს არ შეეძლოთ ვალის გადახდა. ამან გამოიწვია ფერმების გაკოტრება და ლიკვიდაცია. ასეთი მასშტაბური ფერმის კრიზისი არ ყოფილა შეერთებულ შტატებში დიდი დეპრესიის შემდეგ და მას შედეგად მოჰყვა უზარმაზარი ადამიანური ხარჯები. ბევრ ადგილებში გაიზარდა დანაშაული, ძალადობა, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება. ამ კრიზისმა უარყოფითად იმოქ-მედა სოფლის მეურნეობის აღჭურვილობის, წარმოებისა და გაყიდვის პროცესზე. ბევრი ბანკი, რომელიც სასოფლო სამეურნეო კრედიტზე იყო ორიენტირებული გაკოტრდა. 1985 წელს მინესოტას სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის შეფასებით თითოეული ფერმის დახურვას მოჰყვა სამი ფერმასთან არდაკავშირებული სამუშაოს დაკარგვა.

თანამედროვე სტრუქტურა: კონცენტრაცია და დივერსიფიკაცია

ფერმები განსხვავდება ერთმანეთისგან მასშტაბის, რეგიონული მდებარეობის, რესურსების გამოყენების მახა-სიათებლებით. შეერთებული შტატების ფერმების უმრავ-ლესობა არის პატარა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის პროდუქტების წარმოება კონცენტრირებულია შედარებით მცირე რაოდენობის მეგა-ფერმებში. აშშ სოფლის მეურ-ნეობის სამინისტრომ შეიმუშავა ფერმების კლასიფიკაცია, რაც განასხვავებს ოჯახურ ფერმას არაოჯახურისგან მათი საქმიანობის მასშტაბის მიხედვით. ოჯახური ფერმები შეადგენს მთლიანი ფერმების რაოდენობის 98%-ს, ისინი

იმართება ოჯახის წევრების მიერ და აწყობილია როგორც ინდივიდუალური კერძო ფირმა ან ოჯახური კორპორაცია. არაოჯახური ფერმების სტრუქტურა წარმოდგენილია კორპორაციის ან კოოპერატივის სახით, რომელსაც მართავენ მენეჯერები.

ამერიკის ოჯახური ფერმის კლასიფიკაცია გვიჩ-ვენებს, რომ ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ყოველი ათი ამერიკული ფერმიდან ცხრა ფერმის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდ-ვების საერთო რაოდენობა $250,000-ზე ნაკლებია, ეს მცირე ფერმები წარმოადგენენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმოების 25%-ს. საპირისპიროა დიდი მოცულობის ფერმები, რომელთა გაყიდვების საერთო რაოდენობა $250,000-ზე მეტია, ისინი ფერმების რაოდენობის 7.5%-ს შეადგენენ, მაგრამ წარმოადგენს ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმოების 60%-ს. მცირე ფერმების ერთი მესამედი შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლისუნარიან ბიზნესად, რომელიც არის ოჯახის პირველად სააარსები წყარო. მათი მთლიანი გაყიდვები სულ მცირე $100,000-ს შეადგენს და ყავს კოორდინატორი, რომელიც აცხადებს, რომ ფერმა არის მისი ძირითადი საქმიანობა. პატარა ფერმების დანარჩენი რაოდენობა ანხორციელებს საქმიანობას შეზღუდული რესურსებით და უფრო არის საცხოვრებლად განკუთვნილი, მაშინ როცა შეერთებული შტატების ფერმების 3%-ის საერთო გაყიდვები $500,000-ს შეადგენს. გაყიდვების მნიშვნელოვანი კონცენტარცია არის ყველაზე დიდ ფერმებში ნახ. 8-2. მათი გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი $ 1 მილიონი ან მეტია.



ნახ. 8-2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვების მიხედვით ფერმების რაოდენობა %-ში.



ნახ. 8-3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო გაყიდვებიდან ურბანულ ფერმებში წარმოებული პროდუქცია %-ში. 2002წელი.

მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ სოფლის მეურ-ნეობა არის სოფლის საქმიანობა და რომ ურბანული საქმია-ნობა შეუთავსებელია ფერმერობასთან. უნდა აღინიშნოს,

რომ ქვეყნის საკვები პროდუქტები მნიშვნელოვანი წილი იწარმოება ურბანულ ან ურბანულთან ახლოს მდებარე ადგილებში. 2002 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით, შეერთებული შტატების ფერმების 41% და ფერმის მიწის 24% მდებარეობს ურბანულ ოლქებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო გაყიდვების 34% იწარმოება ურბანულ ფერმებში. 2002 წელს მოსავლის უმრავლესობა აწარმოეს ურბანულ ადგილებში, აქედან 66% იყო ბოსტნეული, 83%-ხილი. ურბანული ფერმები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეცხოველეობის საქმეში. რძისა და რძის პროდუქტების საერთო წარმოების 49% იწარმოება ასეთ ფერმებში ნახ. 8-3.

ურბანულ ფერმებისა და ქალაქის მაცხოვრებლებს შორის ჩნდება ხოლმე კონფლიქტები, მაგრამ მაღალი სიმჭიდროვის გარემოში სოფლის მეურნეობა დაცულია სხვადასხვა საშუალებებით. ქალაქის ფერმებს აქვთ პირდა-პირი წვდომა ფართო მომხმარებელთან, რომელთა უმრავ-ლესობა ირჩევს ადგილობრივ პროდუქტს. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად რესპოდენტთა 45%-მა, აქედან 41% იყო ქალაქის რეს-პოდენტი მიუთითა, რომ ისინი მოიხმარენ ადგილობრივი წარმოების პროდუქტს.

ოჯახური ფერმები და ფერმის ოჯახები, სოფლის მეურნეობაში დაკავებული მოსახლეობის შემცირება

შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს მიერ სოფლის მოსახლეობის პირველი აღწერა მოხდა 1920 წელს. იმ დროისთვის შტატების მოსახლოების 31 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა ფერმებში, აქედან 60%

წარმოადგენდა სოფლის მოსახლეობას. ამის შემდეგ ფერმის მაცხოვრებელთა შემცირება აღინიშნება. ფერმის მაცხოვ-რებელთა რაოდენობა შემცირდა 31 მილიონიდან 2.1 მილი-ონამდე 2007 წელს. ამჟამად, ფერმაში მაცხოვრებლები შეადგენენ სოფლის მსოახლეობის 5%-ზე ნაკლებს. ნახ. 8-4.



ნახ 8-4. ფერმებში მოსახლეობის რაოდენობა, მათ შორის სოფლის მოსახლეობის რაოდენობა

ვინ არიან დღევანდელი ფერმერები?

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორია ფერმის მაცხოვრებელთა შემადგენლობა. ფერმის კოორდინა-ტორი (მმართველი) არის ის ადამიანი, რომელიც მართავს ფერმას. ის არის შუა ხანს გადაცილებული მამაკაცი, თეთრ-კანიანი. კოორდინატორის საშუალო ასაკი 50 წელი და მეტია. ფერმის კოორდინატორთა ერთი მესამედის ასაკი 65 წელზე მეტია. ასეთი დიდი ასაკი განპირობებულია იმით, რომ ფერმაში არ აღინიშნება თაობების ცვლა. თაობების ცვლის ნაკლებობა არის ზუსტად ის გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე სოფლის მეურნეობა. ფერმის

ახალგაზრდობა ცდილობს დატოვოს ფერმა და ეძებოს სხვა შესაძლებლობები.



ნახ.8-5. ფერმების კოორდინატორები. 2007წელი

შეერთებული შტატების ფერმების ურმავლესობას მართავენ მამაკაცები. ასევე ფერმების 96%-ს მართავს თეთრკანიანი. 2007 წელს სოფლის მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით ფერმების კოორდინატორების 96% იყო თეთრკანიანი, 1.4%-აფროამერიკელი, ამერიკელი ინდიელები-1.6% ნახ. 8-5. ფერმერები კარგად განათლებული ადამიანებია. ერთ მეოთხედს აქვს კოლეჯის განათლება, რომელიც უმაღლესი განათლების შესაბამისია სოფლის მოსახლეობისთვის. განათლება ძალიან მნიშვნელოვანია კოორდინატორებისთვის, ვინაიდან ფერმერობა არის მეცნიერებაზე დაფუძნებული საქმიანობა.

ფერმის სამუშაოს 70% და მეტი სრულდება ანაზღაურებადი ან არანაზღაურებადი ოჯახის წევრების მიერ. დაახლოებით ერთი მილიონი პირი ასრულებს დაქირავებულ სამუშაოს დღევანდელს დღეს. ეს არის

მნიშვნელოვნი შემცირება, ვინაიდან 1960 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1.9 მილიონს. ფერმის დაქირავებული მუშები შეადგენენ ამერიკის მუშების 1%-ს. მაგრამ ზუსტად ამ მუშებს შეაქვთ ყველაზე მეტი წვლილი სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში. ფერმის დაქირავებული მუშა არის ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის განათლების დონე დაბალია. მათი უმრავლესობის დაბადების ადგილია შეერთებული შტატები. მუხედავად მათ მიერ შეტანილი წვლილისა, ეს ადამიანები ხშირად სიღარიბეში ცხოვრობენ.

როგორ გამოიმუშავებენ ფერმის ოჯახის წევრები?

არსებული მონაცემების მიხედვით, ჩვეულებრივი ფერმის საარსებო სახსრებთან დაკავშირებული სტრატეგია მოიცავს შემოსავალს ფერმიდან და ფერმის გარეთ შემოსავალს, რომელსაც გამოიმუშავებს ოჯახის წევრები. უფრო მეტიც, მონაცემების მიხედვით, ფერმის გარეთ შემოსავალი არის არა მხოლოდ დამატება ფერმის შემოსავალზე, არამედ ის არის ძირითადი. გამოკითხულ ფერმის მმართველთა დიდი უმრავლესობა ფერმის გარეთ მიღებულ შემოსავალს მიიჩნევს ძირითადად და მას ანიჭებს უპირატესობას. ფერმერების მეუღლეების სამი მეოთხედი მუშაობს ფერმის გარეთ და აქვთ შემოსავალი.

თავი 9. სოფლად არსებული სიღარიბე

სიღარიბე სოფლად და ღარიბი ადგილი

სიღარიბე მიეკუთვნება იმ მდგომარეობას, როცა პირი და ოჯახი მოკლებულია საჭირო რესურსებს, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი საარსებო სახსრებისადმი ხელმისაწვდომობას. ადამიანები და ოჯახები მიიჩნევა ღარიბად, თუ ისინი არიან მატერიალური რესურსების დადგენილი დონის ქვემოთ, რაც მოიცავს საკვებ პროდუქტებს, თავშესაფარს, და/ან სხვა აუცილებელ საგნებს. ადგილი მიიჩნევა ღარიბად, როცა მისი ცხოვრების მატერიალური დონე ეცემა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმის ქვემოთ. სოფლად არსებული სიღარიბის ანალიზი მოიცავს ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ კითხვას: (ა) რატომ არის ზოგიერთი ადამიანი და ოჯახი ღარიბი სხვებთან შედარებით? და (ბ) რატომ არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ კონკრეტულ ადგილებში ღარიბები სხვებთან შედარებით?

სიღარიბე ხშირად მიიჩნევა როგორც ეკონომიკური ფენომენი, რაც გულისხმობს არაადეკვატურ შემოსავალს საჭიროებასთან მიმართებაში. მაგრამ რეალობაში სიღარიბე უფრო კომპლექსური ფენომენია, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, სტრუქტურულ და სივრცით პარამეტრებს. სიღარიბე წარმოადგენს შეზღუდული შემოსავლის ფაქტორს, მაგრამ მას ასევე განაპირობებს სოციალური რესურსებისადმი დაბალი ხელმისაწვდომობა, როგორიცაა; ჯანდაცვა, განათლება, საცხოვრებელი პირობები და პოლიტიკური ძალაუფლება. რასაკვირველია, შემოსავალი უზრუნველყოფს იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს ხელმისაწვდო-

მობა რესურსებისადმი, მაგრამ სიღარიბე არ დაიყვანება მხოლოდ შემოსავლამდე, მაგრამ ის არის ის საზომი, რომლითაც სიღარიბე დგინდება.

განსხვავება, რომელიც არსებობს სიღარიბის შემოსავალზე დაფუძნებულ კონცეფციასა და სოციალური იზოლაციის უფრო ფართო კონცეფციას შორის, ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომლითაც ამერიკელი სოციოლოგები და პოლიტიკის შემქმნელები განიხილავენ სიღარიბეს მათი კოლეგებისგან განსხვავებით ევროპაში. ადამიანებისა და ოჯახების თვისებებისა და მახასიათებლების შესწავლის ნაცვლად, სოციალური იზოლაცია აქცენტს აკეთებს ცვლილების პროცესზე, რომელსაც შედეგად მოსდევს პირების ან ჯგუფების იზოლაცია სხვადასხვა სოციალური სფეროდან, რაც ამცირებს ცხოვრების შანსებს, სოციალურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

ვინ არის ღარიბი შეერთებულ შტატებში? სიღარიბის შეფასება

სიღარიბის მასშტაბისა და გავრცელების შეფასების მიზნით სამთავრობო სტრუქტურები და სხვა ბიუროკრატიული ინსტიტუტები ადგენენ გაიდლაინებს, რომლის გამოყენება შესაძლებელია იმის დასადგენად თუ ვინ არის ან არ არის ღარიბი.

შეერთებულ შტატებში შემოსავლის ზღვარი წარმოადგენს სიღარიბის ოფიციალურ ფედერალურ საზომს ცხრ. 9-1. ამ ზღვარის განსაზღვრა თარიღდება 1963 წლით ჯონსონის პრეზიდენტობის პერიოდში, როდესაც დადგინდა სიღარიბის ზღვარი და მან შეადგინა $3,000 ამერიკული დოლარი

ოჯახისთვის წლიურად. ეს მაჩვენებელი განისაზღვრა პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციისა და სოციალური უსაფრთხოების ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე. აღნიშნული რეკომენდაციები დაფუძნებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები ხარჯავენ თავიანთი შემოსავლის ორ-მესამედს არასაკვებ პროდუქტებზე და ასევე შეფასდა ის მინიმალური ხარჯი, რომელიც საჭიროა სამჯერადი კვებისთვის ოთხი სულისგან შემდგარი ოჯახის შემთხვევაში და კვების ამ მაჩვენებლმა შეადგენდა $2.74 დოლარი დღეში.

ცხრილი 9-1. სიღარიბის ზღვარი 1980-2009წ.წ.

	სიღარიბის ზღვარი $ (წლიურად)			
სულადობა	1980წ.	1990წ.	2000წ.	2009წ.
1	3790	6280	8350	10956
2	5010	8420	11250	13991
3	6023	10560	14150	17098
4	7450	12700	17050	21954
5	8670	14840	19950	25991
6	9890	16980	22850	29405
7	11110	18120	25750	33372
8	12330	21260	28650	37252

თანამედროვე ზღვარის დადგენის დროსაც გამოიყენება ეს ლოგიკა, მაგრამ ის ადაპტირებულია ოჯახის ზომასა და ოჯახის წევრების ასაკზე. მისი განახლება ხდება მოსახლეობის აღწერის ბიუროს მიერ, ამ დროს მხედველობაში

მიიღება ინფლაცია და პროდუქციასა და სერვისებზე მომატებული ფასები. 2008 წელს სიღარიბის ზღვარი ოთხი წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის, რომელშიც არ შედიოდა ასაკოვანი წევრი, შეადგენდა $21,200 დოლარს წლიურად, თვეში ეს არის დაახლოებით $1,767 დოლარი.

სიღარიბის რისკები იცვლება საცხოვრებელი ადგილის მდებარეობის შესაბამისად

შეერთებულ შტატებში სიღარიბე ასოცირდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილებთან და დაცარიელებულ ურბანულ ადგილებთან. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან ძირითადად ურბანულ ადგილებში არიან თავმოყრილი ღარიბები და ეს კარგად ჩანს. მაგრამ სოფლის სიღარიბის საკითხებზე მომუშავე პრეზიდენტ ჯონსონის კომისიის დასკვნით და სხვა კვლევებით აღმოჩნდა, რომ სიღარიბე არის უფრო სოფლის პრობლემა და არა ქალაქის.

არსებული მონაცემების მიხედვით, სოფელში მაცხოვ-რებელი ღარიბი ადამიანი მუდმივად ცხოვრობს სიღარი-ბეში, რომლის შემოსავალი სიღარიბის ზღვრულ მაჩვენე-ბელზე 125%-ით დაბალია. ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ ათიდან ცხრა მუდმივად ღარიბია შეერ-თებული შტატების იმ ოლქებში, რომლებიც არაურბანული ტერიტორიებისგან შედგება. ეს ოლქები ძირითადად მდება-რეობენ ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში.

სიღარიბის მაჩვენებლების შესწავლის შედეგად აღ-მოჩნდა, რომ არაურბანულ ადგილებში სიღარიბის მაჩვე-ნებლები მნიშვნელოვნად შემცირდა 1950-1970 წლებში. მიუხედავად ამისა, სიღარიბე რჩება სოციალური ლანდ-შაფტის დამახასიათებელ თვისებად შეერთებულ შტატებში,

ვინაიდან ყოველ ათ ადამიანში ერთი ან უფრო მეტი ღარიბია, მიუხედავად იმისა თუ სად ცხოვრობს იგი. 1970-იანი წლებიდან სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქში მერყეობს 10%-14%-ის ფარგლებში ნახ. 9-2, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი სოფლად არის 13%-18%. ეს მაჩვენებლები ზოგიერთ მოსახლეობაში უფრო მაღალია.



ნახ. 9-2. სიღარიბის მაჩვენებელი 1970წ.

ამ მონაცემებიდან ნათელია, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე სიღარიბის მაჩვენებლები სოფლად უფრო მაღალი რჩება ქალაქთან შედარებით. არ აქვს მნიშვნელობა ეს არის ეკონომიკური ზრდის თუ ვარდნის პერიოდი, ქალაქისა და სოფლის სიღარიბის მაჩვენებლებს შორის სხვაობა არის თითქმის ერთი და იგივე.

სიღარიბე დამახასიათებელია კონკრეტული ჯგუფებისთვის

სიღარიბე ხშირად კონკრეტული ადამიანების ჯგუ-ფისთვის არის დამახასიათებელი. ეს განსაკუთრებით ეხება უმცირესობების ჯგუფებს, კერძოდ აფროამერიკელებს, ლათინოამერიკელებსა და ამერიკელ ინდიელებს. სიღარიბის მაჩვენებელი ორჯერ უფრო მაღალია ლათინოამერიკელის შემთხვევაში თეთრკანიანთან შედარებით, ხოლო სამჯერ უფრო მაღალია აფროამერიკელებისა და ამერიკელი ინდიე-ლებისთვის. რასობრივი და ეთნიკური ჯგუფები არიან სიღარიბის უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე სხვები. სიღარიბის მაჩვენებლები იძლევა განსხვავებას გენდერული თვალსაზრისითაც.

კვლევებით დასტურდება ცხრ. 9-3, რომ მამაკაცები ნაკლებად არიან ღარიბები ქალებთან შედარებით, ქალების დაახლოებით 11.5% ასაკით 65 და მეტი არის ღარიბი ან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მაშინ როცა მამაკაცებში იგივე მაჩვენებელი შეადგენს 7%-ს. ახალგაზრდები ასევე იმყოფებიან სიღარიბის მაღალი რისკის ქვეშ და აქ სქესს არ აქვს მნიშვნელობა. 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 18% ცხოვრობს სიღარიბეში ან მისი ზღვარს ქვემოთ.

აღსანიშნავია, რომ სიღარიბე განსაკუთრებით თვალში-საცემია იმ ოჯახებში, რომლის თავში დგას მარტოხელა ქალი. ბოლო პერიოდის კვლევებით აღმოჩნდა, რომ სიღარი-ბის მაჩვენებელი 18 წლამდე ასაკის პირებში იყო ყველაზე მაღალი პატარა ოლქებში 2005-2007 წლებში.

განათლების დონე არის სიღარიბის ერთ-ერთი ყვე-ლაზე ძლიერი განმსაზღვრელი ფაქტორი. განათლება მნიშვ-ნელოვნად ამცირებს სიღარიბის რისკს. ყოველ ოთხი ამერიკელიდან, რომელსაც აქვს საშუალო სკოლაზე ნაკლები

განათლება, ერთი ცხოვრობს სიღარიბეში ან მისი ზღვარს ქვემოთ. მაშინ როცა ბაკალავრის დიპლომის მქონე პირებში სიღარიბის მაჩვენებელი 3.5%-ს შეადგენს. ეს განსაკუთ-რებით ეხება სოფლის დასახლებებს, ვინაიდან სოფლად განათლების დონე დაბალია.

სიღარიბის რისკები გაცილებით დაბალია დასაქმე-ბული ადამიანების შემთხვევაში უმუშევრებთან შედარებით. თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ სოფლად სრულ განა-კვეთზე მომუშავე მაცხოვრებელები ნაკლებად მოიპოვებენ ეკონომიკურ უსაფრთხოებას მათი ძალისხმევის მიუხე-დავად. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სოფლად მომუშავე ადამიანი უფრო მეტად მიდრეკილია იყოს დასაქმებული ღარიბი. ვინაიდან იქ არის არასაკმარისი დასაქმება, დაბალი პროფესიონალური უნარ-ჩვევები და შესაბამისად დაბალი ხელფასები.

ცხრილი 9-3. სიღარიბის მაჩვენებლიბი 2007წელი

	გაფართოებული ნაციონალურობით	ცენტრალურ ქალაქებში
რასების/ეთნიკურობის მიხედვით	%	%
თეთრკანიანი	10.23	12.99
შავკანიანი	24.68	28.09
ესპანელები	20.73	23.38
ამერიკელი ინდიელები	25.29	23.82
აზიელები	10.59	13.31
ქალი		
ყველა	14.35	18.86
18 წლამდე	18.23	24.92

19-64 წლის	13.52	17.69
65 და მეტი წლის	11.44	13.61
მამაკაცები		
ყველა	11.51	15.52
18 წლამდე	17.82	24.39
19-64 წლის	9.7	12.98
65 და მეტი წლის	6.99	8.96

სიღარიბის მაჩვენებლების შედარება სიღარიბის შემადგენლობასთან

კითხვაზე ვინ არის ღარიბი, უნდა გაივლოს ზღვარი სიღარიბის მაჩვენებელსა და სიღარიბის შემადგენლობას შორის. სიღარიბის მაჩვენებელი არის შესაძლებლობა, რომ პირები კონკრეტულ მოსახლეობაში არის ღარიბი და სიღარიბის შემადგენლობა არის კონკრეტული მოსახლეობის სიღარიბის წილი სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს სიღარიბესთან დაკავშირებული დახმარების გაწევის დროს, ვინაიდან ზოგიერთი ჯგუფები, რომლებიც სიღარიბის მაღალი რისკის ქვეშ არიან, რიცხობრივად არიან ცოტა და ნაკლებად შესამჩნევი სიღარიბის პროგრამებისთვის. ფაქტიურად, ეს არის მიზეზი, რატომაც სოფლის სიღარიბე არ მიჩნევა მთლიანი სიღარიბის საწინააღმდეგო პოლიტიკის მთავარ სამიზნედ. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული სოფლად ადამაინები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე ქალაქში. ერთი ყოველ ხუთ ამერიკელში ცხოვრობს არაურბანულ ადგილებში და მათი სიღარიბის მაჩვენებელი დაბალია.

სიღარიბის ზღვართან დაკავშირებული პრობლემები, სიღარიბე-მრავალგანზომილებიანი კონცეფცია

სიღარიბის შეფასება გახდა კრიტიკის საგანი შეერთებულ შტატებში. სიღარიბის ზღვარი დაფუძნებულია დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებზე და ბევრი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ის არის შერჩევითი. პირები, რომელთა შემოსავალი ახლოს არის სიღარიბის ზღვართან იმყოფებიან გაღარიბების მუდმივი რისკის ქვეშ.

კვლევები ადასტურებს, რომ სიღარიბე ხშირად გარდამავალია, ადამიანები უახლოვდებიან სიღარიბის ზღვარს, შემდეგ შორდებიან და ეს ხდება გარკვეული სიხშირით. სიღარიბე შეიძლება იყოს ხანმოკლე და განპირობებული სხვადასხვა მიზეზებით, მაგალითად, სამსახურის დაკარგვა, განქორწინება, ავადობა ან მოკლე-ვადიანი შრომისუუნარობა. მკვლევარებმა ასევე განაცალკავეს „ღრმა სიღარიბე“, როცა პირებისა და ოჯახების შემოსავალი ოფიციალური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის 50%-ით. ასეთი სიღარიბე მუდმივია. მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი არის მუდმივად ღარიბი.

სახელმწიფო და სხვა ბიუროკრატიულ ინსტიტუტებს უხდებათ ძირითადი სოციალური პირობების შეფასება, გაიდლაინების შედგენა იმისთვის თუ ვინ უნდა მიიღოს და ვინ ვერ მიიღებს სოციალურ დახმარებას. სიღარიბე ხშირად გულისხმობს დაბალ ხელმისაწვდომობას ჯანმრთელობისა და სოციალური სერვისებისადმი, განათლებისა და დასაქმების შემცირებულ შესაძლებლობებს, შეზღუდულ პოლიტიკურ ძალაუფლებას და ისეთ პირობებში ცხოვრებას, რომელიც არ არის უსაფრთხო ფიზიკურად.

რატომ არიან გარკვეული ადამიანები უფრო ღარიბი, ვიდრე სხვები? შარონ რაითი

შარონ რაითი არის 44 წლის და ცხოვრობს თინეიჯერ შვილთან, მეგობარ მამაკაცთან და მის სკოლამდელი ასაკის ვაჟთან ერთად ჩრდილოეთ პენსილვანიაში, რომლის მოსახლეობა 7000-ს შეადგენს. მათი შემოსავლის წყარო არის სოციალური დახმარება, რაც შეადგენს დაახლოებით $1,000 დოლარს თვეში. ის აგრეთვეს იღებს დახმარებას საცხოვ-რებელ ფართზე და ფარავს ბინის ქირას.

მისი ქალაქი, სხვა ქალაქების მსგავსად განიცდის ეკონომიკურ რეცესიას. ქალაქის ცენტრში არის ცარიელი შენობები, რომელშიც ერთ დროს გადამამუშავებელი კომპანიები ასაქმებდნენ ასობით ადამიანს. ქალაქთან ახლოს მდებარეობს დასასვენებლი ზონა, რომელიც ასაქმებს მცირე რაოდენობის ადამიანებს. სახლი, სადაც ის ცხოვრობს ძველია, საჭიროებს შეკეთებას. ერთხელ ზამთარში გაფუჭდა გამათბობელი და რამდენიმე დღე გაატარეს ღუმელთან, ვიდრე ის შეკეთდებოდა. თინეიჯერობის ასაკში ჯანმრთე-ლობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო იძულებუ-ლი გახდა სკოლა მიეტოვებინა. ამჟამად, შარონი არ მუშაობს, ის ეძებს სამსახურს. დაბალი კვალიფიკაცია ხელს უშლის მას წესიერი სამსახურის შოვნაში. შარონი ცდილობს მიიღოს ზოგადი განათლების დიპლომი, ნანობს რომ სკოლა მიატოვა, მას სჯერა რომ დიპლომის მიღების შემდეგ სამსახურის შოვნის შანსები გაიზრდება.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, გარკვეული მახასია-თებლები, როგორიცაა, რასა, სქესი, ასაკი, განათლება და ოჯახი ზრდის სიღარიბის რისკს. საინტერესოა ამ სიღარიბის გამომწვევი მიზეზები. სიღარიბის ახსნა შეიძლება ორ

კატეგორიად დაიყოს: ინდივიდუალურ დონეზე და სტრუქტურულ დონეზე. თითოეულ შემთხვევაში მიზეზი განსხვავებულია.

ინდივიდუალურ დონეზე ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი შეიძლება იყოს წარმატებული გულმოდგინე და ბეჯითი მუშაობის შედეგად. ის, ვინც არ არის წარმატებული, უნდა მოინდომოს მეტი, ადამიანი თავად არის პასუხისმგებელი თავის ცხოვრებაზე და მსგავსი დამოკდებულებები.

სტრუქტურულ დონეზე ახსნა ითვალისწინებს იმ ინსტიტუციონალურ თუ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც არის რისკის ხელშემწყობი ფაქტორები, რაც განაპირობებს იმას, რომ გარკვეული ადამიანები და ჯგუფები ცხოვრობენ სიღარიბეში. ეს ფაქტორებია: სამუშაო ადგილების სიმცირე, სამუშაოს მოთხოვნებსა და მუშა-ხელის გამოცდილების შესაბამისობა, არაადეკვატური სოციალური უსაფრთხოების ქსელი, დისკრიმინაცია და ღარიბ სკოლებში განათლების მიღება...

სტრუქტურული ახსნის პერპსექტივა გულისხმობს იმას, რომ სიღარიბეს ადგილი აქვს მაშინ, როცა მუშა-ხელის გამოცდილება არ შეესაბამება ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს. ძალიან ბევრი ადამიანი შედარებით შეზღუდული კაპიტალით ცდილობს იპოვოს კარგად ანაზღაურებადი სამუშაო. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ეკონომიკა არის დინამიური და მუდმივად ცვალებადი და რომ რესტრუქტურიზაცია გავლენას ახდენს შესაძლებლობასა და სამუშაოს სტრუქტურაზე. მაგალითად, 1970-იანი წლების დასასრულს და 1980-იანი წლების დასაწყისში შეერთებულ შტატებში

დეინდუსტრიალიზაციას შედეგად მოყვა ქარხნებისა და ფაბრიკების დახურვა და სხვა ადგილზე გადატანა, უფრო იაფი წარმოებისა და მუშა-ხელის პირობებში. 1980-იანი წლების პირველ ნახევარში დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი დარჩა უმუშევარი საწარმოების დახურვის გამო. შრომის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით გამოვლინდა, რომ სამუშაოს დაკარგვიდან ხუთი წლის შემდეგ განთავისუფლებული მუშა-ხელის ერთი-მესამედი იყო ჯერ კიდევ უმუშევარი. ხოლო დასაქმებული ადამიანების 40% გამოიმუშავებდა სულ მცირე 20%-ით ნაკლებს. სოფლის ეკონომიკა განსაკუთრებით მგრძნობიარეა რესტრუქტურიზაციის მიმართ, ვინაიდან ის ნაკლებად დივერსიფიცირებულია. შესაბამისად, სოფლის ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელი დაბალია.

სიღარიბის კულტურული ახსნა

სიღარიბის ინდივიდუალური ახსნა გულისხმობს, რომ ადამიანები ღარიბია, მათ ქცევისა და არჩევანის გამო, რაც აიძულებთ მათ იცხოვრონ სიღარიბეში. ეს მიდგომა მოიცავს კულტურულ ასპექტებს. ხშირად ინდივიდუალურ ახსნას უწოდებენ „სიღარიბის კულტურას“, რაც გულისხმობს, რომ სიღარიბეში მყოფი ადამიანები და განსაკუთრებით ისინი, რომელთა წინაპრებიც მსგავს მდგომარეობაში იყვნენ, ხასიათდებიან გარკვეული ქცევითი და პიროვნული თავისებურებებით, რაც ზრდის სიღარიბის შანსებს.

1950-იანი წლების დასასრულს და 1960-იანი წლების დასაწყისში გამახვილდა ყურადღება აღნიშნულ საკითხებ-ზე. სიღარიბის კულტურის შესახებ იდეა ეკუთვნის ოსკარ

ლევისს, ანთროპოლოგს, რომელიც სწავლობდა საერთაშორისო განვითარებისა და არასაკმარისი განვითარების საკითხებს. ხანგრძლივი ეთნოგრაფიული კვლევისა და ფსიქოლოგიური ტესტირების შედეგად ლევისმა შეკრიბა დამახასიათებელი თვისებები, რომელიც აერთიანებდა ადამიანებს, რომლებიც იმყოფებოდნენ სიღარიბეში ხანგრძლივი დროის მანძილზე. აღნიშნული მოიცავდა სოციალურ მარგინალად ყოფნას, უმწეობას, დამოკიდებულების მაღალ ხარისხს, მხოლოდ დღევანდელ დღეზე კონცენტირებას. ლევისის ნაშრომს ჰქონდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაცია. მისი აზრით, ღარიბი ადამიანი უარს ამბობს ისეთ ქცევაზე, რომელიც გაზრდის მისი ეკონომიკური წინსვლის შანსებს (განათლება, ქორწინება, ოჯახის დაგეგმვა) და იქცევა იმგვარად, რაც ხელს უშლის სიღარიბიდან თავის დაღწევას.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სოციალური იზოლაცია არის სიღარიბის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. შესაბამისად, ის სოფლად უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში. იზოლაცია აშორებს ღარიბ ადამიანს სოციალური შესაძლებლობებიდან და ამცირებს მოძრაობისა და შესაბამისად, ცვლილების შანსებს. საბოლოოს, იზოლაცია სოფლად იწვევს ფიზიკურ იზოლაციას. ღარიბ ადამიანებს ხშირად ნაკლები წვდომა აქვთ ტრანსპორთან, ცხოვრობენ მოშორებულ ადგილებში, რაც სოციალური სერვისებისადმი ხელმისაწვდომობას ართულებს, მათ არ აქვთ საკომუნიკაციო და საინფორმაციო რესურსები, რომელიც ხელს შეუწყობდა სოციალურ მობილურობას.

სურსათის ნაკლებობა

ადგილებს, სადაც ადამიანებს აქვთ შეზღუდული ხელმისაწვდომობა საცალო ვაჭრობის პროდუქტების მაღაზიისადმი (გასტრონომიული მაღაზია), ხშირად უწოდებენ საკვები პროდუქტების მხრივ უდაბნო ადგილებს. შეერთებული შტატების მოსახლეობის თითქმის 6% განიცდის საკვები პროდუქტების ნაკლებობას, რომელიც მათ სჭირდებათ ან ისურვებდნენ. თუმცა, საკვებისადმი ხელმისაწვდომობა არ არის მხოლოდ კომფორტის საკითხი, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ შეზღუდული წვდომა გასტრონომიული მაღაზიებისადმი, შეუძლიათ გამოიყენონ კალორიული საკვები პროდუქტები, მაგრამ მათი სიმსუქნის, არასაკმარისი კვებისა და სიმსუქნესთან დაკავშირებული დაავადებების რისკი იზრდება. ამჟამად, შეერთებული შტატების ზრდასრული მოსახლეობის 66% არის ჭარბწონიანი, ან მსუქანი და სიმსუქნესთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეადგენს 280,000-ს წელიწადში.

საკვები პროდუქტების მხრივ უდაბნოს მსგავსი ადგილები შეიძლება იყოს შედარებითი კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

არსებობს ადრეული ნაშრომები, რომლებშიც შეისწავლეს საკვები პროდუქტების მხრივ უდაბნო ადგილები. აღნიშნული ნაშრომების მცდელობა იყო დაედგინათ ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს სოციალურ უთანაბრობასა და ტერიტორიულ არათანაბრობას შორის, საკვებისადმი ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში. ამ ნაშრომებით აღმოჩნდა, რომ დაბალი შემოსავლის ოლქებს შეზღუდული წვდომა აქვთ საკვები პროდუქტებისადმი.

მორტონმა და ბლანცარდმა (2007წ.) დაადგინეს, რომ 803 ოლქი შეერთებულ შტატებში შეიძლება მიჩნეულ იქნას „დაბალი ხელმისაწვდომობის ადგილებად“, ვინაიდან ოლქის ნახევარ მოსახლეობაზე მეტი ცხოვრობს 10 მილის დაშორებით გასტრონომიული მაღაზიისგან. 418 ოლქი შეიძლება მიჩნეულ იქნას საკვები პროდუქტების მხრივ უდაბნო ადგილებად, ვინაიდან არც ერთი მოსახლე არ ცხოვრობს გასტორნომიული მაღაზიიდან 10 მილის მანძილზე. ამ ოლქებში მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს საშუალო განათლების დიპლომი, სიღარიბის მაჩვენებელი მაღალია და უფრო მეტად ასაკოვანი მოსახლეობით არის დასახლებული.

მსგავსი კვლევა ჩატარდა პენსილვანიაში, სადაც შეისწავლეს ჭარბწონიანობის მაჩვენებლები სკოლის მოსწავლეებში სხეულის მასის ინდექსის განსაზღვრით. აღმოჩნდა, რომ ჭარბწონიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო იმ სკოლებში, სადაც გასტრონომიული მაღაზიისადმი შეზღუდული ხელმისაწვდომობა არსებობდა. გარდა ამისა, დროსთან ერთად ეს მაჩვენებელი იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე იმ ადგილებში, სადაც ხელმისაწვდომობა არ იყო დაბალი. პენსილვანიაში უდაბნო ადგილების მაცხოვრებლები იყვნენ უფრო ღარიბები იმ ადგილებთან შედარებით, სადაც საკვები პროდუქტებისადმი შეზღუ-დული ხელმისაწვდომობა არ იყო.

ეს მონაცემები აყენებენ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც უკავშირდება სოციალურ, გეოგრაფიულ და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის უთანაბრობას. ასევე არსებითია, თუ როგორ უნდა მოხდეს უდაბნო ადგილების დადგენა და მათი შეფასება.

უდაბნოს ადგილების შეფასება ხშირად ხდება განსხვავებულად. ურბანულ ტერიტორიაზე მსგავსი ადგილების დადგენისას, უფრო მოკლე დისტანცია გამოიყენება სოფელთან შედარებით. ასევე მნიშვნელოვანი იმის გარკვევა, თუ სად და როდის ყიდულობს ასეთ შემთხვევებში ადამიანები პროდუქტებს. ეს არის ისეთი დაწესებულებები, როგორიცაა რესტორანი, ფერმის მარკეტი, თუ ამ დანაკლისს მოსახლეობა ავსებს მებაღეობის, ნადირობის ან სხვა საქმიანობების საშაულებით.

ტარდება სხვადასხვა კვლევები, რომლებიც სწავლობენ საკვები პროდუქტებისადმი არათანაბარ ხელმისაწვდომობას და როგორც ირკვევა, მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტს, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად აქვს არათანაბრი წვდომა ჯანმრთელი საკვები პროდუქტებისადმი და ეს არათანაბ-რობა აისახება მათ გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომა-რეობაში. ამ მხრივ, უდაბნო ადგილები შეიძლება განხილულ იქნას როგორც თემის სტრუქტურული მახასიათებელი. ეს მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ არის სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის რესურსები განაწილებული ქვეყნის ტერიტორიაზე და რა გავლენას ახდენს მსგავსი განაწილება სოფლის მაცხოვრებლებისა და თემის კეთილდღეობაზე.

თავი 10. სოფლის საზოგადოების ცვლილება

სოფლის ტრანსფორმაცია და მომავალი პოლიტიკა

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სოფლის საზოგადოება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ასევე მოსახლეობის ზომა და სოციალურ-ეკონომიკური შემადგენლობა. სოფლის ეკონომიკამ განიცადა რესტრუქტურიზაცია, სოციალური ინსტიტუტები და ადამიანთა დამოკიდებულება ამ ინსტიტუტების მიმართაც შეიცვალა. უფრო მეტიც, ყველა ეს ადგილობრივი და რეგიონული ცვლილება განხორციელდა რესტრუქტურიზებულ გლობალურ კონტექსტში, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ურთიერთობა „გლობალურსა“ და „ადგილობრივს“ შორის. ყველა ამ ცვლილებას თან ახლდა გამოწვევები სოფლის მაცხოვრებლებისა და თემისთვის, ისევე როგორც ახალი შესაძლებლობები. თანამედროვე სოფლის სტრუქტურა და წარსულის მემკვიდრეობა გავლენას ახდენს სოფლის პერსპექტივაზე, რაც გულისხმობს როგორც სოფლად ცხოვრებას, ასევე მუშაობას. მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნეს ძირითადი ცვლილებები, რომელიც სოფლის მაცხოვრებლებმა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განიცადეს, ასევე გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც ცვლილებებმა მოიტანა და გადაუჭრელი პრობლემები, რომელიც წარსულის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილება, სოფლის მოსახლეობის ზომის ცვლილება



ნახ. 10-1. აშშ-ის მთლიან მოსახლეობაში სოფლის მაცხოვრებელთა წილი %-ში

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შეერთებული შტატები გამოირჩევა ურბანიზაციის მაღალი დონით, მაგრამ სოფლის მოსახლეობას მნიშვენლოვანი ადგილი უკავია. სოფლის მაცხოვრებელთა რაოდენობა არის 55-60 მილიონი ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, მისი წილი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში 1990 წელს შეადგენდა 21%-ს და 2005 წელს 17%-ს ნახ.10-1. ეს ნაწილობრივ განპირობებულია სოფლის მოსახლეობის ზრდის ნელი ტემპით 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან და ასევე ურბანული ადგილების სწრაფი ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ ურბანიზაცია და სხვა დემოგრაფიული პროცესები იცვლება ათწლეულების მანძილზე. ასევე აღსანიშნავია, რომ, შეერთებულ შტატებში შიდა მიგრაციას ადგილი ჰქონდა ურბანულ ადგილებში მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის უმეტეს

პერიოდში. მხოლოდ 1970-იანი წლებში მიგრაცია გაიზარდა ქალაქიდან სოფლისკენ.

ცვლილება მოსახლეობის სტრუქტურაში

სოფლის მოსახლეობაში შეინიშნება სიბერე ურბანულთან შედარებით. ამას, ხელს უწყობს დაბალი შობადობის მაჩვენებელი და ასევე ახალგაზრდების მუდმივი მიგრაცია ქალაქში. სიბერესთან ერთად სოფლის მოსახლეობა თანდათან ხდება ეთნიკურად მრავალფეროვანი. ლათინოამერიკული მოსახლეობის ხელახალი გადანაწილება ხდება სამხრეთ-დასავლეთიდან შუა აღმოსავლეთით და სამხრეთ ატლანტიკის რეგიონებში. ეს ხელახალი განაწილება განპირობებულია, როგორც ლათინოამერიკელების რეგიონთაშორისი გადაადგილებით, ასევე მექსიკიდან ემიგრაციით. მიგრაციის მიზეზები კომპლექსურია, მუშაობის შესაძლებლობები ზოგიერთ ინდუსტრიაში, მაგალითად ხორცის პროდუქტების წარმოება, მშენებლობა, კვების მრეწველობა.

დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სოფელი ხდება უფრო მრავალფეროვანი, რაც წარმოადგენს გამოწვევეას მისი ლოკალური ინსტიტუტებისთვის, როგორიცაა სკოლა, ეკლესია, ჯანდაცვა და ადგილობრივი თვითმმართველობა და ასევე ზოგადად სოციალური ურთიერთობა. სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნები და საჭიროებები პროდუქციისა და სერვისების მიმართ. ახალ მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით თუ ისინი განსხვავდებიან ასაკით, სოციალური კლასით, ან ეთნიკური

წარმომავლობით, შეუძლიათ შექმნან ახალი შესაძლებლობები და გააძლიერონ სოციალური რესურსები, თუმცა, მრავალფეროვნებამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს დაძაბულობა და კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული ტარნსფორმაცია იწვევს საზოგადოებისა და ეკონომიკის სხვადსხვა ასპექტების მხრივ ცვლილებებს, დემოგრაფიული ცვლილება არ არის გარდაუვალი მდგომარეობა. დემოგრაფიული ცვლილებების დროს მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული სოციალური სტრუქტურა, ეროვნული და საერთაშორისო გარემო.

დემოგრაფიული ცვლილებების გადაყვანა გაზრდილ ან შემცირებულ კეთილდღეობაში, სოფლად დამოკიდებულია ადგილობრივი ინსტიტუტების ეფექტიანობასა და სწრაფი რეაგირების უნარზე, ასევე თუ როგორ მოახერხებს სოფლის თემი ადაპტირებას გარე ფაქტორებთან.

ტრანსფორმირებული სოფლის ეკონომიკა, ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია

ადგილობრივი ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია მოიცავს სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის სამ დამოუკიდებელ ფორმას: (ა) ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და სერვისების სახეობის ცვლილება, (ბ) სოციალური ურთიერთობის მხრივ ცვლილება დამსაქმებლებს, მუშა-ხელს, მთავრობასა და მოქლაქეებს შორის და (გ) პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის ცვლილება გლობალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონზე.

ინდუსტრიული რესტრუქტურიზაცია

სოფლის ეკონომიკამ განიცადა ორი მთავარი ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის მანძილზე, რამაც წარმოშვა როგორც შესაძლებლობები, ასევე გამოწვევები სოფლის მუშა-ხელისა და ეკონომიკისთვის. მე-20 საუკუნის დასაწყისში, გადამამუშავებელმა მრეწველობამ ჩაანაცვლა მოპოვებითი მრეწველობა, როგორიცაა სამთო, სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა. სოფლის მწარმოებლები აწარ-მოებდნენ არახანგრძლივი მოხმარების პროდუქტებს, როგო-რიცაა ფეხსაცმელი, სიგარეტი, კონსერვირებული საკვები. ურბანულ ადგილებში არსებული მწარმოებლებისგან განსხვავებით, სადაც ხდებოდა ხანგრძლივი მოხმარების პროდუქციის წარმოება, სოფლის მწარმოებლები უხდიდნენ მუშა-ხელს შედარებით დაბალ ხელფასს.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, სოფლის ეკონომიკაში პრიორიტეტული ადგილი დაიკავა სერვისებმა და არა წარმოებამ. სოფლის ეკონომიკამ განიცადა ტრანსფორმაცია და გახდა სერვისებზე ორიენტირებული. ურბანულმა ეკონომიკამ შეინარჩუნა კარგად ანაზღაუ-რებადი საწარმოო სერვისები, ხოლო სოფლის ეკონომიკა დარჩა დაბალ-ანაზღაურებად სამომხმარებლო და პირადი სერვისების ამარა. ამ ცვლილებამ უარყოფითი გავლენა იქონია სოფელსა და მის მაცხოვრებლებზე. სოფლის მუშა-ხელს აქვს ნაკლები წვდომა კარგად ანაზღაურებად, უსაფრთხო სამუშაო ადგილებზე და სოფლის ეკონომიკა დამოკიდებული გახდა არასაბაზისო სერვისებზე, რომელიც აბრუნებს კაპიტალს, მაგრამ ვერ ახერხებს გარედან მოზიდ-ვას. შედეგად, სოფლის ეკონომიკას გააჩნია განვითარებისა და ზრდის დაბალი პერსპექტივა, სოფლის მაცხოვრებლები

აღმოჩნდნენ სიღარიბის ზღვარზე ან მის ქვევით. უნდა აღინიშნოს, რომ გადამამუშავებელი მრეწველობა შენარჩუნდა უფრო სოფლად ქალაქთან შედარებით, მაგრამ ვინაიდან ის აწარმოებს არახანგრძლივი მოხმარების პროდუქციას, ისინი დაბალ ხელფასს უხდიან სოფლის მუშა-ხელს.

წარმოების სოციალური ურთიერთობა

წარმოების მოშლამ გააფუჭა ურთიერთობა დამსაქმებლებს, მუშა-ხელსა და მთავრობას შორის. მუშა-ხელის პოზიცია შრომით ბაზარზე შემცირდა, ისინი აღარ იყვნენ აქტიურად ჩართული თავიანთი კეთილდღეობის მოპოვების პროცესში, ვინაიდან დამსაქმებლებმა და მთავრობამ სოციალური კონტრაქტი/შეთანხმება შეადგინა იმგვარად, რომ ის უფრო შეესაბამებოდა კონსერვატიულ იდეოლოგიას რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში 1980-იან წლებში. ამ ტრანსფორმაციამ უარყოფითი გავლენა იქონია მუშა-ხელის უსაფრთხოებასა და მობილობაზე, როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა სოფლისთვის, სადაც უფრო პატარა და ნაკლებად დივერსიფიცირებული დასაქმებაა.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად სოფლის ეკონომიკის ზოგიერთმა სახეობამ დაიმკვიდრა წარმატებული ადგილი შრომის განაწილების პროცესში. მაგალითად, იმ სოფლების მუშა-ხელმა, რომლებიც არ ცხოვრობდნენ ძალიან მოშორებით ქალაქისგან, შრომით ბაზარზე დამკვიდრდნენ, როგორც ქალაქის მუშა-ხელი. ასევე იმ სოფლებმა, სადაც მოწყობილი იყო დასასვენებელი ადგილები ტურისტებისთვის, განიცადეს ეკონომიკური ზრდა. ასეთი ადგილები თამა-

შობს მნიშვნელოვან როლს სოფლის ეკონომიკის წინსვლის საქმეში.

სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები

ქვეყნის შუა-აღმოსავლეთი ნაწილის გარდა, უმეტესი სოფლის ეკონომიკა არ არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე და იგი არ წარმოადგენს დასაქმებისა და შემოსავლის მთავარ წყაროს. სოფლის მეურნეობა არის მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ეროვნული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საქმეში. ის არის საკვები პროდუქტების წარმოების განუყოფელი ნაწილი, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ბუნებრივ პროცესებს, დაწყებული სამეცნიერო კვლევიდან დამთავრებული წარმოებით, მარკეტინგით და საბოლოოდ მოხმარებით. სოფლის მეურნეობა ხელს უწყობს ეროვნული მიზნების განხორციელებას, ადამიანის კვების, ჯანმრთელობის, საზოგადოების განვითარების, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების, მიწის გამოყენებისა და გარემოს დაცვის ჩათვლით. საკვები პროდუქტების სისტემა მოიცავს მრავალ ინსტიტუციურ სფეროს დაწყებული აკადემიური და სამეცნიერო სფეროებით დამთავრებული კომერციული სფეროთი. დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისა და კვების სფეროსადმი შეიცვალა და განსხვავდება წარსულისგან. იგი არ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სექტორი.

წარსულის ხედვა დაფუძნებული იყო იმაზე, რომ სოფლის მეურნეობა იყო იზოლირებული სოციალური, ეკონომიკური და ბუნებრივი პროცესებიდან. მრავალი

სოფლის მეურნეობის სპეციალისტი და ეკონომისტი მიიჩნევს, რომ არაფერი საგანგაშო არ არის იმაში, რომ ეს სექტორი განიცდის ჩამოყალიბებას უფრო მცირე ან დიდი კომპანიების სახით, ვინაიდან ამ სექტორზე კონტროლი გასცდა კერძო ოჯახურ ფერმერობას და ჩამოყალიბდა გარდამავალ კორპორაციებად, ინსტიტუციურ ინვესტორებად.

21-ე საუკუნეში სოფლის მეურნეობის სოციალური, ეკონომიკური და გარემოს ფაქტორები არ არის სადაო, კრიტიკოსებმა დაიწყეს ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის მოდელის ახალი ალტერნატივების შემოთავაზება. ისინი მოუწოდებენ ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შემცირებისკენ, მარცვლეულის ბიოტექნოლოგიის პირდაპირი, არაპირდაპირი, დაუყოვნებელი და კუმულაციური გავლენის შეფასებისკენ და საქონლის დაკვლის ჰუმანური მეთოდების გამოყენებისკენ. გარდა ამისა, ისინი სთავაზობენ სოფლის მეურნეობის ლოკალიზაციის განსაზღვრას, რაც მათი აზრით, უზრუნველყოფს ჯანსაღი პროდუქტების მიწოდებას.

სიღარიბე და არათანაბარი განაწილება

სიღარიბე კონცენტრირებულია სოფლად და დიდი ქალაქის ცენტრალურ ადგილებში. ფაქტიურად, მუდმივად ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად. თუმცა, სოფლად არსებული სიღარიბე ნაკლებად თვალში საცემია ქალაქთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად სიღარიბის მაჩვენებელი მაღალია, სოფლის წილი ქვეყნის ღარიბ მოსახლეობაში არის უფრო მცირე, ვინაიდან სოფლის მოსახლეობა შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის

მხოლოდ 17%-ს. უფრო მეტიც, სოფლის სიღარიბე ხშირად შენიღბულია სასიამოვნო გარემოთი და კარგი ბუნებით. ამის შედეგად, სოფლის სიღარიბის პრობლემა იწვევს ნაკლებ ყურადღებას.

სოფლის სიღარიბე განსაკუთრებით მწვავე სოციალური პრობლემაა, ვინაიდან ის განსხვავდება ურბანული სიღარიბისგან. შესაბამისად, ურბანულ საჭირობებზე მორგებული სოციალური პროგრამები ნაკლებ დახმარებას უწევენ სოფლის ღარიბ მოსახლეობას. სოფლის ღარიბი მაცხოვრებლების მაღალი პროცენტი მუშაობს მთლიან ან ნახევარ განაკვეთზე, მაგრამ ვერ გამოიმუშავებენ საკმარის შემოსავალს, რომ თავი დააღწიონ სიღარიბეს. ამიტომ სოფელში მოსახლეობის საკმაოდ სერიოზული ნაწილი წარმოადგენს დასაქმებულ ღარიბებს. სიღარიბის საწინააღმდეგო პროგრამებდან ისინი იღებენ მცირე დახმარებას ან საერთოდ არ იღებენ.

სიღარიბე განსაკუთრებით მაღალია უმცირესობებში. ურბანულ ადგილებში უმცირესობათა წარმომადგენლებს აქვთ წვდომა სოციალურ სერვისებზე, შეუძლიათ გაიარონ ტრენინგები. მაგრამ სოფლად, უმცირესობები ძირითადად ცხოვრობენ ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, როგორიცაა მისისიპი დელტა, ინდიანას შტატი. შესაბამისად, სოფლად მაცხოვრებელი უმცირესობები იმყოფებიან ორმაგი საფრთხის ქვეშ.

ახალგაზრდების მუდმივი გარე მიგრაცია სოფლიდან ხელს უწყობს სიღარიბეს. ისინი ეძებენ უკეთეს შესაძლებლობებს და ცდილობენ მიიღონ უკეთესი განათლება. განათლების მიღების შემდეგ დიდი უმრავლესობა არ ბრუნდება სოფელში.

სიღარიბის მაღალი მაჩვენებლი სოფლად არის ამერიკის ყველაზე მნიშვენლოვანი გამოწვევა 21-ე საუკუნეში. ტრადიციული სოფლის სამუშაო ადგილები, მოპოვებით და გადამამუშავებელ მრეწველობაში, მცირდება წლების მანძილზე. გაიზარდა მოთხოვნა საწარმოო სერვისებზე, რომელიც ძირითადად ურბანულ ადგილებშია ლოკალიზებული. სოფლის მაცხოვრებლები ნაკლებად მზად არიან მიიღონ სამუშაო კარგად ანაზღაურებად სექტორში, ვინაიდან მათი გამოცდილება და უნარ-ჩვევები არ არის შესაბამისობაში სამუშაო ადგილის მოთხოვნებთან. ზემოთ აღწერილმა ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ დიდი გავლენა მოახდინა სოფლის სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ამერიკაში. სოფლის ეკონომიკის პოლიტიკის შესახებ დებატების დროს ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ფედერალურმა და შტატის მთავრობამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი სოფლის ეკონომიკური განვითარების საქმეში, ასეთ ადამიანებს „თანაბრობის დამცველებს“ უწოდებენ, ხოლო დანარჩენი თვლიან, რომ სოფლის ეკონომიკა განიცდის ბუნებრივ ტრანსფორმაციას და სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა ჩაერიოს ამ ცვლილების პროცესში, მათ „ეფექტიანობის დამცველებს“ უწოდებენ.

„ეფექტიანობის დამცველებს“ სჯერათ, რომ სოფლის განვითარების დაბალი დონე არის კაპიტალისტური ეკონომიკური განვითარების განუყრელი ნაწილი. ისინი მიიჩნევენ, რომ სოფლის ეკონომიკა არაეფექტურია, კაპიტალი მიედინება ნაკლებად ეფექტური ადგილიდან უფრო ეფექტურ ადგილებში, კერძოდ ურბანულ ეკონომიკაში, სადაც ამონაგები ინვესტიციაზე უფრო მაღალია.

საპირისპიროდ, „თანაბრობის“ დამცველები განიხილავენ სოფელს როგორც ფასეულ „მშობლიურ ქალაქს“. მათ სჯერათ, რომ ადამიანებს აქვთ უფლება იცხოვრონ იქ, სადაც ისინი აირჩევენ, იმის მიუხედავად, რომ ეს არჩევანი ამცირებს ეკონომიკური ზრდის მთლიან მაჩვენებლს. უფრო მეტიც, ისინი მიესალმებიან სახელმწიფო პოლიტიკის როლს ეკონომიკური მაჩვენებლებისა და შესაძლებლობების გათანაბრების მიზნით. ისინი მხარს უჭერენ სოფლის ეკონომკის განვითარების სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის სტიმულირებას და თემის განახლებას კაპიტალის მოზიდვით უფრო ჩამორჩენილ რეგიონებში და გარე მიგრაციის შეჩერებით.

სოფლის მაცხოვრებლების კეთილდღეობა დამოკიდებულია იმ თემის შიდა ორგანიზაციულ შესაძლებლობაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ, ასევე ეფექტურ ურთიერთობაზე გარემომცველ სამყაროსთან. შიდა ურთიერთობებისა და სოციალური სტრუქტურების ერთობლიობა და ჩართულობა რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ კონტექსტში არის თემის მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორი. თემი, რომელიც ახერხებს ურთიერთობების შენარჩუნებას, ასევე ახლის შეძენას და გააჩნია ეფექტური სახელმწიფო ინსიტუტტები ნაკლებად მგრძნობიარეა გარე ძალების მიმართ და უფრო მეტი შესაძლებლობების მიღება შეუძლია გარემომცველი სამყაროდან.

თემის შიდა ორგანიზაცია მოიცავს სოციალურ ურთიერთობებს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ერთად, ისევე როგორც ადგილობრივი ინსტიტუტების არსებობას, რომელთაც საკმარისი უნარი და შესაძლებლობა გააჩნიათ იმისთვის, რომ მიაწოდონ სერვი-

სები, მართონ საზოგადოებრივი საქმეები და დაგეგმონ მომავალი საქმიანობები. სოციალური ურთიერთობები და სოციალური ინსტიტუტები დაკავშირებულია ერთმანეთთან, ვინაიდან ადამიანები უფრო ახდენენ მობილიზაციას ადგილობრივი მთავრობის, განათლების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების ირგვლივ.

ინფორმაციული ტექნოლოგიები სოფლად და ქალაქში

ინფორმაციული ტექნოლოგიისადმი წვდომა თანამედროვე სოფლის ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი წვდომის ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს პირებზე, ოჯახებზე, თემსა და ბიზნესზე. ინდივიდუალურ და ოჯახურ დონეზე, ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი წვდომა აუცილებელია სამუშაოს პოვნისთვის, მნიშვნელოვანი სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებისთვის, ინფორმირებული შესყიდვისთვის და საჯარო ინფორმაციის მოპოვებისთვის. თემის დონეზე, ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი წვდომა არსებითია სასწავლო და ჯანდაცვის სერვისების მიწოდებისთვის, ბიზნესის გაფართოებისა და შენარჩუნებისთვის. ბიზნესი დამოკიდებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რაც ეხება პირდაპირ გაყიდვებსა და ბიზნეს ტრანზაქციებს, ასევე იურიდიულ, საბუღალტრო და სხვა საწარმოო სერვისების მიღებას.

2007 წელს, შეერთებული შტატების ოჯახების 71%-ს ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა და იყენებდა მას, მაგრამ წვდომა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის განსხვავებული იყო. კერძოდ, სხვადასხვა წვდომა იყო ქალაქში და სოფლად. ქალაქის მაცხოვრებლებს აქვთ მაღალი

სიჩქარის ინტერნეტზე წვდომა, მაშინ როცა სოფლად ინტერნეტის სიჩქარე დაბალია. კვლევები ადასტურებენ, რომ ქალაქსა და სოფელს შორის ასეთი განსხვავება განპირობებულია ინტერნეტის წვდომისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მოსახლეობის ასაკის მხრივ განსხვავებით. გარდა ამისა, სოფლის მაცხოვრებელს აქვს შედარებით მცირე რაოდენობის პრესტიჟული პროფესიონალური კავშირები, მაშინ როცა ქალაქის მაცხოვრებლების პროფესიონალური კავშირები მრავალრიცხოვანია, აქედან გამომდინარე, სოფლის მაცხოვრებელი უფრო ნაკლები ინტენსივობით იყენებს ინტერნეტს სახლში.

ინტერნეტისადმი წვდომა სოფლად გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო ათი წლის წინ, როცა სოფლის ოჯახების მხოლოდ ერთ მესამედს ჰქონდა კომპიუტერი და დაახლოებით ერთი მეოთხედი იყენებდა კომპიუტერს და ელექტრონულ ფოსტას, ასევე ყოველ ათი სოფლის მაცხოვრებელში ერთი ნახულობდა ახალ ამბებს და აკეთებდა ონლაინ შესყიდვებს. ინტერნეტის გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულის მანძილზე, მაგრამ ქალაქსა და სოფელს შორის არსებული შუალედი იგივე დარჩა. ეს ნიშნავს, რომ ქალაქში ინეტრნეტის გამოყენება გაიზარდა იგივე მაჩვენებლით, როგორც სოფლად.

სახელმწიფო პოლიტიკამ, რომელიც გატარდა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, გაზარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი წვდომა. 1996 წელს მიღებულ იქნა ტელეკომუნიკაციების უნივერსალური სერვის პროგრამის შესახებ კანონი. ამ კანონის საშუალებით დაფინანსდა ინტერნეტის მაღალი სიჩქარის წვდომა, დისტანციური

მედიცინის (ტელემედიცინა) და საშუალო განათლების სფეროში. ამას მოჰყვა ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამედიცინო სპეციალისტებისათვის მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება, ჯანდაცვის სერვისების მიწოდების გაზრდა, ელექტრონული ჩანაწერების გაკეთების შესაძლებლობა. კვლევა აჩვენებს, რომ ტელემედიცინის დანერგვასთან დაკავშირებული მოლოდინები სრულად არ გამართლდა, ამის მიზეზებია დაბალი შემოსავალი, მოსახლეობის სიმჭიდროვის დაბალი მაჩვენებელი, არასაკმარისი სუბსიდირება მთავრობის მხრიდან, მაგრამ ნაკლოვანებების მიუხედავად, ამ თვალსაზრისით მდგომარეობა არსებიტად გაუმჯობესდა სოფლად.

ინდივიდუალურ და ოჯახურ დონეზე ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი წვდომა და მათი გამოყენება პირდაპირ კავშირშია შემოსავალთან, განათლებასთან და სოციალური უთანასწორობის სხვა ასპექტებთან შეერთებულ შტატებში. კვლევის მიხედვით $12,500 შემოსავლის ქვემოთ არსებული ყოველი ხუთი ოჯახიდან ერთს აქვს წვდომა, მაშინ როდესა $75,000 შემოსავლის ზემოთ ყველა ოჯახს აქვს მსგავსი წვდომა ნახ. 10-2.



ნახ.10-2. ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი წვდომა შემოსავლის მიხედვით $-ში.

შემოსავალსა და ინტერნეტის წვდომას შორის მსგავს ურთიერთობას ადგილი აქვს როგორც ქალაქში, ასევე სოფლად. 2010 წლის კვლევის მიხედვით, რომელიც ჩაატარა ამერიკის ეროვნული ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმა-ციის ადმინისტრაციამ, ამერიკელი ინდიელების 43% იყენებდა ფართო ზოლიან წვდომას სახლში 2007-2009 წლებში, მაშინ როცა აზიური წარმოშობის პოპულაციაში ეს რიცხვი შეადგენდა 67%-ს. ნათელია, რომ ამერიკელ ინდიელებს არ აქვთ მსგავსი წვდომა ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი, როგორც ეს თეთრკანიან და აზიური წარმოშობის მოსახლეობას გააჩნია. ეს გამოწვეულია დაბალი შემოსავლითა და განათლებით, ასევე მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის ადგილებში ცხოვრებით. ფაქტიურად, ამერიკელი ინდიელები ყველაზე მეტად მიეკუთვნებიან სოფლად მაცხოვრებელ უმცირესობა.

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის პოლიტიკის შედარება

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის პოლიტიკის შედარება საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს. ამერიკას არ გააჩნია ისეთი სრულყოფილი სოფლის პოლიტიკა, როგორც ევროკავშირის ქვეყნებს. ამერიკის სოფლის პოლიტიკის ძირითადი მამოძრავებელია ეკონომიკური მოსაზრებები, მაშინ როცა ევროკავშირს აქვს კარგად ჩამოყალიბებული, უფრო სრულყოფილი სოფლის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა მოიცავს გარემოს მენეჯმენტს, ლანდშაფტის დაცვას, კულტურულ მემკვიდრეობას, სოციალურ სამართლიანობასა და სოციალურ ჩართულობას. ევროკავშირის ეს პოლიტიკა ქმნის უფრო მეტ შანსებს თანასწორობისთვის ამერიკულთან შედარებით, სადაც რესურსების მობილურობა, ბაზრის ეფექტიანობა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდა არის წამყვანი ფაქტორები. უფრო მეტიც, ევროკავშირის სოფლის პოლიტიკა ორიენტირებულია ადგილზე და ტერიტორიაზე, მაშინ როცა ამერიკის პოლიტიკა ფოკუსირებულია სხვადასხვა მრეწველობის განვითარებაზე, როგორიცაა ფერმერობა, გადამამუშავებელი მრეწველობა. ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არის არსებითი, ევროკავშირი წარმოადგენს 27 ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს და მისი მიდგომა სოფლის განვითარებისადმი არის როგორც სუპრანაციონალური, ასევე სახელმწიფოთაშორისი. ევროკავშირს აქვს სოფლის განვითარების ზოგადი პოლიტიკა და მიდგომა, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ევროკავშირის ცენტრალური ბიუჯეტიდან და ნაწილობრივ, წევრი ქვეყნების მიერ. შეერთებულ შტატებში, პოლიტიკა შეიძლება იყოს სახელმწი-

ფოთაშორისი ან უწყებათაშორისი, მაგრამ პასუხისმგებლობა ხშირად გაზიარებულია შტატებსა და ეროვნულ მთავრობას შორის, მაგრამ ის იშვიათად არის სუპრანაციონალური.

ევროკავშირის სოფლის პოლიტიკა მიზნად ისახავს სოციალურ და ეკონომიკურ კავშირს, სოფლის მეურნეობის სექტორის დარეგულირებას საბაზრო მოთხოვნებისადმი, გარემოს დაცვას. სოფლის საკითხები აშკარად გამოკვეთილია ევროკავშირის პოლიტიკაში, ვინაიდან მისი მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს სოფლად, მოსახლეობის რაოდენობის ყველაზე მაღალი პროცენტულობით გამოირჩევა სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტულობით-ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები. უფრო მეტიც, ევროკავშირის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მდებარეობს სოფლად. შესაბამისად, სოფლის განვითარება წარმოადგენს რეგიონალური ინტეგრაციის მნიშვნელოვან ასპექტს, როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ქვეყნის შიგნით.

სოფლის განვითარება შედის ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ზოგადი პოლიტიკის დოკუმენტში (CAP). ამ დოკუმენტის მიხედვით, სოფლის განვითარების პოლიტიკის საფუძველია სოციალური კავშირების დამყარება ლიდერულ თვისებებს, ჩვევებსა და თემის განვითარებას შორის. მისი ლიდერის პროგრამა ხელს უწყობს ადგილობრივი ლიდერშიპის განვითარებას, ის მორგებულია სოფლის რეგიონების მრავალფეროვნებაზე. ეს პროგრამა ორიენტირებულია განვითარებაზე ქვედა დონიდან, რომლის საშუალებითაც უფრო მცირე ჯგუფებს ექმნებათ შესაძლებლობა წარმართონ თავიანთი საქმიანობა.